

იური ჩიქოვანი



დოკუმენტები სსაღყოვენი

იუკი რიპოვანი



დოქუმენტები სსაფუოვნ
(ერთი დია რეკილის კვლდაკვალ)

თბილისი
2017

UDC (უაკ) 929.5 (479.22)
ჩ-697

წინამდებარე პუბლიკაციით „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარე იური ჩიქოვანი დოკუმენტურად გამყარებული მასალებით უპასუხებს „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის, იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ მის წინააღმდეგ გავრცელებულ ბრალდებებს.

ავტორის ტექსტი გამოსაცემად
მომზადა და რედაქცია გაუკეთა

ზეინაბ ლომჯარიამ

იურუდიული კონსულტანტი

ალექსანდრე ამაშუკელი

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ირაკლი ბელთაძე

ტექნიკური რედაქტორი

ირინა კვიციანი

**პუბლიკაცია მომზადდა და დაისტამბა საქართველოს
თავად-აზნაურთა საკრებულოს თანადგომით**

ISBN 978-9941-449-80-2

შესავალი

2016 წლის 15 მაისს ფეისბუქის საკუთარ გვერდზე „ბაგრატიონთა სახლი“-ს ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელმა, ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის ყოფილმა მოადგილემ და რიგ გამოცემებში ჩემმა თანაავტორმა იოსებ ბიჭიკაშვილმა განათავსა ღია წერილი, რომლის ერთ-ერთი ადრესატიც მე ვარ.

იმდენად შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის წერილის მთელი პათოსი, რომ ძნელი აღმოჩნდა პასუხის ერთბაშად გაცემა. არ იყო იოლი არანორმატიული ლექსიკისთვის თავის არიდება. ამავე დროს ყველა ბრალდებას შორის იყო ერთი, რომლის დატოვებაც სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე, ჩავთვალე, რომ არ შეიძლებოდა. ამიტომ შევიტანე სარჩელი სასამართლოში, რის გამოც წერილობითი პასუხისგან დროებით თავი შევიკავე. დაველოდე სასამართლოს გადაწყვეტილებას. მაგრამ სასამართლოს ვადები, სუბიექტური თუ ობიექტური მრავალი ფაქტორის გამო, გაიწელა. ეს იყო **I მიზეზი**, თუ რატომ დავაგვიანე წერილზე პასუხის გაცემა.

ახლახან შემატყობინეს, რომ სასამართლოს სხდომა ჩაინიშნა ა.წ. 5 დეკემბერს. დიდი დროა, მე კი მეჩქარება. ამიტომ გადავწყვიტე დოკუმენტებით დასაბუთებული პასუხი გამოვიტანო ღიად, საზოგადოების სამსჯავროზე, ვინაიდან ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო და არის იმ საზოგადოების აზრი, რომლისთვისაც ვცდილობდი კეთილსინდისიერად მემსახურა.

სასამართლოში წარდგენილი სარჩელის თემა განხილულ იქნება **I ნაწილში**.

არის, ასევე, მეორე და უმთავრესი მიზეზი, რის გამოც დავაყოვნე პასუხის გაცემა. კერძოდ, **II მიზეზია** ის დოკუმენტი, რომელიც გაცემულია გრიგოლ გრიგოლის ძე მალანიას სახელზე და რომელსაც, თითქოსდა, პირადად მოვანერე ხელი და გენეალოგიური საზოგადოების ბეჭდითაც დავამოწმე. ზემოაღნიშნულ ღია წერილში ი.ბიჭიკაშვილი ბრძანებს, რომ ამ დოკუმენტში ასახული ფაქტის დამადასტურებელი მასალები მოძიებულ იქნა მის მიერ და მასალების გაცნობის შემდეგ თვით დოკუმენტი დავამოწმე ხელმოწერით და ბეჭდით. ეჭვი შევიტანე ამაში, მაგრამ მივეცი წინადადება და დრო, რათა მას თავიდან გაეცნო ჩემთვის მის მიერ მოძიებული მასალები და თუ ისინი ასახავდნენ სიმართლეს, დოკუმენტს ძალაში დავტოვებდი და ინფორმაციასაც მედიით გავავრცელებდი. მის მიერ გადმოგზავნილი მასალებიდან ვერც ერთმა გამცა პასუხი სადაო საკითხზე. ამის შემდეგ მივაკითხე არქივებს. ჩემს მიერ მოპოვებულმა დოკუმენტებმა კი აჩვენა ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გასაცნობად გადმოგზავნილი ისტორიული ნარკვევით და გენეალოგიური ფრაგმენტით ასახული ფაქტების სრულიად საპირისპირო შედეგი. ამ პროცედურებს დასჭირდა თვეები, რამაც ასევე დააყოვნა მის ბრალდებებზე პასუხის გაცემა. ამჯერად ყველა

მტკიცებულება ხელთ მაქვს.

ყველაფერი, რაც დაკავშირებულია გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობის ამსახველ დოკუმენტთან, აღწერილი იქნება **II ნაწილში**.

არის, კიდევ, ი.ბიჭიკაშვილის ღია წერილზე ჩემი პასუხის დაყოვნების **III მიზეზი**. კერძოდ, ამ ღია წერილში მან ორჯერ ახსენა ბაგრატიონების გენეალოგიური ტაბულის სამი თანაავტორის გვარი და არც კი მოიხსენია ჩემი ვინაობა. იქვე, ჩემთან გაცნობის დროდ დაასახელა ისეთი თვე, რომელიც განამტკიცებდა ვერსიას ბაგრატიონების გენეალოგიის შედგენაში ჩემი ნულოვანი როლის შესახებ. მის მიერ დასახელებული თარიღის მიხედვით მას, თურმე, ჩვენს გაცნობამდე უკვე 9 თვით ადრე ჰქონია აღებული ავტობიოგრაფიული ბაგრატიონების გენეალოგიაზე. ეს იყო სრულიად აღმამფოთებელი, მაგრამ ბედის ირონიით ვერ ვპოულობდი დოკუმენტს, რომელიც სააშკარაოზე გამოიტანდა სიმართლეს. მხოლოდ თვეების შემდეგ, უკვე სრულიად მოულოდნელად, ჩემს პირად არქივში ნავაწყდი ამ საავტორო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს და არა მხოლოდ ქართულ, არამედ რუსულ ენაზეც. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, აუცილებლად ჩავთვალე ამაზეც პასუხის გაცემა.

ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ბაგრატიონთა სამეფო გვარის გენეალოგიური ტაბულის საავტორო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან, აღწერილი იქნება **III ნაწილში**.

ნ ა ნ ი ლ ი

როგორ დამადანაშაულა იოსებ ბიჭიკაშვილმა ყალბი ცნობის გაცემაში ანუ ის ბრალდება, რის გამოც შევიტანე სასამართლოში სარჩელი

ი. ბიჭიკაშვილის ღია წერილი შეიცავს მძიმე ბრალდებას ჩემს წინააღმდეგ. კერძოდ, ამ ღია წერილის მე-4 გვერდზე ვკითხულობთ – **ციტატა I/1:** (ყველა ციტატაში დაცულია სტილი და შენარჩუნებულია მისი ავტორის მართლწერა. ი.ჩ.). „მე პირადად, “ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილემ, მხოლოდ რამდენიმე თვის წინ აღმოვაჩინე, ჩემთვის მანამდე უცნობი ინგლისურენოვანი საბუთი, გაცემული ბ-ნი იურის მიერ, ჩვენი საზოგადოების, თანაც ძველ ბლანკზე, რომელიც ხმარებაში იყო 1999 წლამდე. კვლავ ვიმეორებ, ჩემთვის აქამდე უცნობი იყო ეს საბუთი, რომლითაც ბ-ნი იური რატომღაც აღიარებს ქ-ნ იას (ბაგრატიონ-მუხრანელს ი.ჩ.) „სამეფო პრინცესად“ (“Georgian Royal Princess”). ეს საბუთი, სულ ეხლახან, ქ-მა იამ თავად გამოაქვეყნა ნიგნში „საქართველოს თავად-აზნაურობა“, ტ. II, თბ., 2014, გვ. 513. (იხ. დანართი I-1, გვ. 18, ი.ჩ.).

როგორც ხედავთ, **აქაც ისტორიის გაყალბებასთან გვაქვს საქმე**, ჯერ ერთი, თავად ბ-მა იურიმ მშვენივრად იცის, რომ მუხრანელ ბაგრატიონთა შტო არანაირი სამეფო შტო არ არის, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ წლების განმავლობაში ერთობლივად გამოცემული მრავალი ნაშრომი და მეორეც, ბ-ნი ლეონიდე დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი თავის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ადასტურებს იგივეს და ამბობს: „ცნობილია ბაგრატიონთა ოთხი შტო: ბაგრატიონ-გრუზინსკები (სამეფო შტო), ბაგრატიონ-მუხრანელები, ბაგრატიონ-დავითიშვილები და ბაგრატიონ-იმერლები“ (იხ. გაზ. „თბილისი“, თბ., 1990, 10 თებერვალი, გვ. 5). ასე რომ, რატომ გასცა ასეთი საბუთი ბ-მა იურიმ ჩემთვის გაუგებარი რჩება.

ასევე, თუკი ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის ასულმა ირინამ (დაბ. 1945 წ.), მცხოვრებმა მოსკოვში, წარმოადგინა მისი წარმომავლობის ყველა დამადასტურებელი საბუთი, მაშ ქ-მა იამ რატომ ვერ მოახერხა ეს აქამდე?! თანაც, ქ-ნი ირინას მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მამა ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელი 1943 წელს არის უცოლშვილო (Холост) (იხ. Справка Центрального архива Министерства обороны СССР, 142100, г. Подольск, Московской области от 20 мая 1998 г., Начальник Хранилища майор Н.Мясников), არადა, ქ-ნი იას დაბადების თარიღი 1941 წელია. ასევე ნიშანდობლივია, რომ ქ-მა ირინამ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადა, რომ მას და-ძმა არ ჰყავს. თუკი, ეს ინგლისურენოვანი საბუთი მართლაც 1999 წლამდეა გაცემული, თანაც ჩემგან ფარულად

(რადგან მე, როგორც მისი მოადგილე, ასეთ სიყალბეზე ხელს არ მოვანერინებდი) და ვთქვით, ბ-მა იურიმ შემდგომ წლებში დაადგინა სიმართლე, რადგან იგი, როგორც “ქართული გენეალოგიური საზოგადოების” თავმჯდომარე, 2006 წელს ხელს აწერს „ბაგრატიონთა სახლის მემორანდუმს“, სადაც ნათლად არის განსაზღვრული ლეგიტიმიზმის“ საკითხები, **მაშ რატომ დაუშვა მან ამ ყალბი საბუთის 2014 წელს გამოცემულ „საქართველოს თავად-აზნაურობის“ II ტომში დაბეჭდვა?**“ (ციტატის დასასრული).

როგორც ვხედავთ, ამ ერთი ციტატით ბ-ნი ბიჭიკაშვილი სამჯერ მადანაშაულებს სიყალბეში.

დავინყებ ამ ციტატის განხილვას შემდეგით:

I ნაწილი: „მე პირადად, „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის მოადგილემ, მხოლოდ რამდენიმე თვის წინ აღმოვაჩინე, ჩემთვის მანამდე უცნობი ინგლისურენოვანი საბუთი, გაცემული ბ-ნი იურის მიერ, ჩვენი საზოგადოების, თანაც ძველ ბლანკზე, რომელიც ხმარებაში იყო 1999 წლამდე“ (ციტატის დასასრული).

2004 წლის 14 თებერვლიდან ი.ბიჭიკაშვილი უკვე აღარ არის „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის, ანუ ჩემი მოადგილე. უფრო მეტიც, ის აღარ არის ამ წელს თავიდან დაფუძნებული საზოგადოების გამგეობის წევრიც კი და ეს დასტურდება ამ საზოგადოების ყველანაირი დოკუმენტაციით. მან ყოველივე ეს შესანიშნავად იცის, მაგრამ მაინც აგრძელებს საკუთარი თავის მოხსენიებას ჩემს მოადგილედ, ხოლო საზოგადოების ბლანკს უწოდებს „ჩვენს“-ას. თუ რა არის მიზეზი იმისა, რომ იგი აღარ შევიყვანე ამ საზოგადოების გამგეობაში – ვრცელი თემაა და მოცემულ პუბლიკაციასთან არ აქვს კავშირი, ამიტომ არ შევეხები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სიმართლისაგან ასე შორს მდგომი ეს წინადადება არაფერია ღია წერილით ი.ბიჭიკაშვილის სხვა გამონათქვამებთან შედარებით.

ახლა იმავე ციტატა I-1-დან (გვ.5) შემდეგი,

II ნაწილი: „ჩემთვის აქამდე უცნობი იყო ეს საბუთი, რომლითაც ბ-ნი იური რატომღაც აღიარებს ქ-ნ იას (ბაგრატიონ-მუხრანელს, ი.ჩ.) „სამეფო პრინცესად“ (**“Georgian Royal Princess”**)“ (ციტატის დასასრული).

ეს სწორედ ის წინადადებაა, რომელსაც, ძირითადად, ეყრდნობა სიყალბეში ჩემი დადანაშაულება და რომლის საფუძველზეც შევიტანე სასამართლოში სარჩელი ცილისწამების მუხლით.

თურმე გამიცია „ყალბი“ ცნობა ქ-ნი იას სახელზე, რომ იგი, თითქოსდა, არის „სამეფო პრინცესა“ (**“Georgian Royal Princess”**). აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია დანართი I-1-ის სახით (გვ.18). პირველი, რაც, ვფიქრობ, მიიქცევს მკითხველის ყურადღებას არის ის, რომ დოკუმენტი არის ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული, მაგრამ მას არ ახლავს

თარიღი. ავხსნი რატომ. როდესაც ეს საბუთი მომიტანეს ხელმოსაწერად, შევამოწმე ტექსტიც და გენეალოგიური ფრაგმენტიც. მოვანერე ხელი და დავამოწმე ბეჭდით. ნომერიც წავანერე და ამ დროს ყურადღება მიიქცია ერთმა წვრილმანმა, რომელიც პირველი ნაკითხვის დროს გამომრჩა. **Niko Bur**-ის ნაცვლად ეწერა **Niko Rus**. ამ ფაქტის გამო შევიკავე თავი დარეგისტრირებისგან. დავუბრუნე ქ-ნ იას იგი, რათა მას გადაესწორებინა. ის ჩემთან ამ საბუთით აღარ მოსულა. როგორც შემდგომში ახსნა, ეს დოკუმენტი ესაჭიროებოდა საზღვარგარეთ წარსადგენად, მაგრამ ველარ გაემგზავრა, აღარ დასჭირდა და ამიტომ აღარ მომიტანა ჩასწორებული ვარიანტი თარიღის დასასმელად და კანონიერი სახის მისაცემად. ამით არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ საბუთს თარიღი არ ახლავს. ვფიქრობ, ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ თუ დოკუმენტი ჩასწორდებოდა, თარიღიც წაენერებოდა და ქ-ნი ია სწორედ ასეთი სახით განათავსებდა მას წიგნში. ცხადია, რომ თარიღის და რეგისტრაციის გარეშე ამ დოკუმენტს იურიდიული ძალაც არ აქვს. მიუხედავად ამისა, არ ვაპირებ მასზე უარის თქმას. ამდენად, ვალდებულად ვთვლი თავს ამ დოკუმენტთან დაკავშირებით ი.ბიჭიკაშვილის ყველა ბრალდებაზე განმარტებები გავაკეთო.

თუ დავხედავთ დოკუმენტს (დანართი I-1, გვ.18), ვერსად აღმოვაჩინო ჩანაწერს, რომ ია მუხრანელი არის „სამეფო პრინცესა“ (**“Georgian Royal Princess”**). სად დაინახა ბ-ნმა ბიჭიკაშვილმა სიყალბე? რატომ მადანაშაულებს ყალბი დოკუმენტის გაცემაში, თანაც სამჯერ? თუ მას სურდა ქემარტების დადგენა, გამოექვეყნებინა ეს საბუთი, ისე როგორც ვაქვეყნებ მე და გამომაქვს იგი საზოგადოების სამსჯავროზე.

სასამართლოში შევიტანე სარჩელი სწორედ იმის მოთხოვნით, რომ ეცნო ი.ბიჭიკაშვილს სიყალბეში ჩემი დადანაშაულება ცილისწამებად და ეს აღიარება გამოექვეყნებინა იმავე სოციალური ქსელით ფეისბუქით, რომლითაც გაავრცელა იგი.

მოვლენები განვითარდა ისე, როგორც ველოდი. ჩემი სარჩელის ე.წ. შესაგებებლზე მან წარმოადგინა სოლიდური მოცულობა დოკუმენტებისა, რომლებიც ვერანაირად ასაბუთებენ ჩემს „დანაშაულს“, სამაგიეროდ, როგორც ჩანს, გათვლილია ენერგიის ფუჭ კარგვაზე, დროის განელვაზე, როგორც ამბობენ – ნერვებზე თამაშზე და მოთმინებიდან გამოყვანაზე. ამ დოკუმენტების უმეტესობა წარმოადგენს ქ-ნი ირინა ბაგრატიონ-მუხრანელის ოჯახის საკუთრებას, რის გამოც, მიუხედავად ამ ოჯახთან ჩემი ახლო ურთიერთობისა, არ ვთვლი მისაღებად პირადი მიზნებით მათ გამოქვეყნებას. ჰქონდა თუ არა ი.ბიჭიკაშვილს ამ დოკუმენტების გასაჯაროების უფლება, თუნდაც მხოლოდ სასამართლოს სარჩელის შესაგებებლის სახით, ყოველ შემთხვევაში ბაგრატიონ-მუხრანელების შესახებ იმ წიგნის გამოსვლამდე, რომელზეაც 2014 წლის გაზაფხულიდან 2015 წლის ზაფხულამდე მე და ი.ბიჭიკაშვილი ერთად ვმუშაობდით (ამის შესახებ ვსაუბრობ მოცემული პუბლიკაციის მე-3 ნაწილში), ეს არ არის ჩემი გადასაწყვეტი. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყველა ეს დოკუმენტი

არა თუ არ ადასტურებს ჩემს ბრალეულობას, არამედ ახლოსაც არ არის სადაო თემასთან, კერძოდ იმასთან – სამართლიანად გავეცი, თუ არა ია ბაგრატიონ-მუხრანელზე, როგორც ბატონი ლეონიდეს შვილზე გვ.18-ზე დანართი I-1-ით ილუსტრირებული საბუთი. შესაგებელის გაცნობამ და გარკვეული დროის შემდეგ მისმა გაანალიზებამ დამაფიქრა – აქვს კი აზრი მასთან სასამართლო დავას? ის ხომ, ალბათ, ასეთი არამიზნობრივი საბუთების სიუხვით, ისტორიული ექსკურსებით, თან ჩემი ასაკის გათვალისწინებით (უკვე 80-ისა ვარ), მაქსიმალურად განელავს დროს. თუ რატომ, ეს ბავშვისთვისაც გასაგებია. ამიტომ გადავწყვიტე არ დაველოდო სასამართლოს, რომელიც შესაძლოა თვეები, წლებიც კი გაგრძელდეს და ჩემი მოსაზრებები, პუბლიკაციის სახით, მივანოდო მკითხველს, რათა ყველა დაინტერესებული პირი გაეცნოს, მით უმეტეს, რომ ჩემი სარჩელის საპასუხოდ ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი ე.წ. შესაგებელის გულდასმით შესწავლამ დამარწმუნა იმაში, რომ წინა პლანზე გამოდის მეცნიერული საკითხი, რომლის გარკვევაც მოსამართლისთვის, თუკი მას არასდროს ჰქონია შეხება გენეალოგიასთან და ისტორიის სიღრმეებთან, ვფიქრობ არ უნდა იყოს იოლი.

სასამართლო დავის მთავარი საკითხის სააშკარაოზე გამოტანა საჭიროდ ჩავთვალე იმიტომ, რომ მსურს დასკვნები საზოგადოებამ და მეცნიერებმა (ისტორიკოსებმა და ლინგვისტებმა) გააკეთონ.

ახლა დავუბრუნდები ი. ბიჭიკაშვილის მიერ გამოქვეყნებული ღია წერილიდან ციტატა I/1-ის II ნაწილს (გვ.6), რომლითაც წაყენებული მაქვს ბრალდება, თითქოსდა ვაღიარე ქ-ნი ია ბაგრატიონ-მუხრანელი „სამეფო პრინცესად“ („**Georgian Royal Princess**“).

როგორც ჩანს ციტატის ამ მე-2 ნაწილიდან, ი.ბიჭიკაშვილი სიტყვას „**Princess**“ წერს ბოლოში ორი „**s**“-ით, მაშინ როდესაც ჩემს მიერ გაცემულ საბუთში გვაქვს ერთი „**s**“, ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს და თუ რა – ამაზე ქვემოთ შევჩერდები.

გაცემულ საბუთში (დანართი I-1, გვ.18) წერია: „**la Bagration-Mukhraneli is a descendant of Georgian Royal Princes...**“. თუ იქნებოდა „**la Bagration-Mukhraneli is a Georgian Royal Princess**“, ანუ დოკუმენტში დაბეჭდილ წინადადებაში არ გვექნებოდა სიტყვა „**discendent**“ – „შთამომავალი“ და თანაც სიტყვას „**Princes**“ ბოლოში ექნებოდა არა ერთი, არამედ ორი „**s**“, ამით მართლაც მოხდებოდა „აღიარება“, რომ ია ბაგრატიონ-მუხრანელი არის „სამეფო პრინცესა“.

როგორც ვხედავთ გაცემული საბუთიდან, ასე არ მიწერია, ანუ არ „მიღიარებია“ ქალბატონი ია „სამეფო პრინცესად“. აქ ორჯერ ხდება დოკუმენტში ასახული ტექსტის შინაარსის არსობრივად შეცვლა: პირველად მაშინ, როდესაც ი.ბიჭიკაშვილი მთლიანი კონტექსტიდან ამოგლეჯს ფრაზას „**Georgian Royal Princes**“, და წაართმევს მას მის წინ მდგომ სიტყვას „**discendent**“, რაც შთამომავალს ნიშნავს. ამ ერთი სიტყვის ამოგდება იცვლება

წინადადების შინაარსი, რამეთუ ქალბატონი ია თუნდაც „პრინცების“ შთამომავლიდან, თავად იქცევა „პრინცად“ (უფრო სწორად „პრინცესად“). მეორედ კი ტექსტის შინაარსი არსობრივად იცვლება მაშინ, როდესაც სიტყვას „Princes“ უმატებს ბოლოში ერთ „s“-ს, რაც სრულად ცვლის ამ სიტყვის შინაარსს. შევეცდები ავხსნა – რატომ:

სიტყვა „Princes“, ერთი „s“-ით ბოლოში ხომ არის მრავლობითი რიცხვი მამრობითი სქესის წარმომადგენელ პირთა: „პრინცები“, „უფლისწულები“ და ასევე „თავადები“, ხოლო იგივე სიტყვა ბოლოში ორი „s“-ით, ანუ „Princess“ არის, უკვე, როგორც ცნობილია, სულ სხვა – მხოლოდითი რიცხვი მდედრობითი სქესის წარმომადგენელ პირთა: „პრინცესა“, „თავადის ცოლი“, „თავადის ასული“ და ა. შ. (იხ ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, შემდგენლები თ. და ი. გვარჯალაძეები, წიგნის 702-ე გვ., თბ., 1975). სიტყვის ბოლოში ერთი „s“-ის მიმატებით, იმის გათვალისწინებით, რომ მას წინ უძღვის სიტყვა „ROYAL“, არსებითად იცვლება აზრი, გადაიქცევა რა ქალბატონი ია „პრინცესად“. აქედან გამომდინარე კი, თუ მე „ვალღარე“ ია ბაგრატიონ-მუხრანელი „სამეფო პრინცესად“, ავტომატურად მიღიარებია მამამისი, ჩემთვის და ყველასთვის ღრმად პატივცემული ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელი მეფედ. არ არის ეს უაზრობა?

ზემოთთქმულიდან ჩანს, რომ ი. ბიჭიკაშვილი ორჯერ არსებითად ცვლის წინადადების შინაარსს: პირველად – როდესაც კონტექსტიდან ამოგლეჯილ ფრაზაში „GEORGIAN ROYAL PRINCESS“ არ ახსენებს მთავარ სიტყვას – „discendent“ („შთამომავალი“) და მეორედ – როდესაც იმავე ფრაზაში მოყავს სიტყვა „PRINCESS“, ანუ ჩემს მიერ ნახსენებ სიტყვას „PRINCES“ („თავადები“) უმატებს ბოლოში ერთ „s“-ს, აქცევს რა მას „თავადები“-ს ნაცვლად „პრინცესად“.

მაშ რა არის ეს – არგუმენტირებული, ჯანსაღი, ყველა ნორმალური ადამიანისათვის აბსოლუტურად მისაღები კრიტიკა თუ მიზანმიმართული ქმედება, რათა შეიღახოს საბუთის გამცემის ავტორიტეტი და რეპუტაცია? აქედან გამომდინარე, მქონდა, თუ არა უფლება – აღმეძრა საქმე ი. ბიჭიკაშვილის წინააღმდეგ ცილისწამების და არა, თითქოსდა სამართლიანი კრიტიკის გამო?

ახლა იმავე ციტატა I-1-დან (გვ.5) შემდეგი:

III ნაწილი: „როგორც ხედავთ, აქაც ისტორიის გაყალბებასთან გვაქვს საქმე, ჯერ ერთი, თავად ბ-მა იურიმ მშვენივრად იცის, რომ მუხრანელ ბაგრატიონთა შტო არანაირი სამეფო შტო არ არის, რასაც ადასტურებს ჩვენს მიერ წლების განმავლობაში ერთობლივად გამოცემული მრავალი ნაშრომი და მეორეც, ბ-ნი ლეონიდე დავითის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი თავის ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში ადასტურებს იგივეს და ამბობს: „ცნობილია ბაგრატიონთა ოთხი შტო: ბაგრატიონ-გრუზინსკები (სამეფო შტო), ბაგრატიონ-მუხრანელები, ბაგრატიონ-დავითიშვილები და ბაგრატიონ-იმერლები“ (იხ. გაზ. „თბილისი“,

თბ., 1990, 10 თებერვალი, გვ.5). ასე რომ, რატომ გასცა ასეთი საბუთი ბ-მა იურიმ ჩემთვის გაუგებარი რჩება“ (ციტატის დასარული).

ამასთან დაკავშირებით აუცილებელად ვთვლი ვაღიარო, რომ ჩემს მიერ ია ბაგრატიონ – მუხრანელის სახელზე გაცემულ დოკუმენტში (დანართი I-1, გვ.18), ტექსტში (არა გენეალოგიურ ფრაგმენტში) ნამდვილად დაშვებულია სტილისტური უზუსტობა. კერძოდ, რადგან ქართულ ვარიანტში ეწერა, რომ “ქ-ნი ია არის საქართველოს სამეფო წარმომავლობის თავადების, ბაგრატიონ-მუხრანელების შთამომავალი”, რა თქმა უნდა ინგლისურ ტექსტში ჯობდა ყოფილიყო ქართული სიტყვის – „წარმომავლობის“ შესატყვისი ინგლისური „**ORIGIN**“ ანუ ყოფილიყო არა „**Georgian Royal princes**“, არამედ „**Georgian Princes of Royal Origin**“. იმის გამო, რომ „წარმომავლობის“ შესატყვისი ინგლისური სიტყვა ტექსტში არ ფიგურირებს, იგი იძლევა საფუძველს, მოხდეს მისი ინტერპრეტირება და ამ წინადადების გაგება ისე, თითქოსდა ვთვლი ბაგრატიონ-მუხრანელებს სამეფო შტოდ. თუმცა თარგმანი ჩემს მიერ არ არის შესრულებული, არ მიჭირს შეცდომის აღიარება, არა ერთხელ გამიკეთებია ეს და არ ვთვლი ამას თავის დამცირებად. მეტი ყურადღებით რომ წამეკითხა ტექსტი და მთელი ყურადღება არ გადამეტანა უშუალოდ ჩემი პროფილის შესატყვისი გენეალოგიურ ფრაგმენტზე, ეს უზუსტობა არ გამომეპარებოდა, მით უმეტეს, რომ წლების განმავლობაში ვმუშაობდი ინგლისური ენის პედაგოგად უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. მაგრამ ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინგლისური სიტყვა „**princes**“ აღნიშნავს არა მხოლოდ მრავლობით რიცხვს „უფლისწულების“, არამედ, ასევე, მრავლობით რიცხვს „თავადების“, ამიტომ ვდგავარ იმ აზრზე, რომ დანართი I-1-ით (გვ.18) წარმოდგენილ, ჩემს მიერ ხელმოწერილ საბუთში ადგილი აქვს ინგლისურენოვანი ტექსტის სტილისტურ უზუსტობას და არა სიყალბეს, ანუ არ არის ის, რასაც ამტკიცებს ბ-ნი ბიჭიკაშვილი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო: რომ მდომებოდა ყალბი დოკუმენტის გაცემა და ია მუხრანელის „სამეფო პრინცესად“, ანუ სამეფო ოჯახის წევრად გამოცხადება, იმ გენეალოგიურ ფრაგმენტს, რომელზეც ხელს ვაწერ, როგორც გენეალოგი, დავიწყებდი იმით, რომ ამ ფრაგმენტის დასაწყისშივე მოყვანილ ედიშერ ბაგრატიონ-მუხრანელს მოვიხსენიებდი არა როგორც „თავადს“ („**Prince**“), არამედ როგორც „უფლისწულს“ („**ბატონიშვილს**“, – „**Royal Prince**“, ან „**Prince royal**“).

ახლა იმავე მე-5 გვერდზე მოტანილი ციტატა I/1-დან შემდეგი, ბოლო,

IV ნაწილი: „ასევე, თუკი ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის ასულმა ირინამ (დაბ. 1945 წ.), მცხოვრებმა მოსკოვში, წარმოადგინა მისი წარმომავლობის ყველა დამადასტურებელი საბუთი, მაშ ქ-მა იამ რატომ ვერ მოახერხა ეს აქამდე?! თანაც, ქ-ნი ირინას მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მამა ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელი 1943 წელს არის უცოლშვილო (Холост) (იხ.Справка Центрального архива

Министерства обороны СССР, 142100, г. Подольск, Московской области от 20 мая 1998 г., Начальник Хранилища майор Н.Мясников), არადა, ქ-ნი იას დაბადების თარიღი 1941 წელსა. ასევე ნიშანდობლივია, რომ ქ-მა ირინამ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადა, რომ მას და-ძმა არ ჰყავს“(ციტატის დასასრული).

როგორც ხედავთ, ციტატის მხოლოდ ამ ერთი, IV ნაწილით სამგზის კეთდება მინიშნება იმის თაობაზე, თითქოსდა ქ-ნი ია ბაბრაციონ-მუხრანელი არ არის ბ-ნი ლეონიდე მუხრანელის შვილი, შესაბამისად ქ-ნი ირინას და. აქედან გამომდინარე კი, ჩემგან გაცემული საბუთი, სადაც ქ-ნი ია დაფიქსირებულია ირინას დად ანუ ბ-ნი ლეონიდეს შვილად, თითქოს უნდა იყოს ყალბი.

მივყვეთ ამ მინიშნებებს ნაწილ-ნაწილად:

I მინიშნება: „ასევე, თუკი ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის ასულმა ირინამ (დაბ. 1945 წ.), მცხოვრებმა მოსკოვში, წარმოადგინა მისი წარმომავლობის ყველა დამადასტურებელი საბუთი, მაშ ქ-მა იამ რატომ ვერ მოახერხა ეს აქამდე?“ (ციტატის I მინიშნების დასასრული).

მოსთხოვა კი ქ-ნი იას დოკუმენტების წარდგენა ბ-ნმა ბიჭიკაშვილმა? რატომ არ წარადგენდა, თუკი ჩემი პირველივე თხოვნის შემდეგ მან, საკმაო ოპერატიულობით, წარმომიდგინა ყველა საჭირო საბუთი, დაბადების აქტის ამონაწერის ჩათვლით, სადაც, რა თქმა უნდა, ქ-ნი იას მამად იხსენიება ბ-ნი ლეონიდე მუხრანელი, რაშიც ეჭვი არც არასდროს შემპარვია. ასე რომ ეჭვი შემაქვს ციტატის ამ ნაწილში.

II მინიშნება: „თანაც, ქ-ნი ირინას მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ მისი მამა ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელი 1943 წელს არის უცოლშვილო (Холост) (იხ.Справка Центрального архива Министерства обороны СССР, 142100, г. Подольск, Московской области от 20 мая 1998 г., Начальник Хранилища майор Н.Мясников), არადა, ქ-ნი იას დაბადების თარიღი 1941 წელია“. (ციტატის II მინიშნების დასასრული):

როგორც ვხედავთ აქ პირდაპირი მინიშნებაა, რომ ქ-ნი იას დაბადების წელს ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელს არ ჰყავს შვილი, შესაბამისად მე დაუსაბუთებლად გამიცინა საბუთი ქ-ნი იას, როგორც ბ-ნი ლეონიდეს ქალიშვილზე, ე.ი. ჩემს მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი ყალბია. ამის დასტურად კი ი.ბიჭიკაშვილს მოაქვს ლეონიდე მუხრანელის სახელზე გაცემული სსრკ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური არქივის ამონაწერი, რომლის თანახმად, 1943 წელს ბატონი ლეონიდე იხსენიება სიტყვით „ХОЛОСТ“, რასაც ი.ბიჭიკაშვილი თარგმნის, როგორც „უცოლშვილო“, ცდილობს რა წარმოაჩინოს ისე, თითქოს 1943 წელს ლეონიდე მუხრანელს შვილი არ ჰყავდა (ია ხომ 1941 წელს დაიბადა). ჩემი აზრით აქ ჩანს მიკერძოება, ვინაიდან, როგორც ცნობილია, რუსული სიტყვა „ХОЛОСТ“ პირველ რიგში ნიშნავს „უცოლოს“, „არადაქორწინებულს“ და მერე, ზოგჯერ, „უცოლშვილოს“, „მარ-

ტოხელას“ და ა. შ. 1958 წელს გამოცემული რუსულ-ქართული სამტომიანი ლექსიკონის III ტომის 605-ე გვერდზე მითითებულია, რომ სიტყვა „ХОЛОСТ“, მახვილით პირველ ხმოვან ასოსთან, „О“ ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ უცოლოს, ხოლო სიტყვათა წყობაში „ХОЛОСТОЙ МУЖЧИНА“ – აღნიშნავს „უცოლო მამაკაცს“, ი.ბიჭიკაშვილი კი თარგმნის ამ სიტყვას, როგორც „უცოლშვილო“. მან საკმაოდ კარგად იცის რუსული იმისათვის, რომ, არ იცოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაგრამ თარგმნის სიტყვას „ХОЛОСТ“, როგორც „უცოლშვილო“ და არა „უცოლო“, რაც უნდა ნიშნავდეს, რომ ვინაიდან 1943 წელს ლეონიდე მუხრანელი არის არა უბრალოდ უცოლო, არამედ „უცოლშვილო“, მაშასადამე ქ-ნი ია, რომელიც დაიბადა 1941 წელს არ უნდა იყოს ბ-ნი ლეონიდეს შვილი, შესაბამისად ჩემს მიერ გაცემული დოკუმენტიც, სადაც ქ-ნი ია ფიგურირებს, როგორც ბ-ნი ლეონიდეს ასული – თითქოსდა ყალბია. აღნიშნულ ჩანაწერში ბ-ნი ლეონიდეს მოხსენიება, როგორც „ХОЛОСТ“ – „უცოლო“, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამ დროისათვის (ანუ 1943 წელს) მას არ ჰყავს შვილი, კერძოდ ია, რომელიც 1941 წელს დაიბადა, ვინაიდან ადამიანი შესაძლოა არ იყოს რეგისტრირებულ ქორწინებაში, მაგრამ ჰყავდეს კანონიერად აღიარებული შვილი, თან არა ერთი, ამის მაგალითი უამრავია. რომ ლეონიდე მუხრანელი ნამდვილად იას მამაა, ამას თვალნათლივ ადასტურებს ქ-ნი იას მიერ ჩემთვის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც გადავეცი სასამართლოს, აქ კი არ ვთვლი მიზანშეწონილად მათ გამოქვეყნებას, მიუხედავად იმისა, რომ მაქვს ქ-ნი იასგან აღებული მათი გამოქვეყნების ნებართვა. ბ-ნი ლეონიდესა და ქ-ნი ია მუხრანელის მამა-შვილობა დასტურდება, ასევე, ქ-ნი იასა და მისი დის, ქ-ნი ირინას მიერ ჩატარებული გენეტიკური ანალიზის პასუხით, რომლის თანახმადაც ია და ირინა ბაგრატიონ-მუხრანელები არიან ნახევარ-დეები მამის ხაზით, რაც მეტად მნიშვნელოვანი საბუთია.

ქ-ნი იასა და მისი დის, ქ-ნი ირინას მიერ ჩატარებული გენეტიკური ანალიზის პასუხს გთავაზობთ ჟურნალში „სამეფო გვირგვინი“ (2016, №4, სექტემბერი, გვ.12) დაბეჭდილი დასკვნის სახით (დანართი I-2, გვ.19). თვით გენეტიკური ანალიზის ოფიციალურ დასკვნას ქ-ნი ია წარადგენს სასამართლოში, მის მიერ ასევე ი.ბიჭიკაშვილის წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განხილვისას.

მაშ, გენეალოგიურ ფრაგმენტში ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის შვილად ქ-ნი იას დაფიქსირებით დამირღვევია კანონი და გამიყალბებია საბუთი?

III მინიშნება: „ასევე ნიშანდობლივია, რომ ქ-მა ირინამ, ერთ-ერთ ტელეგადაცემაში განაცხადა, რომ მას და-ძმა არ ჰყავს“ (ციტატის III მინიშნების დასასრული).

ბ-ნი ბიჭიკაშვილი გულისხმობს ქ-ნ ნანი ჭანიშვილთან ირინა ბაგრატიონ-მუხრანელის (იას დის) სტუმრობას 2014 წლის 14 ივლისს, 17 სთ. 20 წთ. TV-“ობიექტივში“, როდესაც დასმულ ერთ-ერთ შეკითხვაზე ირინამ უპასუხა „დედისერთა“ ვარ. (დაინტერესებულ პირთ

შეუძლიათ მოიპოვონ ეს ჩანაწერი ტელევიზიის არქივში და დარწმუნდნენ ჩემი ნათქვამის სისწორეში). მე მგონი არის განსხვავება „დედისერთა ვარსა“ და „და-ძმა არ მყავს“ შორის. ქ-ნმა ირინამ თქვა სიმართლე – ის დედისერთაა, ვინაიდან დედის მხრიდან მას ნამდვილად არ ჰყავს და-ძმა, მაგრამ ჰყავს მამის მხრიდან და – ია, რომელზე უარიც მას არა თუ არასდროს უთქვამს, არამედ ქ-ნი იას წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიით შეწუხებულმა იმის თაობაზედ, თითქოსდა ია არ არის ბაგრატიონი და არის გაუგებარი წარმომავლობის „გლუშკო“ (!) ჩაიტარა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გენეტიკური ანალიზი, რითაც დადასტურდა, რომ ისინი დები არიან მამის ხაზით (დანართი I-2, გვ.19).

მაშ, სად, რომელი წინადადებით, ფრაზით თუ სიტყვით მოვახდინე საბუთის გაყალბება? ი.ბიჭიკაშვილმა ხომ დამადანაშაულა ამ ცნობის გაცემით სიყალბეში. მე ვამბობ — გაყალბებას ადგილი არ ჰქონია. უკვე 32 წელია შევისწავლი მეფეთა, თავად-აზნაურთა გენეალოგიას და პასუხს ვაგებ გენეალოგიური კავშირების სიზუსტეზე. აღნიშნულ დოკუმენტში (დანართი I-1 გვ.18), იმ ტექსტის ქვემოთ, რომლის თარგმანს გვთავაზობს ი.ბიჭიკაშვილი იმის მითითებით, რომ, თითქოსდა, მივაკუთვნე მუხრანელ ბაგრატიონთა შტო სამეფო განშტოებას, მოცემულია გენეალოგიური ფრაგმენტი, რომელიც ასახავს საბუთის ადრესატის – ია ბაგრატიონ-მუხრანელის – წარმომავლობას (დანართი I-1, გვ.18). როგორც ვხედავთ, იგი იწყება ასე:

„Prince Edisher Bagration-Mukhraneli“, ანუ **„თავადი ედიშერ ბაგრატიონ-მუხრანელი“** და მთავრდება ქ-ნ იასა და ირინას მონაცემებით, რაც ნიშნავს: ვადასტურებ ქალბატონ იას წარმომავლობას „თავად“ (და არა „სამეფო პრინც“) ედიშერ ბაგრატიონ-მუხრანელისგან. თუ მქონდა მიზნად დასახული, რომ გამეყალბებინა ისტორია და ქალბატონი ია წარმომეჩინა არა როგორც თავადთა, არამედ „სამეფო პრინცების“ შთამომავალი, მაშინ ამ გენეალოგიურ ფრაგმენტს დავიწყებდი ასე: **„Georgian Royal Prince Edisher Bagration-Mukhraneli“**, რაც იქნებოდა იმის დადასტურება, რომ „ქართველი სამეფო პრინცის“, (ბატონიშვილის), ედიშერ ბაგრატიონ-მუხრანელის შთამომავალი, ია – თვითონაც არის „სამეფო ოჯახის წევრი“ (ი.ბიჭიკაშვილის სიტყვებით თუ ვიტყვით – „სამეფო პრინცესა“). როგორც მკითხველი ხედავს გენეალოგიური ფრაგმენტიდან, მსგავსი რამ არ მიწერია და აზრადაც არ მქონია ია ბაგრატიონ-მუხრანელის მიკუთვნება „სამეფო პრინცესების“ რიცხვისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ, არც ამ კუთხით გამიყალბებია დოკუმენტი.

შეჯამება:

მე, იური ჩიქოვანი, ვუჩივი იოსებ ბიჭიკაშვილს იმის გამო, რომ მან (დასაწყისშივე, გვ.5-6-ზე მოტანილი ციტატა I/1-ით) სამჯერ დამადანაშაულა ყალბი ცნობის გაცემაში, რისთვისაც ორგზის მოახდინა ჩემს მიერ გაცემული დოკუმენტის (დანართი I-1, გვ.18) ტექსტის შინაარსის არსობრივი შეცვლა. მინდა ვიქონიო იმედი, რომ ყოველივე ზემოთთქმულთ შევძელი დასაბუთება, რომ არანაირი სიყალბე არ ჩამიდენია, კერძოდ:

1. არსად მიწერია, რომ ია მუხრანელი არის „სამეფო პრინცესა“, ანუ არ მიწერია ის, რაც ი.ბიჭიკაშვილმა მიაწოდა მკითხველს: **„IA BAGRATION-MUKHRANELI IS A GEORGIAN ROYAL PRINCESS“** – სიტყვა „DISCENDENT“-ის გარეშე და სიტყვა „PRINCES“-ის ჩართვით ორი „S“-ით ბოლოში. ჩემს მიერ ხელმოწერილ საბუთში არის: **„IA BAGRATION-MUKHRANELI IS A DISCENDENT OF GEORGIAN ROYAL PRINCES“** (იხ. დანართი I-1, გვ.18). როგორც ვხედავთ, საბუთში მოტანილ წინადადებასა და ი.ბიჭიკაშვილის მიერ მკითხველისათვის მიწოდებულ წინადადებას შორის არის არსებითი განსხვავება, ვინაიდან დედნიდან ამოგდებულია სიტყვა „DISCENDENT“ („შთამომავალი“) და ამის გარდა სიტყვას „PRINCES“ („თავადები“) მიმატებული აქვს ბოლოში ერთი „S“. ამაზე დეტალურად ზემოთ მოგახსენეთ (გვ.8-9).

2. არ მომიხდენია ისტორიის გაყალბება, მხოლოდ გამომრჩა ინგლისურენოვანი ტექსტის ისტორიულ ნაწილში სტილისტური უზუსტობა, რის გამოც იგი სრულად ვერ ასახავს მის ქართულენოვან ვარიანტს. ამ უზუსტობას ვალიარებ. ამაზე ასევე ზემოთ მოგახსენეთ (გვ.10).

3. არ გამიცია ყალბი ცნობა ია ბაგრატიონ-მუხრანელის, როგორც ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის შვილის სახელზე. ქ-ნი იას მიერ ჩემთვის გადმოცემული საბუთებით, რომლებიც წარვუდგინე სასამართლოს, დასტურდება ლეონიდე და ია ბაგრატიონ-მუხრანელს შორის ნათესაური კავშირი. ეს კავშირი დგინდება, ასევე, ბ-ნი ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილების – ია და ირინას მიერ ჩატარებული გენეტიკური ანალიზის პასუხით (დანართი I-2, გვ.19).

აღნიშნულიდან გამომდინარე ვთვლიდი და ვთვლი, რომ ჩემი ყოფილი მოადგილის, რიგ გამოცემებში ჩემივე თანაავტორის, „ბაგრატიონთა სახლის“ ისტორიული განყოფილების ხელმძღვანელის, იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ 2016 წლის 15 მაისს ფეისბუქის პირად გვერდზე განთავსებული ღია წერილით, რომლის ნაწილიც მოტანილია ჩემს მიერ გვ.5-6-ზე ციტატა I/1-

ის სახით, ადგილი აქვს ჩემი ავტორიტეტის, რეპუტაციის შელახვის მცდელობას.

აი ეს არის ჩემი სარჩელის მთელი არსი. მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვიყავი და ვარ საკუთარ სიმართლეში, ვორჭოფობ: დავტოვო სარჩელი, თუ გამოვიტანო იგი, ვინაიდან ი.ბიჭიკაშვილის მიერ სასამართლოსთვის გაგზავნილი, **საქმესთან არანაირი კავშირის მქონე დოკუმენტების** გაცნობის შემდეგ ვფიქრობ, რომ მას გათვლა აქვს, რბილად რომ ვთქვა, ჩემს ხანდაზმულ ასაკზე და სასამართლოს გაურკვეველ ვადაზე, რაც, ყველაფერთან ერთად, მიმყარებს აზრს, რომ შეცდომა იყო სარჩელის შეტანა. ეს ხომ სამოქალაქო საქმეა. ი.ბიჭიკაშვილი კი, როგორც ჩანს, ამას განელავს **არასაჭირო დოკუმენტების, საქმესთან არანაირი კავშირის მქონე სამეცნიერო ლიტერატურის მოტანით**. საკმაოდ დიდი დანახარჯება, სანამ მივხვდები, რომ დავასთან ამ დოკუმენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ. მე კი არც ისე დიდი დრო მაქვს, რომ უქმად ვხარჯო იგი. ისედაც საკმაოდ მეტი ძვირფასი დრო და ენერჯია მოვახმარე სარჩელის მომზადებას, მერე მისი ბრალდებების გამაბათილებელი დოკუმენტების მოპოვებას, ახლა კი მათ პუბლიკაციას. მივხვდი, რომ სარჩელის თემა უფრო მეტად არის ისტორიკოსების და ლინგვისტების დავის საგანი, ვიდრე იურისტების გასარჩევი, ამიტომ თვით დოკუმენტი, მტკიცებულება და ჩემი მოსაზრებები დაუფარავად გამომაქვს საზოგადოების, განსაკუთრებით – მეცნიერების – სამსჯავროზე, რათა მოვისმინო მათგან ნებისმიერი ჯანსაღი კრიტიკა. კრიტიკა და არა ი.ბიჭიკაშვილისეული, ტექსტის შინაარსის არსობრივი შეცვლის გზით წაყენებული, ბრალდება.

P.S. ი.ბიჭიკაშვილის მიერ ღია წერილით ჩემს წინააღმდეგ წაყენებულმა ბრალდებამ, რომ თითქოსდა მივაკუთვნე ბაგრატიონ-მუხრანელები სამეფო განშტოებას (იხ. ციტატა I/1, გვ.5) გააჩინა ერთი კითხვა, რომლითაც მინდა მორიდებით მივმართო მკითხველს, განსაკუთრებით ქართველ ისტორიკოსებს.

როგორც უკვე აღვნიშნე, არ მიფიქრია ბაგრატიონ-მუხრანელთა მიკუთვნება სამეფო ოჯახთა ჩამონათვალთან, თუმცა ვაღიარე, რომ სტილისტურად უზუსტო ინგლისურენოვანი ტექსტი, (დანართი I-1, გვ.18), რომელიც ვერ ასახავს, ზუსტად, მის ქართულენოვან ვარიანტს (და რის შესახებაც დეტალურად მოგახსენეთ ზემოთ, მე-10 გვ.-ზე) იძლევა ასეთი ინტერპრეტაციების საშუალებას. მაგრამ დავუშვათ, რომ განვიხილავთ მხოლოდ ამ ტექსტს **„Ia Bagration-Mukhraneli is a descendent of Georgian Royal Princes Bagration-Mukhraneli“**, გენეალოგიური ფრაგმენტის გარეშე და ვთარგმნით მას სიტყვა-სიტყვით, ასე: „ია ბაგრატიონ-მუხრანელი არის ქართველი სამეფო უფლისწულების (ბატონიშვილების) ბაგრატიონ-მუხრანელთა შთამომავალი“, ჩაითვლებოდა, თუ არა, ეს სიყალბედ? ამაზე დასკვნას თავად ვერ გავაკეთებ. მოვიტან მხოლოდ რამდენიმე ამონარიდს სხვადასხვა წყაროდან და

მივმართავ თხოვნით მკითხველს – მათი განხილვის და ჩემი მხრიდან დასმული შეკითხვების შემდეგ ობიექტურად, მიკერძოების გარეშე დამეხმაროს ჭეშმარიტების დადგენაში.

1) „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“, ტ.მე-7, ნიგნის 230-გვ.: **„მუხრანბატონები“ ...ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულოს ერთი შტო“.**

2) ცნობილი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი: **„მუხრანბატონები ... ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ერთ-ერთი შტოა“.** (ჟურნალი „სამეფო გვირგვინი“, №3, 2016 წლის ივნისის გამოცემა, ჟურნალის 28-გვ.).

3) აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე და პროფესორი გიორგი ოთხმეზური: **„მუხრანბატონთა ლეგიტიმური უფლება ქართლის სამეფო ტახტზე არასდროს ეჭვქვეშ არ დამდგარა. ქართული საზოგადოებისთვის ისინი სამეფო საგვარეულოს კანონიერი და ღირსეული წარმომადგენლები იყვნენ“.** ((ჟურნალი „სამეფო გვირგვინი“, №4, 2016 წლის სექტემბრის გამოცემა, ჟურნალის 34-გვ.)

4) და, რაც მთავარია, თვით ი.ბიჭიკაშვილი თავის ნიგნებში: „ბაგრატიონები“, (თბ.1995წ. ნიგნის მე-13 გვ.) და „ბაგრატიონები“, (თბ.,2000 წ., ნიგნის მე-16 გვ.), ბრძანებს: **„ვახტანგ მუხრანბატონის ქართლის სამეფო ტახტზე ასვლით მოხდა ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო განშტოების – მუხრანბატონთა უფროსი შტოს გამეფება“.**

მაშ, თავად ი.ბიჭიკაშვილი ადასტურებს, რომ მუხრანბატონები წარმოადგენენ ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო (და არა სამეფო საგვარეულოს) განშტოებას. თუ ი.ბიჭიკაშვილისავე მტკიცებით, (ალარაფერს ვამბობ ზემოთ ჩამოთვლილ ცნობილ ქართველ ისტორიკოსებზე), მუხრანბატონები – ბაგრატიონთა სამეფო საგვარეულო განშტოებაა, მაშინ მათი შვილების მოხსენიება „ბატონიშვილებად“, „სამეფო ოჯახის წევრებად“, ხოლო შვილიშვილების, შვილთაშვილების და ა.შ., ბაგრატიონ-მუხრანელთა გვარის დანარჩენ წარმომადგენელთა (მათ შორის ქ-ნ იასიც) მოხსენიება „ბატონიშვილთა“ შთამომავლებად, (თუმცა ვიმეორებ, არ მიგულისხმია ეს, ი.ჩ.), ჩემი, როგორც გენეალოგის მხრიდან, რომელიც ეყრდნობა ისტორიკოსების დასკვნებს, იქნებოდა სწორი, იქნებოდა შეცდომა, თუ უარესი – სიყალბე, ისტორიის სერიოზული დამახინჯება? მხოლოდ შეკითხვას ვსვამ და ქართველი ისტორიკოსების მიუკერძოებელ დასკვნას, რომ ეს ისტორიის სერიოზული დამახინჯება ან სიყალბეა, ნამდვილად გავიზიარებ.

ხაზს ვუსვამ – შთამომავლები და არა სამეფო ოჯახის წევრები. ჩემს მიერ გაცე-

მულ საბუთში (დანართი I-1, გვ.18) ხომ ნახსენებია სიტყვა „შთამომავალი“ (ინგლისურად „**discendent**“) და არა „სამეფო ოჯახის წევრი“ (ინგლისურად – „**Royal Family Member**“). როგორც ხედავთ დანართი I-1-დან, არსად მსგავსი რამ არ მინერია.

ისევ და ისევ – მხოლოდ შეკითხვას ვსვამ, არაფერს ვამტკიცებ და კიდევ ერთხელ ვაღიარებ, რომ ტექსტი ნამდვილად შეიცავს სტილისტურ უზუსტობას და არ ასახავს მის ქართულენოვან ვარიანტს, რის გამოც, თუკი იგი მომავალში დარეგისტრირდება და იურიდიულ ძალას შეიძენს, უნდა ჩასწორდეს.

დანართი I-1

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
Республика Грузия
380060 г. Тбилиси, ул. Анагская 14а



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY
14a Anagi str., 380060 Tbilisi
Republic of Georgia


საქართველოს რესპუბლიკა, 380060 თბილისი, ანაგის ქ. 14ა, პინა №, ტელ.: 995-8832 37 49 19

№ 155

199

Attestation

Based on historical and genealogical research, we hereby state that **Ia Bagration-Mukhraneli** is a descendent of Georgian Royal Princes **Bagration-Mukhraneli**, in support of which we supplement this statement by a fragment of their genealogical tree.



The President of the Society



Yuri Chikovani

(ია ბაგრატიონ-მუხრანელის სახელზე გაცემული ინგლისურენოვანი დოკუმენტი. აქ „ნიკო რუსი“ მბეჭდავის შეცდომაა. უნდა იყოს „ნიკო ბური“. ამ წუნის გამო აღნიშნული დოკუმენტი დაუბრუნდა ქ-ნ იას გადასასწორებლად, ამიტომ არ არის დათარიღებული. ი.ჩ.)

**გენეტიკური
გენალოგია**

ცოტნე შარაბიძე,

თავად-აზნაურთა საკრებულოს გენეტიკური
კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი

პიკველი კვლევა

თავად-აზნაურთა საკრებულოსთან არსებულმა გენეტიკური კვლევების ცენტრმა გამოიკვლია ბაგრატიონის, ჩოლოყაშვილის, თარხან-მოურავის, ანდრონიკაშვილის, აბაშიძის, ამაშუკელის, მხეიძის და ინჯიას გვარი.

ისტორიკონტექსტი

ბაგრატიონთა გვარს დაუდგინდა შაპლოვგუფი Q1a2b2(L938). აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს ბაგრატიონ-დავითიშვილებისა და ბაგრატიონ-მუხრანელების შტოებმა. მათი შედეგები დაემთხვა ერთმანეთს. აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიიღეს გენეალოგიურად დადასტურებულმა ბაგრატიონებმა.

ამ შტოების საერთო წინაპარი გენეტიკური გამოთვლებით ცხოვრობდა 850-900 წლის წინ.

რაც შეეხება თვითონ შაპლოტიპს უცნობია როდის და საიდან შემოვიდა საქართველოში. რუსი მეცნიერის გრიგორ როჟანსკის აზრით ბაგრატიონების Q1a2b2 ჯგუფი, Q1a2b ჯგუფის ყველაზე იდუმალებით აღსავსე ჯგუფია. თვითონ შაპლოვგუფი Q წარმოშობით სავარაუდოდ ციმბირიდანაა. შაპლოვგუფ Q-ის სხვა განშტოებები გვხვდება მცირე რაოდენობით საქართველოსა და კავკასიაში, თუმცა ბაგრატიონების ქვეჯგუფი მხოლოდ ამ გვარშია დაფიქსირებული. შესაძლოა, მათ ჩრდილო კავკასიის სტეპებში მომთაბარე ხალხებთან ჰქონდათ კავშირი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ქალბატონი მანანა ხომერიკი ბაგრატიონთა გენის შესახებ შემდეგ მოსაზრებას გამოთქვამს: ბაგრატიონების ებრაელთა მეფე დავით წინასწარმეტყველისაგან ჩამომავლობის თეორია ქართულ წერილობით წყაროებში პირველად გიორგი მერჩულეს თხზულებაში გვხვდება, თუმცა მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ისინი სპერიდან არიან. ორივე ვერსიის შემთხვევაში მათი გენი თამარის მეფობით მამრობითი ხაზით სრულდება. თამარი ორჯერ იყო დაქორწინებული, პირველად იური დოლგორუკ(რიურიკზე) და დავით სოსლანზე. თამარს და დავით სოსლანს ორი შვილი ჰყავდათ: ლაშა-გიორგი და რუსუდანი, სავარაუდოდ, ლაშა-გიორგის შემდეგ ბაგრატიონებს დავით სოსლანის გენიც დაემატათ.

დნმ ანალიზი საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ გენეტიკურად სადაო საკითხები. ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა დნმ კვლევა ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელისა და ქალბატონ ირინა ბაგრატიონ-მუხრანელის. აუტოსომური ანალიზის მეშვეობით დადგინდა რომ, ქალბატონი ია ბაგრატიონ-მუხრანელი და ირინა ბაგრატიონ-მუხრანელი არიან ნახევარ-დეები(ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის ქალიშვილები). მათ საზიაროდ აქვთ 1589 სანტიმორგანი, 114 ყველაზე დიდი ბლოკი და X ქრომოსომა.

(2016 წლის სექტემბრის გამოშვების ჟურნალ „სამეფო გვირგვინის“ მე-4 ნომერში მე-12 გვ.-ზე დაბეჭდილი გენეტიკური ანალიზის დასკვნა, რომლის თანახმად ია და ირინა ბაგრატიონ-მუხრანელები არიან ნახევარ-დეები მამის, ლეონიდე ბაგრატიონ-მუხრანელის ხაზით. ი.ჩ.)

ნ ა ნ ი ლ ი II

რა გზით აღმოჩნდა თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასული ელისაბედი ნაკაშიძეების ნაცვლად მალანების დიდი ბეზია

მოცემული პუბლიკაციის შესავალ ნაწილში აღვნიშნე, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შევაცოვნე ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემი მისამართით 2016 წლის 15 მაისს ფეისბუქის მის პირად გვერდზე გამოქვეყნებულ ბრალდებების შემცველ ღია წერილზე პასუხი, არის ჩემს მიერ ხელმოწერილი და „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბეჭდით დამონმებული დოკუმენტი, გაცემული გრიგოლ მალანის სახელზე. თავიდანვე სრულიად გამოვრიცხე ასეთი დოკუმენტის ჩემი მხრიდან დამონმება, რის შესახებაც განვაცხადე ტელევიზიით (TV „ობიექტივი“, 01.10.2015, 13 სთ. 30 წთ.), სადაც ოფიციალურად უარყავი მისი ნამდვილობა და ვთქვი, რომ არ იყო იქ ჩემი ხელმოწერა, არ შეიძლებოდა ხელი მომწერა იმაზე, რაც არასდროს შემისწავლია. მით უმეტეს არ მოვანერდი ხელს დოკუმენტს, სადაც გრიგოლ მალანია, ან ნებისმიერი პიროვნება (დაბადებული და მოღვაწე მე-20, 21-ე საუკუნეების საქართველოში) მოხსენიებულია, როგორც სახლთუხუცესი, ვინაიდან ყოველგვარი ნოდების მინიჭება, ან დადასტურება-უარყოფა ცილდება ჩემი, როგორც გენეალოგის, კომპეტენციის ფარგლებს. ამ განცხადებას **ი.ბიჭიკაშვილმა, თავის ღია წერილში, უწოდა სიცრუე ანუ წამიყენა კიდევ ერთი ბრალდება. ამჯერად დამადანაშაულა სიცრუეში.** სწორედ ამ ფაქტს და მასთან დაკავშირებულ მოვლენებს განვიხილავ ახლა, რისთვისაც, პირველ რიგში, მოვიშველიებ აღნიშნული ღია წერილიდან სამ ციტატას.

პასუხი, სამწუხაროდ, ვრცელი გამომდის. სხვანაირად არ მოხერხდა, ვინაიდან ბრალდების წასაყენებლად რამდენიმე სიტყვა (ან წინადადება) შეიძლება იყოს საკმარისი, მის გასაბათილებლად კი – გაცილებით მეტი, მითუმეტეს, როდესაც ამისათვის გესაჭიროება ბრალმდებელთან ხანგრძლივი მიმოწერის შინაარსის და მრავლად მოპოვებული მტკიცებულების გასაჯაროება.

მაშ, ასე:

ციტატა II/1 (ყველა ციტატის სტილი და მისი ავტორის მართლწერა შენარჩუნებულია. ი.ჩ.): „რაც ეხება ბ-ნი იური ჩიქოვანის განცხადებას, რომელიც მან გააჟღერა ტელეკომპანია „ობიექტივის“ ეთერში, თითქოს 2015 წლის 20 იანვრის ცნობაზე და გენეალოგიურ ფრაგმენტზე, გაცემულ გრიგოლ მალანის სახელზე, მისი ხელმოწერა და „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბეჭედი გაყალბებულია. მსურს განვაცხადო, რომ **ბ-ნი იური ტელეეთერიდან ცრუობდა**, რადგან „სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის 6.01.2016წ. დასკვნის №5000010816 თანახმად ცნობაზე ხელმოწერა ეკუთ-

ვნის „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარეს იური ჩიქოვანს და იმავე საზოგადოების ბეჭდით არის დამონმებული“. ეს საექსპერტო დასკვნაც რომ არ იყოს, ბ-ნმა იურიმ როგორ უნდა შეხედოს თვალეებში ყოველივე ამის მონმეს – საქართველოს სამეფო სახლის კანცლერს (კახა ქორიძეს, ი.ჩ.) და თუნდაც მე? ვფიქრობ, აქ კომენტარი ზედმეტია“. (ციტატის დასასრული).

ამასთან დაკავშირებით ვსვამ ასეთ შეკითხვას: თუ ბ-ნი ბიჭიკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ მე ვცრუობ და თან ვცრუობ იმდენად, რომ უნდა შემრცხვეს მისი და სამეფო სახლის კანცლერისთვის თვალეებში შეხედვის, თუ დოკუმენტი ნამდვილად არის დამონმებული ჩემი ხელმოწერით და საზოგადოების ბეჭდით, რატომ ჩაატარა მან სადაო დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერის ექსპერტიზა ჩემი უშუალო მონაწილეობის გარეშე, მხოლოდ ამ დოკუმენტის და მის ხელთ არსებული სხვა დოკუმენტების წარდგენით? რა საჭირო იყო ჩემი ხელმოწერის და ბეჭდის იდენტიფიცირებისთვის არა ჩემი, არამედ მის ხელთ არსებული დოკუმენტების წარდგენა? რატომ თავად არ გამომიძახეს, არ აიღეს ჩემი ხელმოწერის ნიმუშები, რატომ არ დამანერინეს იქ, ექსპერტიზის ბიუროში, ტექსტი, კალიგრაფიის სრული ექსპერტიზისთვის, რატომ თავად ჩემგანაც არ წაიღეს სხვა დოკუმენტების დედნები, რატომ არ გამოითხოვეს „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბეჭედი? ასეთ შემთხვევაში ხომ ექსპერტიზის დასკვნა სრულყოფილი იქნებოდა? აქ ბევრი „რატომ“ არსებობს, მითუმეტეს, რომ ბ-ნი ბიჭიკაშვილის მიერ ექსპერტიზაზე შესადარებლად წარდგენილი დოკუმენტებიდან არც ერთი არ არის საზოგადოების სარეგისტრაციო ყურნალში გატარებული ერთის, №166-ის გარდა და ის ერთიც გაცემულია ჩემს მიერ 2009 წლის 27 ოქტომბერს ანუ ექსპერტიზის ჩატარებამდე 6-ზე მეტი წლით ადრე. დანარჩენ დოკუმენტებზე დატანილი თარიღი კი ემთხვევა დროის იმ პერიოდს, როდესაც ჩვენი საზოგადოების ადგილმდებარეობა, ობიექტური მიზეზების გამო, რამდენჯერმე შეიცვალა და საბუთები და ბეჭედიც, ამ პერიოდში, მრავალჯერ „გადაადგილდა“ ერთი ოფისიდან მეორეში, რა დროსაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო გარკვეული გაუგებრობა. ექსპერტიზაზე გაგზავნილი ამ დოკუმენტების გაცნობის საშუალება, სამწუხაროდ, არ მომეცა, ვინაიდან ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გადმოგზავნილ იქნა ექსპერტიზის 10-ფურცლიანი დასკვნის მხოლოდ ის ნაწილი (4 გვერდი), რომელიც ასახავს უშუალოდ დასკვნას, ასახელებს რა ამ დასკვნის მისაღებად წარდგენილი დოკუმენტების მხოლოდ დათარიღება-ნუმერაციას გაცემული დოკუმენტების ადრესატების და შინაარსის გარეშე. ჩემთვის არავის უჩვენებია ი.ბიჭიკაშვილის მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილი 16-ფურცლიანი მასალებიდან იმ დოკუმენტების ასლები, რომლებსაც შეადარეს სადაო დოკუმენტებზე დატანილი ხელმოწერა და ბეჭედი, რის გამოც წარმოდგენა არ მაქვს – რა საკითხზე, ან ვის სახელზეა ისინი გაცემული. ექსპერტიზის დასკვნის ჩემთვის გადმოგზავნილ ნაწილში ფიგურირებს მხოლოდ შესადარე-

ბლად წარდგენილი დოკუმენტების ნომერი და თარიღი, რომლებიც, როგორც ვთქვი, ერთის გამოკლებით, არ არის დაფიქსირებული საზოგადოების სარეგისტრაციო რეველში.

გამაოცა საექსპერტო დასკვნამ, რომლის მიხედვითაც **ხელმოწერები ქართული გენეალოგიური საზოგადოების ცნობაზე და გენეალოგიურ ფრაგმენტზე №5, 2015 წლის 20 იანვრის თარიღებით, შესრულებულია იური ჩიქოვანის მიერ.**

მაშ, ასე: **ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ხელმოწერა შესრულებულია იური ჩიქოვანის ანუ ჩემს მიერ. კი მაგრამ, როგორ გადაწყვიტეს, რომ ხელმოწერა მეკუთვნის მე, თუ იქ თვალთ არავის ვუნახივარ და ჩემი ხელმოწერის ნიმუშები პირადად ჩემგან არავის აუღია? თუ დასკვნა უნდა ყოფილიყო იმის დადასტურებით, რომ ხელმოწერა ეკუთვნის აუცილებლად იური ჩიქოვანს, რომელიც, ღვთის წყალობით ჯერ-ჯერობით ცოცხალია, რატომ არავინ გამომიძახა? ან ბეჭედი რატომ არავინ წაიღო შესადარებლად? რატომ დაკმაყოფილდნენ ექსპერტიზის ჩასატარებლად არა ჩემი, არამედ მხოლოდ სხვის მიერ წარდგენილი იმ დოკუმენტებით, რომელთა შინაარსი უცნობია ჩემთვის?** და თუ ეს არ ან ვერ გაკეთდა, მაშინ რატომ ჩაინერა დასკვნა ამ სახით და არა ისე, როგორც, ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო. კერძოდ, ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო, დაახლოებით, ასე: **„ხელმოწერა და ბეჭედი გრიგოლ მალანას სახელზე გაცემულ და შესადარებლად წარდგენილ დოკუმენტებზე იდენტურია“** ან მსგავსი, მაგრამ არა ისე, თითქოსდა ეს ხელმოწერები ეკუთვნის კონკრეტულად იური ჩიქოვანს, რომელიც იქ თვალთ არავის უნახავს, ისე როგორც საზოგადოების ბეჭედი. მე ასე ვფიქრობ, თუმცა დაჟინებით ვერაფერს ვიტყვი, ვინაიდან არ ვარ ექსპერტიზის სპეციალისტი.

ახლა რაც შეეხება ტელეეთერით გაკეთებული ჩემი განცხადების წინაპირობას:

ეს ამბავი ასე დაიწყო: 2015 წლის სექტემბრის მინუტულს ხელთ ჩამივარდა 2-ფურცლიანი დოკუმენტის ასლები. ორივე ფურცელზე წავაწყდი ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის ხელმოწერას და ამავე საზოგადოების ბეჭედით დამოწმების ფაქტს. მოცემული დოკუმენტი (ცნობა და თანდართული გენეალოგიური ფრაგმენტი) გაცემულია გრიგოლ მალანას სახელზე და ადასტურებს, რომ იგი არის მეფე გიორგი XII-ს შთამომავალი ქალის ხაზით. ეს დოკუმენტები შეტანილი იყო გამოსაცემად უკვე გამზადებულ წიგნში.

როგორც კი წავიკითხე შინაარსი და შევხედე გენეალოგიურ ფრაგმენტს, მივხვდი, რომ სასწრაფოდ უნდა მემოქმედა, ვინაიდან თუ ეს დოკუმენტი დაიბეჭდებოდა, ჩემი, როგორც გენეალოგიის მკვლევარის ავტორიტეტი შეილახებოდა. **გენეალოგიურ ფრაგმენტში ხომ ჩემს მიერ შესწავლილი იყო და დადასტურებული მხოლოდ პირველი ოთხი თაობის მონაცემები – გიორგი XII-დან ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის ჩათვლით. ელისაბედის შემდეგ მოხსენიებული გვარები კი (მგალობლიშვილი, იოსელიანი, აბულაძე, ჭავჭავანიძე**

და მალანია) არასდროს გამომიკვლევია, მათი გენეალოგია არ შემიდგენია. აქედან გამომდინარე, თუ იქ მოცემული ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ჩემი ხელმოწერა კი მათზე დარჩებოდა, აღმოვჩნდებოდი ყალბ დოკუმენტზე ხელმოწერის როლში. თუ ერთხელ ვინმე დამადანაშაულებდა და დამიმტკიცებდა, რომ რალაც (თუნდაც ერთი) გავაყალბე, ჩემს სიმართლესაც არავინ დაიჯერებდა. მე კი ყოველთვის ვცდილობდი სიმართლით მევლო. შეცდომა და არა ერთი, რა თქმა უნდა მომსვლია, ამისგან არც ერთი მკვლევარი დაზღვეული არ არის. მიხვედრის შემდეგ ეს შეცდომა მილიარებია და გამომისწორებია, მაგრამ სიყალბეზე ხელი არ მომიწერია და არც არასდროს მოვანერ.

იმის გამო, რომ მოცემულ დოკუმენტში მოყვანილი ფაქტების უმრავლესობა უცნობი იყო ჩემთვის, ბუნებრივია ეჭვი შევიტანე მათზე ჩემი ხელმოწერის და ბეჭდის ნამდვილობაში. ამ დროისათვის, უკვე, მიზეზთა გამო, საბოლოოდ განყვეტილი მქონდა ყველანაირი ურთიერთობა გამოსაცემად გამზადებული წიგნის შემდგენლებთან, სამეფო სახლის კანცლერ კახა ქორიძესთან და ჩემი, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის, ყოფილ მოადგილესთან იოსებ ბიჭიკაშვილთან. წიგნის შემდგენლებთან კონტაქტი აბსოლუტურად გამორიცხული იყო, ამიტომ იძულებული გავხდი, რომ ჩემი ხელმოწერის უარყოფა სასწრაფოდ გამეკეთებინა მედიით, რათა დამესწრო წიგნის გამოცემისთვის, რომელშიც ჩემი, როგორც მკვლევარის, ინტერესებიდან გამომდინარე, ეს დოკუმენტი, გადაუმონმებლად, არავითარ შემთხვევაში არ უნდა განთავსებულიყო. სწორედ ამიტომ გამოვედი ტელევიზიით, წარვუდგინე საზოგადოებას ზემოთ ნახსენები დოკუმენტის ორივე ფურცელი და განვაცხადე, რომ მათზე ხელი არ მომიწერია. იქვე ხაზგასმით ვთქვი, რომ უარყოფდი არა დოკუმენტში მოტანილ ფაქტს, არამედ მხოლოდ მის დამონმებას ჩემი ხელმოწერით.

როდესაც ამ განცხადებას ვაკეთებდი ვფიქრობდი (ალბათ, ზედმეტად მიაშიტად), რომ ამის შემდეგ წიგნის შემდგენლები დამიკავშირდებოდნენ და თუ მე ვცდებოდი ან ვცრუობდი, შეეცდებოდნენ ჩემს გადარწმუნებას, დამისაბუთებდნენ დოკუმენტში მოტანილი ფაქტის ჭეშმარიტებას და თუ დავეთანხმებოდი, ამის შემდეგ განთავსებინათ იგი წიგნში. თუ არ დამიკავშირდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ სიმართლე იყო ჩემს ნათქვამში, თავს შეიკავებდნენ აღნიშნული დოკუმენტის წიგნში განთავსებისგან, სიტუაციაში გარკვევამდე მაინც. მაგრამ ასე არ მოხდა.

2016 წლის აპრილში ეს წიგნი, „ბაგრატიონები – სამეფო ტახტის მემკვიდრე“, გამოიცა და მაინც, ჩემი პროტესტის მიუხედავად, ჩემგან უარყოფილი ამ დოკუმენტის ორივე ფურცლის ჩართვით.

დაეყრდნენ რა იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ ჩემი მონაწილეობის და საზოგადოების ბეჭდის წარდგენის გარეშე ჩატარებულ საექსპერტო დასკვნას, (რომელზეც ზემოთ, 21-22-

ე გვერდებზე მოგახსენეთ), ჩემი პროტესტის მიუხედავად, ჩემი ნებართვის, პრობლემაში გარკვევის და მისი აღმოფხვრის გარეშე, განათავსეს წიგნის შემდგენლებმა ეს ორი (უფრო სწორად – ერთი, ორფურცლიანი) დოკუმენტი მასში (წიგნის 251-252 გვ.; დანართი II-1 და II-2, მოცემული პუბლიკაციის გვ.53 და 54).

ახლა ამ ფაქტთან დაკავშირებით ვსვამ ასეთ შეკითხვას: **თუნდაც ექსპერტიზამ დაადგინა (ჩემი მონაწილეობის და საზოგადოების ბეჭდის წარდგენის გარეშე), რომ აღნიშნულ დოკუმენტზე არის ნამდვილად ჩემი ხელმოწერა და საზოგადოების ბეჭედი, ჰქონდათ თუ არა წიგნის შემდგენლებს მასში ამ დოკუმენტის განთავსების მორალური უფლება, თუკი მე, წიგნის გამოსვლამდე, ოფიციალურად უარყავი მასზე ჩემი ხელმოწერა და რადგან უარყავი, ე.ი. არ (ან აღარ) ვეთანხმები ამ დოკუმენტში გაკეთებულ დასკვნას. რამდენად ეთიკურია ეს საქციელი? იქნებ მასზე ხელი მოვანერე გონებადაბინდულ მდგომარეობაში (რაც გამოორიცხულია, მაგრამ მაინც) და როდესაც აზრზე მოვედი, ვერ გავიხსენე რა თავად ფაქტი, განვაცხადე უარი. ან იქნებ ვინმემ ბოროტად ისარგებლა ჩემი ნდობით და არასწორი გზით მოიპოვა ხელმოწერა, ბეჭდით დამონმება და როდესაც აღმოვაჩინე ეს, უარი განვაცხადე ხელმოწერაზეც და ბეჭდით დამონმებაზეც? რამდენი „იქნებ“ შეიძლება აქ არსებობდეს?**

როდესაც გამოვდივარ ტელეეთერით და უარყოფ დოკუმენტზე ხელმოწერას, ე.ი. არ მსურს მასში მოტანილ ფაქტზე პასუხისმგებლობის აღება, ვინაიდან არ შემისწავლია ის. არ მსურს მათი განთავსება წიგნში. მაშ რატომ აკეთებენ წიგნის შემდგენლები ამას ჩემი ნებართვის გარეშე? რატომ უნდათ ამ დოკუმენტის მაინც და მაინც ჩემი ხელმოწერით გავრცელება?

მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ნების გარეშე მოხდა ჩემგან უარყოფილი დოკუმენტის გავრცელება, მიუხედავად იმისა, რომ ეს გაკეთდა წიგნის შემდგენლების მიერ სიტუაციაში გარკვევამდე ჩემი, როგორც დოკუმენტზე ხელმოწერის იგნორირებით, მაინც არ მსურდა ყველა ვარაუდის და ეჭვის გამოტანა სააშკარაოზე, ვინაიდან ამ დოკუმენტის ადრესატის სახით საქმე ეხებოდა პირველ სიძეს ბაგრატიონი-გრუზინსკების იმ ოჯახისა, რომელიც არ იყო სულერთი ჩემთვის. ამიტომ დავთანხმდი როგორც მათი, ისე ჩემი კეთილისმსურველების წინადადებას – მომხდარიყო ჩემი და ი.ბიჭიკაშვილის შეხვედრა „ბაგრატიონთა სახლის“ ზოგიერთი წარმომადგენლის თანდასწრებით. ამ შეხვედრაზე წარმდგარიყავით იოსებ ბიჭიკაშვილი და მე – ჩვენ-ჩვენი არგუმენტებით და იქ გაგვერკვია – სად იყო სიმართლე. ორჯერ იქნა ასეთი შეხვედრის შესახებ წინადადება წამოყენებული. მე შეხვედრაზე თანახმა ვიყავი, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, იგი ორჯერვე ჩაიშალა, რა თქმა უნდა, არა ჩემი მიზეზით. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტე ეს საკითხი სხვაგვარად მომეგვარებინა, მითუმეტეს, რომ ფეისბუქ-გვერდზე თავისი ღია წერილის გამოქვეყნებით ბ-ნმა ბიჭიკაშვილმა თავად ახადა ფარდა ბევრ რამეს.

კერძოდ, ფეისბუქ-ღია წერილში მან ბრძანა:

ციტატა II/2: (ციტატის სტილი და მისი ავტორის მართლწერა დაცულია. ი.ჩ.) “საქართველოს სამეფო სახლის კანცელარიამ მოითხოვა დადგენა, იყო თუ არა საქართველოს სამეფო ოჯახის პირველი სიძე – გრიგოლ მალანია ნამდვილად მეფე გიორგი XII-ის ასულის, ნინო ბატონიშვილის მხრიდან ჩამომავალი, რის თაობაზეც მხოლოდ ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია არსებობდა. სამეფო სახლის კანცლერმა სთხოვა ამ საკითხის გამოკვლევა „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოებას“. სამეფო სახლის კანცლერის ერთ-ერთი საუბრისას ბ-ნ იურისთან გაირკვა, რომ ბატონიშვილი ნინოს ხაზით, ასევე ევგენი მიქელაძეც ყოფილა გიორგი XII-ის შთამომავალი. **მე, იოსებ ბიჭიკაშვილს დამევალა ორივე ამ საკითხის გარკვევა, ამიტომ საქართველოს ისტორიულ არქივში მოვიძიე შესაბამისი მასალები, რომლებიც ბ-ნ იურის წარუდგინე**“. (ციტატის დასასრული).

აქ ჩემში გაოცებას იწვევს ერთი ფაქტი: თუკი ჩემთან ერთ-ერთი საუბრისას გაირკვა, რომ ევგენი მიქელაძეც ყოფილა გიორგი XII-ს შთამომავალი, რაღა საჭირო იყო ამ საკითხის გასარკვევად ბ-ნი ბიჭიკაშვილის მიერ მასალების თავიდან მოძიება? რომ ეს საკითხი ჩემს მიერ უკვე დადგენილი იყო, ამას ნამდვილად ადასტურებს თბილისისა და ქუთაისის არქივებში დაცული ჩემი, როგორც მკვლევარის, პირადი საქმე (მარტო თბილისის არქივში 4 ტომი, 915 ფურცელი), საიდანაც ჩანს, რომ არ დამიტოვებია ჩემს მიერ შესასწავლი გვარების გენეალოგიის შესადგენად საჭირო არც ერთი ფონდი, რომ არ დამემუშავებინა იმ დროისათვის ხელმისაწვდომი თითქმის ყველა საქმე (სწორედ ამას მოვანდომე დრო 1984-დან 2008 წლის ჩათვლით). ამის შესახებ ი.ბიჭიკაშვილმა შესანიშნავად იცოდა. მაშ რატომღა გაისარჯა იგი ამ საკითხის თავიდან გასარკვევად? (ევგენი მიქელაძის პირდაპირი ნათესაური კავშირი, ქალის ხაზით, გიორგი XII-სთან ნაჩვენებია ჩემს მონოგრაფიაში „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“, ნუსხა 15).

ახლა რაც შეეხება გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობას. ციტატა II/2-ით (გვ.25) **დასტურდება, რომ იოსებ ბიჭიკაშვილს (და არა მე) გამოუკვლევია და მოუძიებია შესაბამისი მასალები და წარმოუდგენია ჩემთვის.**

შემდეგი, **ციტატა II/3:** „2015 წლის 20 იანვარს მე და საქართველოს სამეფო სახლის კანცლერი კვლავ ვესტუმრეთ ბ-ნ იური ჩიქოვანს და წარუდგინეთ დასამტკიცებლად „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ორ ბლანკზე მომზადებული ცნობა და გენეალოგიური ფრაგმენტები, რომლებიც ეხებოდა გრიგოლ მალანიასა და ევგენი ასათიანის წარმომავლობას მასზე, რომ ისინი ისტორიული და გენეალოგიური მასალის თანახმად არიან ნამდვილად მეფე გიორგი XII-ის შთამომავლები ქალის ხაზით. ამ საარქივო მასალების გაცნობის შემგომ, ბ-ნმა იური ჩიქოვანმა, როგორც „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარემ, მისი მეუღლის, ჩემი და სამეფო სახლის კანცლერის თანდასწრებით, ხელი მოაწერა ამ ზემოაღნიშნულ ცნობებს და გენეალოგიურ ფრაგმენტებს,

რომლებსაც დაესვა ამავე საზოგადოების ბეჭედი“. (ციტატის დასასრული).

აქ უკვე მარტო მე კი არა, ჩემმა მეუღლემაც: ორივემ ერთად დავძაბეთ გონება, მაგრამ ვერანაირი საარქივო მასალების წარდგენის და ასეთ დოკუმენტებზე ხელმოწერის ფაქტი ვერც ერთმა ვერ აღვიდგინეთ. სამაგიეროდ ორივეს კარგად გვახსოვდა შემდეგი ფაქტები:

1) კახა ქორიძემ ჩემგან შეიტყო, რომ ევგენი მიქელაძე არის შთამომავალი გიორგი XII-ის. თავად მე კი შევიტყვე მისგან, რომ მისი შვილიშვილი შთამომავალია ევგენი მიქელაძის. აქედან გამომდინარე, მისი შვილიშვილიც გამოდიოდა ამ მეფის ჩამომავალი ქალის ხაზით. გარკვეული დროის შემდეგ მან მოხოვა გიორგი XII-თან ამ შვილიშვილის პირდაპირი ხაზით დამაკავშირებელი ჯაჭვის გადმოწერა, რაზეც დავთანხმდი. ეს ფაქტი ორივეს, მეც და ჩემს მეუღლესაც, კარგად გვახსოვს. ეს იყო 2013 წლის გაზაფხული.

2) ჩემთან ერთ-ერთი ვიზიტისას ი.ბიჭიკაშვილმა მამცნო, რომ ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის დაბადების წელი, რომელიც დაფიქსირებული იყო ჩემს რვეულში თავად-აზნაურთა ერთ-ერთი აღწერის მიხედვით და რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო მიახლოებითი, არის არა 1819, არამედ 1821. მაშინ ამას ყურადღება არ მივაქციე. მხოლოდ ახლა, როდესაც გაირკვა სიმართლე გრიგოლ მალანის ცნობასთან დაკავშირებით, მგონი ვხვდები, რატომ გადამაკეთებინა მან ეს თარიღი ანუ რატომ შეეცადა შემემცირებინა ელისაბედის ასაკი 2 წლით. ამაზე ქვემოთ შევჩერდები, 45-ე გვ.-ზე.

3) გარკვეული დროის შემდეგ იოსებ ბიჭიკაშვილმა როგორც ფაქტი, (მტკიცებულების გარეშე), შემატყობინა, რომ ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავი იყო გათხოვილი აზნაურ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილზე (1821-1863). ვინაიდან ამ დროისათვის მას ჯერ კიდევ ვენდობოდი, დავაფიქსირე ეს ფაქტი გურიის ერისთავების რვეულში, მასში დანარჩენი ტექსტისგან განსხვავებული ფერით, რაც ნიშნავდა, რომ ის არ არის ჩემი მოძიებული.

4) იოსებ ბიჭიკაშვილმა მომანოდა, ასევე, მის მიერ შედგენილი გენეალოგიური ფრაგმენტი, რომლის მთავარ ფიგურანტთა მონაცემები იგივეა, რაც დანართი II-2-სა (გვ.54) და რომლის თანახმად გამოდიოდა, თითქოსდა აზნაურ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს ცოლად ჰყავდა ქალის ხაზით გიორგი XII-ს შთამომავალი, თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასული ელისაბედი. თვით ამ ელისაბედის შთამომავლად კი, ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოწოდებულ ფრაგმენტში, ფიგურირებდა გრიგოლ გრიგოლის ძე მალანია. მოკლედ, ამ ფრაგმენტით, ძირითადად, იგივე სურათია დახატული, რაც დანართი II-2-ში. ეს ფრაგმენ-

ტი ბ-ნმა იოსებმა გადმომცა და ის მოვათავსე გურიის ერისთავების რვეულში იმ გვერდზე, სადაც ჩანერილია მონაცემები ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის და მისი დედ— მამიშვილების შესახებ. ეს არის ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოტანილი, გამზადებული გენეალოგიური ფრაგმენტი იმის შესახებ, თუ ი.ბიჭიკაშვილის აზრით, რა გზით ეჯაჭვება ერთმანეთს გურიის ერისთავებისა და მაგლობლიშვილების გვარი. არის მხოლოდ ფრაგმენტი, მტკიცებულების გარეშე, რის გამოც ჩემი მხრიდან იგი დაფიქსირდა, როგორც ინფორმაცია, მაგრამ არა როგორც ფაქტი, რომელიც უნდა დამემონებინა – ამაზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

ვერანაირი საარქივო მასალების გაცნობის და ამის შემდეგ ხელმონერის ფაქტი ვერც მე და ვერც ი.ბიჭიკაშვილის მიერ მონემდ დასახელებულმა ჩემმა მეუღლემ ვერ აღვიდგინეთ.

ზემოთ მოტანილი ციტატა II/3-დან (გვ.25-26) გამომდინარე, უკვე ეჭვი შემეპარა რალაცებში, მაგრამ იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა ი. ბიჭიკაშვილის მონათხრობი, რომ დავფიქრდი, იქნებ მართლა რალაც არ მახსოვს. დავუშვი, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გაუგებრობას. თან გავითვალისწინე ის რიცხვი, რომლითაც დათარიღებულია დოკუმენტი (დანართი II-1 და II-2, გვ.53 და 54): 2015 წლის 20 იანვარი. ეს კი ის დროა, რომელსაც წინ უსწრებს ჩემთვის ზედმეტად დაძაბული 2013-2014 წლები. დროის ამ პერიოდში, როგორც ადრეც აღვნიშნე, ობიექტური მიზეზების გამო, მე და ოჯახმა და, შესაბამისად, „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ოფისმაც, რამდენჯერმე შევიცვალეთ ადგილმდებარეობა. ყველა რვეული, საბუთები, დოკუმენტები, ბეჭედი გადაგვქონდა ერთი ადგილიდან მეორეზე. ხომ შეიძლებოდა, სწორედ ამ დროს მოეტანა ბ-ნ იოსებს ზემოთ ნახსენები გენეალოგიური ფრაგმენტის დამადასტურებელი მასალა, ჩვენ კი, იმის გამო, რომ ამ პერიოდში ადგილმდებარეობას ხშირად ვიცვლიდით, ვყოფილიყავით გონებაგაფანტული და რალაც ამოგვარდნოდა მეხსიერებიდან. ძალიან მცირედით, მაგრამ დავუშვით ამის ალბათობა.

ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის ოჯახისადმი ჩემი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ნამდვილად მსურდა ამ საკითხის მშვიდობიანად მოგვარება და საბუთების არსებობის შემთხვევაში მზად ვიყავი შეცდომის აღიარებისათვის, მაგრამ როგორც აღვნიშნე, სულ სხვა და მრავალი მიზეზის გამო, აღარ მსურდა ი.ბიჭიკაშვილთან არანაირი ურთიერთობა, ამიტომ მივმართე მას ჩემი რწმუნებულის – ადვოკატის ლევან ჩხეიძის მეშვეობით წერილით, რომელიც გაეგზავნა ელ. ფოსტით.

ამ წერილით ვთხოვდი, რომ გადმოეგზავნა, მისი სიტყვებით, მის მიერვე მოძიებული მასალების ასლები, გავეცნობოდი და თუ ისინი დაადასტურებდნენ ელისაბედ გიორგის

ასულ გურიის ერისთავისაგან გრიგოლ მალანის წარმომავლობას, ვალიარებდი ფაქტს, ძალაში დავტოვებდი დოკუმენტს და ამის შესახებ ინფორმაციას გავავრცელებდი მასმედის მეშვეობით. ხაზს ვუსვამ – მესაჭიროებოდა მხოლოდ ელისაბედ გურიის ერისთავთან გრიგოლ მალანის ნათესაურად დამაკავშირებელი რაიმე საბუთი, ვინაიდან თვით ელისაბედის და მისი დედ-მამიშვილების წარმომავლობა გიორგი XII-საგან ჩემს მიერ უკვე იყო დიდი ხნის წინ დადასტურებული და ნაწილობრივ უკვე გამოქვეყნებულიც წიგნში „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ (ნუსხა 1, 13 და 15).

სულ მალე ბ-ნი იოსები აგზავნის ლევან ჩხეიძესთან საპასუხო წერილს, რომლითაც მატყობინებს, რომ მანვდის გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანის წარმომავლობის ამსახველი გენეალოგიური ფრაგმენტის დამადასტურებელ საარქივო მასალებს, **რათა მე ხელმეორედ გავეცნო მათ**. ამ წერილის და ციტატა II/2-ის (გვ.25) შინაარსიდან გამომდინარე მე, უკვე ერთხელ, თურმე, გავეცანი მათ. ვინაიდან ასეთი რამ არ მახსოვს, თავიდან უნდა გავეცნო მასალებს, რათა დავადასტურო დანართი II-1-ით, (გვ.53) და დანართი II-2-ით (გვ.54) ილუსტრირებულ დოკუმენტზე ჩემი ხელმოწერის ნამდვილობა. აქედან გამომდინარე ზედმინევით გულისყურით შევისწავლე ისინი, მაგრამ იმის გამო, რომ ახლოსაც კი არ არიან საკითხთან, აზრი არა აქვს თქვენთვის მათ წარმოდგენას. დანართებიანად 23-ფურცლისაგან შემდგარი ამ წერილიდან შემოგთავაზებთ მხოლოდ ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი „ისტორიულ ცნობის“ მოკლე შინაარსს, არც ამით შეგანწყენდით თავს, მაგრამ მის გარეშე ვერ ავხსნი – რის საფუძველზე გავაკეთე უარყოფითი დასკვნა და რატომ გამოვაცხადე გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანის წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი იურიდიული ძალის არმქონედ.

ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გასაცნობად გამოგზავნილ წერილს თან ერთვის:

ა) იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ფრაგმენტი, რომელიც მცირედით განსხვავდება მის მიერ ჩემთვის წლების წინ გადმოცემული გენეალოგიური ფრაგმენტისაგან. ორივე ამ ფრაგმენტში დასკვნა ერთია: გრიგოლ მალანია, თითქოსდა, არის შთამომავალი ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის და, შესაბამისად, უკვე ჩემს მიერ დადგენილი ფაქტის თანახმად, გიორგი XII-ის;

ბ) იოსებ ბიჭიკაშვილის მიერვე შედგენილი „მოკლე ისტორიული ცნობა“, რომლის თანახმად, თითქოსდა, XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასული ელისაბედი გამხდარა იმავე სოფელში მცხოვრები აზნაურის, მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე. ამ ფაქტის დასტურად კი ი.ბიჭიკაშვილი ასახელებს მერაბ მგალობლიშვილის შვილების სახელებს, უფროსი – ივლიანე

(მისი აზრით, ელისაბედ ერისთავის, როგორც, თითქოსდა ივლიანეს დედის, ძმის სახელი) და უმცროსი – გიორგი (მისივე მოსაზრებით – თითქოსდა გიორგის დედის, ელისაბედ ერისთავის მამის სახელი). იმის გამო, რომ ელისაბედ გურიის ერისთავის ძმას, ჩემივე მონაცემების თანახმად, ნამდვილად ერქვა ივლიანე, ხოლო მამას – გიორგი, მერაბ მაგლობლიშვილის შვილებზე ამ სახელების დარქმევით, ი.ბიჭიკაშვილის მოსაზრებით, ელისაბედ გურიის ერისთავმა, ქართული ტრადიციების გამოძახილით, „დაგვიტოვა სამხილი“ იმისა, რომ ის არის მეუღლე მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილის;

ამავე ნარკვევის ბოლოს ი.ბიჭიკაშვილი აღნიშნავს, რომ, თურმე (2015 წლის 20 იანვარს, ი.რ.) წარმომდგინა გურიის ერისთავებსა და მაგლობლიშვილებს შორის ნათესაობის შესახებ ეს ისტორიული ნარკვევი საარქივო მასალასთან ერთად, რის შემდეგაც მოვანერე ხელი გიორგი XII-საგან გრიგოლ მაღანას წარმომავლობის ამსახველ დოკუმენტს და ამის მიუხედავად, რატომღაც არ შემიყვანია ელისაბედ გიორგის ას. ერისთავის შთამომავლები (მაღანები, ი.რ.) ჩემს წიგნში „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“.

ამასთან დაკავშირებით ლოგიკურად ისმის ერთი შეკითხვა: თუ მე გავეცანი ი.ბიჭიკაშვილის მიერ წარმოდგენილ მასალებს, დავრწმუნდი მათ საფუძვლიანობაში და ამის შემდეგ დავამონე ქალის ხაზით გიორგი XII-საგან გრიგოლ მაღანას წარმომავლობის ამსახველი დოკუმენტი, მაშინ რა მოხდა მერე, რატომ ავიტკივე აუტკივარი თავი და უარყავი ეს ფაქტი, რატომ დავახარჯე ამდენი დრო და ენერგია მის გაბათილებას, რაში მჭირდებოდა ეს? ან რა ხდება დღეს, რატომ ვერ ვადასტურებ იმავე ფაქტს ამჯერად წარმოდგენილი მასალების საფუძველზე? რა გამოდის – მაშინ, როდესაც მოვანერე ხელი, სხვა დოკუმენტები იქნა წარმოდგენილი, რომლებიც სადღაც გაქრა, ახლა კი სხვა დევს ჩემს მაგიდაზე? თუ მაშინაც ეს დოკუმენტები იყო, მაგრამ არ ვიყავი სრულ ჭკუაზე და ისე მოვანერე ხელი, ახლა კი გონება გამეხსნა? რა ინტერესი მქონდა, რომ არ გამომექვეყნებინა ი.ბიჭიკაშვილის მიერ გამოკვლეული და ჩემს მიერვე ხელმონერილი დოკუმენტი (თუ მართლაც მოვანერე მას ხელი საღ აზრზე), თუკი იმ დროისათვის მასთან ჯერ კიდევ ვთანამშრომლობდი, ვენდობოდი და რომელთან ერთადაც ვამზადებდი ბაგრატიონ-მუხრანელების შესახებ წიგნს გამოსაცემად?

ბოლოს და ბოლოს, თუ მართლა დავრწმუნდი წარმოდგენილი მასალების სისწორეში და ისე მოვანერე ხელი დოკუმენტს, რომელიც აკანონებდა გიორგი XII-საგან გრიგოლ მაღანას წარმომავლობას, რატომ დავმალავდი ამ ფაქტს თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ გრიგოლ მაღანას ქალიშვილები არიან გიორგი XII-ს უპირატესი შთამომავლის, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის შვილიშვილები და ატარებენ ბაგრატიონი-გრუზინსკის გვარს? იქიდან გამომდინარე, რომ ისინი იქნებოდნენ ერთი და იგივე მეფის შთამომავლები

როგორც დედის, ისე მამის ხაზით, წიგნში მათი ჩართვით შინაარსობრივად ხომ მოიგებ-
და ჩემი გამოცემა, მამ რატომ დავმალავდი ამ ფაქტს? რატომ დავმალავდი სიმართლეს
თუნდაც იმიტომ, რომ ბაგრატიონი-გრუზინსკების ამ ოჯახის ორ წევრთან მაკავშირებდა
გამორჩეულად კეთილი განწყობა, რატომ არ შევიყვანდი გრიგოლ მალანიას ქალიშვილებს
წიგნში თუნდაც ამ ადამიანების გამო?

ახლა დავუბრუნდები ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გასაცნობად გამოგზავნილ წერ-
ილს და მის თანდართულ მასალებს. გადმოგზავნილ მასალებს შორისაა, ასევე:

გ) საარქივო, მეტრიკული ჩანაწერების და სხვა დოკუმენტების: პროფკავშირის ბილე-
თი, სამხედრო ბილეთის დანართი, ნამსახურობის სია, საქმესთან არანაირი კავშირის მქონე
პიროვნებების დაბადების, გარდაცვალების, თუ ქორწინების ჩანაწერები (ასლები);

დ) იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ ჩამოთვლილი იმ სამეცნიერო ნყაროების ნუსხა, რო-
მელიც, მის მიერ ჩემთვის გასაცნობად გამოგზავნილი წერილის თანახმად, ადასტურებს
გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობას, (მაგრამ როგორც შემდგომში აღ-
მოჩნდა – ახლოსაც კი არ არის განსახილველ საკითხთან. ი.ჩ.).

გადმოგზავნილი უამრავი მეტრიკული ჩანაწერიდან შევხებები მხოლოდ ერთს, გი-
ორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დაბადების ჩანაწერს, რომელიც, შემდგომ, არქივში
თავადაც შევისწავლე (იხ. დანართი II-3, გვ.55), ვინაიდან იგი ერთადერთია, რომელიც
შეხებაშია კონკრეტულად დავის საგანთან. რაც შეეხება დანარჩენ ჩანაწერებს და სხვა
დოკუმენტებს: ისინი, ძირითადად, წარმოადგენს მგალობლიშვილების ოჯახის საკუთრებას
ან ისეთი პიროვნებების საარქივო ჩანაწერებს, რომელთაც კავშირიც კი არ აქვთ განსახ-
ილველ თემასთან, ამიტომ მათ ვერ და არ განვიხილავ, მაგრამ თუ ბ-ნი ბიჭიკაშვილი არ
გაიზიარებს ჩემს მოსაზრებას, რომ ისინი არანაირ შეხებაში არ არიან საკითხთან: არის
თუ არა გრიგოლ მალანია გიორგი XII-ს შთამომავალი (ყოველ შემთხვევაში-ელისაბედ
გიორგის ას. გურიის ერისთავის ხაზით), არ ვიქნები წინააღმდეგი, თუ იგი მათ, როგორც
სადაო საკითხის გადასაჭრელად საჭირო „მტკიცებულებებს“, თავად გამოაქვეყნებს, რათა
ჩემს გარდა სხვა მკვლევარებმაც შეისწავლონ და თქვან – ადასტურებენ, თუ არა ისინი,
რამენაირად, იმ ფაქტს, რომ გრიგოლ მალანიას წინაპარი, ქალის ხაზით, არის ელისაბედ
გიორგის ას. გურიის ერისთავი და, შესაბამისად, გიორგი XII-ც. საერთოდ, აქვთ თუ არა
ამ მასალებს თუნდაც მცირედი შეხება სადაო საკითხთან. პირადად მე, გადმოგზავნილი
მასალის სიუხვის მიუხედავად, ასეთი დასკვნა ვერ გავაკეთე. კერძოდ, იქ ვნახე საქმესთან
კავშირში არმქონე უამრავი ჩანაწერი და ვერ ვნახე ვერც ერთი, რომელიც პრობლემას

შეეხებოდა. კერძოდ, არ ფიგურირებდა ის 2 აუცილებელი საბუთი, რომელთა გარეშეც ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ფრაგმენტი და, შესაბამისად, ჩემი ხელმონერით წიგნში განთავსებული დოკუმენტი შეიძლებოდა ჩამეთვალა სარწმუნოდ.

ეს 2 დოკუმენტია:

1) ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილზე დაქორწინების დამადასტურებელი რაიმე საბუთი;

2) გრიგოლ მაღანას დედის, ნანა მაგლობლიშვილის პირდაპირი წინაპრის – გიორგი მერაბის ძე მაგლობლიშვილის დაბადების ის ჩანაწერი, სადაც დედად მოხსენიებული იქნებოდა ელისაბედ გიორგის ასული, თუნდაც გვარის გარეშე იმ შემთხვევაში, თუ გვექნებოდა ხელთ ელისაბედ გიორგის ას. ერისთავის და მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილის ქორწინების მოწმობა (მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ როდესაც ვიხსენიებ გიორგი მერაბის ძე მაგლობლიშვილს გრიგოლ მაღანას წინაპრად, ვეყრდნობი ი. ბიჭიკაშვილის მონაცემებს. თავად მე არც ის გამომიკვლევია, არის თუ არა გიორგი მერაბის ძე მაგლობლიშვილი გრიგოლ მაღანას დედის, ნანა მაგლობლიშვილის წინაპარი).

მოკლედ რომ ვთქვა, ი.ბიჭიკაშვილმა გადმომიგზავნა სოლიდური მოცულობა დოკუმენტებისა და ბიბლიოგრაფიისა, რომელთაც არანაირი შეხება არ აქვთ სადაო საკითხთან. სამაგიეროდ, ამ მასალების სიმრავლეში არ დაავიწყდა „შეეხებინა“ ის, რაც ჩემთვის ისედაც მრავალი წელია ცნობილია, რაც მან თავად ჩემგან იცის და რისი გამოქვეყნებაც, მცდელობის მიუხედავად, რომ ეს არ მომხდარიყო, კიდევ კარგი მოვასწარი წიგნში „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ (თბილისი, 2015 წ.). კერძოდ, მის მიერ ჩემთვის „გასაცნობად“ გამოგზავნილი გენეალოგიური ფრაგმენტის თითქმის ნახევარი უჭირავს ჩემსავე მონაცემებს – მეფე გიორგი XII-დან ელისაბედ გურიის ერისთავამდე ანუ იმას, რაც უკვე გამოქვეყნებული მაქვს. ამის შემდგომ კი, 2 გვერდზე მეტი იმ წყაროების ჩამონათვალს, რომელიც ჩემს მიერვე იყო მრავალი წლით ადრე დამუშავებული და მან ეს შესანიშნავად იცის. რისთვის კეთდება ეს? რატომ მიგზავნის იმას, რაც ისედაც ცნობილია ჩემთვის და რაც არ არის (წარსულში, სამწუხაროდ, მისდამი ჩემი ნდობიდან გამომდინარე) საიდუმლო მისთვის?

გადმოგზავნილ მასალებს შორის არის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც, წესით, უნდა ეხებოდეს ელისაბედ გიორგის ასულ გურიის ერისთავისაგან გრიგოლ მაღანას წარმომავლობას, მაგრამ არ ეხება. წარმოგიდგენთ ამ დოკუმენტის ასლს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავადაც შევისწავლე არქივში, რამდენადაც ერთადერთია ი.ბიჭიკაშვილის მიერ

ჩემთვის გადმოგზავნილი მასალების სიმრავლეში, რომელსაც ირიბი შეხება აქვს განსახილველ საკითხთან. ამ დოკუმენტის სკანირებული ასლი ილუსტრირებული მაქვს დანართი II-3-ის სახით (გვ.55). იგი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისი დედნის საკუთარი თვალით შესწავლამ მომცა საფუძველი, შემდგომ მოძიებულ დოკუმენტებთან ერთად, რომ გრიგოლ მალანას სახელზე გაცემული საბუთი გამომეცხადებინა იურიდიული ძალის არმქონედ.

კერძოდ, დანართი II-3-ით (გვ.55) წარმოდგენილი სააქტო ჩანაწერიდან (ფონდი №489, აღწერა №6, საქმე №1556, ფურც. 135-ის მე-2 მხარე) დასტურდება, რომ დედის ხაზით გრიგოლ მალანას პირდაპირი წინაპრის, გიორგი მგალობლიშვილის მამა ნამდვილად არის მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი, მაგრამ იქვე გიორგის დედად იხსენიება **„სჯულღიერი“ ცოლი მერაბისა ელისაბედ სიმონის (და არა გიორგის) ასული**, გვარის გარეშე, ისე როგორც, უმეტესად, იხსენიებიან გვარის გარეშე დედები „სინოდალური კანტორის“ ჩანაწერებში. მოცემულ ჩანაწერში გიორგის დედის, ელისაბედის მამის სახელად ნათლად იკითხება „გიორგი“, რომელიც გადახაზულია „სინოდალური კანტორის“ მოხელის მიერვე და შეცვლილია სახელით „სიმონი“. რომც იყოს გიორგის დედა ელისაბედ გიორგის ასული, მაგრამ გვარის გარეშე, ეს მაინც ვერ მოგვცემდა მტკიცების საფუძველს, რომ საქმე გვაქვს კონკრეტულად ელისაბედ გიორგის ასულ გურიის ერისთავთან, ვინაიდან იგივე სახელის და მამის სახელის მატარებელი შესაძლოა იყოს სხვა გვარისაც და არა ერთი. **მიუხედავად იმისა, რომ გიორგის დაბადების ჩანაწერში ხსენებაც კი არ არის, რომ მისი დედა არის არა თუ ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავი, არამედ უბრალოდ ელისაბედ გიორგის ასულიც კი, გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დაბადების მეტრიკულ ჩანაწერს, რომელიც გადმომიგზავნა გასაცნობად, ი.ბიჭიკაშვილმა მაინც გაუკეთა მინაწერი, თითქოსდა გიორგი არის „შვილი ელისაბედ, თავად (კნ.[კნიაზ]) გიორგი [გურიის ერისთავის] ასულისა“.**

გადმოგზავნილი “მოკლე ისტორიული ცნობიდან” (რომლის მოკლე შინაარსიც გადმოვეცი 28-29-ე გვერდებზე) და გიორგი მგალობლიშვილის ზემოთ მოტანილ მეტრიკულ ჩანაწერზე ბ-ნი ბიჭიკაშვილის მიერ გაკეთებული მინაწერიდან ჩანს, რომ იგი აღიარებს ელისაბედ გიორგის ას გურიის ერისთავს მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ცოლად მხოლოდ იმიტომ, რომ მერაბ მგალობლიშვილის უფროს ვაჟს ჰქვია ივლიანე, რომელიც, მისი ვარაუდით, მაინც და მაინც მერაბის ცოლის, ელისაბედ გურიის ერისთავის ძმის სახელია, ხოლო უმცროს ვაჟს ჰქვია გიორგი იმიტომ, რომ ასე ერქვა ელისაბედ გურიის ერისთავის მამას და ამავე დროს თვით მერაბის ძმასაც.

მოკლედ, **ი.ბიჭიკაშვილის ვერსიით, მხოლოდ იმიტომ, რომ მერაბ მგალობლიშვილის შვილების სახელები ემთხვევა ელისაბედ გურიის ერისთავის ძმის და ამავე ქალბა-**

ტონის მამის სახელებს, უბრალოდ კი არ უნდა ვივარაუდო, არამედ ეჭვის გარეშე უნდა დავასკვნა, რომ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე ანუ მისი შვილების დედა არის აუცილებლად ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი და რომ ეს სახელები ელისაბედმა, თითქოსდა, დაარქვა შვილებს საქართველოში გავრცელებული ტრადიციების მიხედვით: უფროსს – საკუთარი ძმის, ხოლო უმცროსს-საკუთარი მამის და, ამავდროულად, მამლის.

ლამაზი ვერსიაა, მაგრამ ეს ხომ უნდა იყოს ირიბი და არა პირდაპირი მტკიცებულება იმისა, რომ გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დედა არის ელისაბედ გიორგის ას. ერისთავი (და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გიორგი მგალობლიშვილის დედა იქნებოდა ელისაბედი არა სიმონის, არამედ გიორგის ასული), რომელმაც, ი.ბიჭიკაშვილის სიტყვებით, შვილებზე ამ სახელების დარქმევით, ერთგვარი „სამხილი“ დაგვიტოვა. ამასთან დაკავშირებით აქ შეიძლება ასეთი კითხვაც დავსვათ: იმავე ქართული ტრადიციების მიხედვით რატომ არ დაარქვა ცოლ-ქმარმა პირმშოს, ან რომელიმე შვილს, მამის მხრიდან ბაბუის სახელი, ანუ დავითი? ან თუ მაინც და მაინც ელისაბედის ოჯახის წევრების სახელები უნდა დარქმეოდათ შვილებს, რატომ პირიქით არ მოხდა, რატომ უფროსს არ დაარქვეს ქალის მამის სახელი, ანუ გიორგი, ხოლო უმცროსს ძმის სახელი – ივლიანე? ეს ხომ უფრო იქნებოდა ტრადიციის გამოძახილი? ასე რომ **მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით, შეიძლებაოდა თუ არა დავთანხმდები მას, რომ მერაბ მგალობლიშვილის მეუღლე არის აუცილებლად ის ელისაბედ გურიის ერისთავი, რომელიც, ჩემი გამოკვლევების თანახმად, იყო შთამომავალი მეფე გიორგი XII-ის და რომელსაც ნამდვილად ჰყავდა მამა, სახელად გიორგი და ძმა, სახელად ივლიანე? მხოლოდ ამ ვარაუდების საფუძველზე შემიძლო, რომ სარწმუნოდ ჩამეთვალა ელისაბედ გურიის ერისთავის ხაზით გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობა?** ეს ელისაბედ გურიის ერისთავი ჩემს წიგნში, „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“, არ ფიგურირებს გიორგი გურიის ერისთავის შვილთა ჩამონათვალში, ნუსხა 15-ში, სწორედ იმ მიზეზით, რომ უცნობი იყო ჩემთვის, წიგნის გამოცემის დროისთვის, მისი შთამომავლობა. ვიცოდი მხოლოდ ის, რომ 1846 წელს, თავად-აზნაურთა აღწერის მასალების თანახმად, ის იყო გათხოვილი, მაგრამ არ ვიცოდი ვისზე. წიგნში კი, მისი ფორმატიდან გამომდინარე, შეყვანილი მყავს ამა თუ იმ პიროვნების არა ყველა შვილი, არამედ მხოლოდ ისინი, ვისმა შთამომავლებმაც, ქალის ხაზით, ჩემი მონაცემებით, მოაღწიეს მე-20 საუკუნემდე.

თავიდან, მცირე ალბათობით, მაგრამ შესაძლებლად მივიჩნე, რომ ი.ბიჭიკაშვილის ვარაუდი შესაბამისობაში ყოფილიყო სინამდვილესთან, მაგრამ **ეს ვარაუდები რომც გაეცნო ჩემთვის მის ავტორს, მაინც ვერ მოვანერდი ხელს დოკუმენტს მხოლოდ მათზე დაყრდნობით, ვინაიდან ოფიციალური დოკუმენტების დამოწმებისას ვხელმძღვანელობ პირდაპირი**

და არა ირიბი მტკიცებულებებით, მათ შორის უმთავრესი – XX ს-ის 20-იან წლებამდე მეტრიკული ჩანაწერებით და შემდგომ პერიოდში – უშუალოდ ოჯახების ინფორმაციით, თუმცა მსგავს ვარაუდებს (არა მტკიცებით ფორმაში) არ უარვყოფ. მაგრამ იყო სერიოზული „მაგრამ“. ბევრი რამ ინვევდა ეჭვს, რომ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გადმოგზავნილი ისტორიული ნარკვევი არ უნდა ასახავდეს რეალობას. შევეცდები პუნქტობრივად გადმოვცე ეჭვის საფუძვლები:

1) მოკლე ისტორიული ცნობის თხრობის სტილი არ ნააგავდა კვლევის შედეგების ნამდვილობას;

2) ბ-ნი ბიჭიკაშვილი წერს მხოლოდ იმის შესახებ, რომ XIX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავი გახდა აზნაურ მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილის მეუღლე, მაგრამ ვერ აკონკრეტებს, კერძოდ როდის. ელისაბედ გურიის ერისთავი 1846 წელს რომ უკვე იყო გათხოვილი, მხოლოდ არ ვიცოდი – ვისზე, ამ ნარკვევის ავტორისთვის, ჩემგანვე, დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი. თუ ჩემგან მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ მან მიაკვლია მოცემული ქალბატონის მერაბ მაგალობლიშვილზე დაქორწინების მეტრიკულ ჩანაწერს, მაშინ იქ წელი, თვე და რიცხვიც კი მითითებული იქნებოდა. აქედან გამომდინარე იგი არ დაწერდა, რომ ეს „ქორწინება“ შედგა „40-იანი წლების ბოლოს“. ამან აღძრა ეჭვი, რომ ი.ბიჭიკაშვილს ასეთი ქორწინების დამადასტურებელი საბუთი არ გააჩნია. ამ ქორწინების თარიღად კი ასახელებს მე-19 ს-ის 40-იანი წლების ბოლოს, რათა, ჩემი აზრით, გაამართლოს პირველი შვილის, ივლიანეს, დაბადება, მისი მონაცემით, მხოლოდ 1852 წელს (ამ ივლიანეს დაბადების წელი, შემდგომში, მოიძია ჩემმა უმცროსმა კოლეგამ ლერი ლორთქიფანიძემ და ის აღმოჩნდა 1853). ეს იყო **ეჭვი №1**;

3) ჩემთვის გასაცნობად წარმოდგენილი, ი.ბიჭიკაშვილისეული გენეალოგიური ფრაგმენტიდან ვიგებთ, რომ მერაბ მაგალობლიშვილის პირველი შვილი, ივლიანე ჩნდება მაშინ, როდესაც ელისაბედ გურიის ერისთავი, ი.ბიჭიკაშვილის მონაცემებით, არის 31 წლის, ჩემი მონაცემებით კი 33 წლის. მე-19 საუკუნისთვის ეს ასაკი დაგვიანებულად ითვლება პირველი მშობიარობისთვის, თუმცა თეორიულად შესაძლებელია, რომ შეესაბამებოდეს რეალობას, თან თუ მანამდე ბავშვები ჩნდებოდნენ, მაგრამ მიზეზთა გამო ადრევე იღუპებოდნენ. დავუშვათ, რომ ეს ფაქტი არის **გამონაკლისი №1**, მაგრამ მაინც ეჭვის საფუძველი. ჩემთვის ეს არის **ეჭვი №2**;

4) მის მიერვე წარმოდგენილი გენეალოგიური ფრაგმენტიდან ჩანს, რომ მერაბ მაგა-

ლობლიშვილის მეორე შვილი, გიორგი იბადება პირველის, ივლიანეს დაბადებიდან 10 წლის შემდეგ, 1862 წელს. ესეც კიდევ ერთი ანომალია. მთელი 10 წლის მანძილზე არცერთი შვილი აღარ დაბადებულა? ძნელი დასაჯერებელია, თუმცა თეორიულად შესაძლებელი. ჩავთვალოთ, რომ ეს არის **გამონაკლისი №2**, მაგრამ ჩემთვის **ექვი №3**;

5) ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ფრაგმენტის თანახმად, მერაბ მაგლობლიშვილის ბოლო შვილის, გიორგის დაბადების წელია 1862. ამ დროისათვის, ი.ბიჭიკაშვილის მონაცემებით, ელისაბედ გურიის ერისთავი არის 41-ის, ხოლო ჩემი მონაცემებით – 43 წლის. კიდევ ერთი ანომალია? ვფიქრობ, საკმაოდ ხანდაზმული ასაკია (მე-19 საუკუნეში) შვილის გაჩენის თვალსაზრისით, თუმცა თეორიულად ესეც შესაძლებელი. კიდევ ერთი, **გამონაკლისი №3**, ჩემთვის კი **ექვი №4**;

6) ი.ბიჭიკაშვილმა, არასაჭირო უამრავ მასალასთან ერთად, გადმომიგზავნა ივლიანე მერაბის ძე მაგლობლიშვილის გარდაცვალების ჩანაწერი, რომლითაც ვიგებ მხოლოდ იმას, რომ ივლიანეს მამა ნამდვილად არის მერაბ (მამის სახელის გარეშე) მაგლობლიშვილი. მჭირდებოდა კი ეს საბუთი იმის გასარკვევად – ვინ არის მერაბის მეუღლე ანუ არის თუ არა ის ელისაბედ გურიის ერისთავი? რა თქმა უნდა, არა! გარდაცვალების მოწმობაში ხომ დედა არ არის მოხსენიებული. მაგრამ ამ ჩანაწერმა ერთი მინიშნება კი გამიკეთა: ვინაიდან აღნიშნული საბუთი ი.ბიჭიკაშვილმა მოიძია სოფელ ერკეთის საეკლესიო ჩანაწერებში, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ იქვე არ ენახა იმავე ივლიანეს დაბადების მოწმობა. ეჭვს იწვევდა ის, რომ დაბადების ჩანაწერი არ ფიგურირებდა გადმოგზავნილ მასალებში. თავისთავად გამიჩნდა შეკითხვა – რატომ? იქნებ ივლიანეს დედა არ არის ელისაბედ გიორგის ასული. სრულიად ლოგიკური იყო მეფიქრა, რომ მერაბ მაგლობლიშვილის ამ 2 შვილის, ივლიანეს და გიორგის დედა (თუ მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილს მათ გარდა სხვა შვილი არ ჰყავდა) – ორი სხვადასხვა პიროვნებაა, იმდენად დიდი იყო სხვაობა მათი დაბადების წლებს შორის, ან ივლიანე და გიორგი იყვნენ 2 სხვადასხვა მერაბის შვილები, ოღონდ ორივეს მამის სახელი და გვარი იყო თანხვედრილი – მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილი. დავუშვი ეს, მაგრამ ფაქტი ჯერ ხელთ არ მქონდა. თუმცა ისიც დავუშვი, რომ, შესაძლოა ივლიანე სხვა სოფელში დაიბადა, გარდაიცვალა კი ერკეთში. მცირე იყო ამის ალბათობაც, თუკი ერკეთელი მერაბ მაგლობლიშვილის მეუღლე ნამდვილად იყო იმავე ერკეთელი ელისაბედ გურიის ერისთავი. მაგრამ მცირე ალბათობა არ გამორიცხავდა იმას, რომ ასეთი რამ მომხდარიყო. ჩავთვალოთ, რომ აქაც საქმე გვაქვს გამონაკლისთან და ეს არის **გამონაკლისი №4**, ჩემთვის კი **ექვი №5**;

ამრიგად, ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილმა ისტორიულმა ნარკვევმა და გენეალოგიურმა ფრაგმენტებმა მომცა ხუთჯერადი ეჭვის საფუძველი და გამოკვეთა 4 ანომალია, გამონაკლისის სახით. ეს სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ გრიგოლ მალანის სახელზე გაცემულ ცნობაზე ჩემი ხელმოწერის ნამდვილობა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო და მომეხდინა მისი ბათილად გამოცხადება. მაგრამ მაინც არ მსურდა ჩრდილი მიდგომოდა ბაგრატიონი-გრუზინსკების იმ ოჯახს, რომლის პირველი სიძეც იყო გრიგოლ მალანია და რომელიც, ვფიქრობდი, რომ არ იყო საქმის კურსში – რა გზით იქცა იგი გიორგი XII-ს შთამომავლად. ასევე მჯეროდა, რომ თვით ბაგრატიონი-გრუზინსკების ოჯახიც არ იყო ამის საქმის კურსში. თუ რა იყო გრიგოლ მალანის გიორგი XII-ს შთამომავლად გამოცხადების მიზანი, მხოლოდ ვარაუდის, ეჭვის დონეზე შეიძლება ვიცოდეთ, ამიტომ არ მსურს მასზე ყურადღების გამახვილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ მოვიხსენიებ საკითხის ბაგრატიონთა ოჯახის შიგნით, უხმაუროდ გარკვევა და თუ ი.ბიჭიკაშვილი ვერანაირ საბუთს ვერ წარმოადგენდა გრიგოლ მალანის სამეფო წარმომავლობის შესახებ, თავადვე მოეძებნა გზა, რომ ოჯახისთვის უმტკივნეულოდ მომხდარიყო ამ საბუთის გაუქმება, მე კი არ გავახმაურებდი ამ ფაქტს. აქ საქმეში ჩაერთო როგორც გრუზინსკების ოჯახის, ისე ჩემი ახლო მეგობარი. მან სცადა მოეხდინა ჩემი და ი.ბიჭიკაშვილის შეხვედრა „ბაგრატიონთა სახლის“ წარმომადგენელთა თანდასწრებით, მაგრამ მისი მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა. ეს იყო ბოლო წერტილი მთელ ამ ისტორიაში. მივხვდი, რომ საქმე თავად უნდა მიმეყვანა ბოლომდე და გამერკვია სიმართლე. ამას უკვე პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ჩემი რეპუტაციის თვალსაზრისით. უკვე აღარავის დანდობას აღარ ვაპირებდი, ოღონდ მხოლოდ სიმართლის გზით, დოკუმენტების მოხმობით.

ადვოკატის რჩევით, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის დარწმუნებული ვიყავი გრიგოლ მალანის სახელზე გაცემული დოკუმენტის დამადასტურებელი მასალების არარსებობაში, მაინც დავიცავი ყველა იურიდიული ეტაპი. გადავწყვიტე კიდევ ერთხელ, დამატებით მომეთხოვა ი.ბიჭიკაშვილისგან ის საბუთები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ გრიგოლ მალანის წინაპრის, გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დედა ნამდვილად არის ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავი. ამის დასადასტურებლად კი საჭირო იყო ელისაბედ ერისთავისა და მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ქორწინების მოწმობა და ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე მოწმობა, რომ გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დედა არის ელისაბედ გიორგის (და არა სიმონის) ასული, თუნდაც გვარის გარეშე. მაგრამ, თუ არ გაგვაჩნია დასტური, რომ მერაბ მგალობლიშვილი დაქორწინებულია ელისაბედ გურიის ერისთავზე, მაშინ საჭირო იყო საბუთი, საიდანაც გამომდინებოდა, რომ გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დედა არის არა უბრალოდ ელისაბედ გიორგის ასული (გვარის გარეშე),

არამედ კონკრეტულად ელისაბედ გიორგის (და არა სიმონის) ასული გურიის ერისთავი.

გადმოგზავნილ „მოკლე ისტორიულ ცნობაში“ ბ-ნი ბიჭიკაშვილი დამაჯერებლად მამცნობს, რომ XIX ს-ის 40-იანი წლების ბოლოს ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავი, თურმე, გახდა აზნაურ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე, რომელიც ასევე სოფელ ერკეთში ცხოვრობდა. **ამ წინადადებიდან და იქიდან გამომდინარე, რომ თავის ფეისბუქ – ღია წერილში იგი ბრძანებდა, ყველა მტკიცებულება წარუდგინეთ იური ჩიქოვანს და ამის მერე მოაწერა მან ხელი დოკუმენტს, გაცემულს გრიგოლ მალანას სახელზე, მიზერული ალბათობით, მაგრამ მაინც უნდა მეფიქრა, რომ მას ხელთ ჰქონდა ასეთი ქორწინების დამადასტურებელი რაიმე საბუთი ან სააქტო ჩანაწერი, რომლის გადმოგზავნაც, მასალების სიმრავლის გამო, შესაძლოა, გამორჩა, თუმცა არ გამორჩა მის მიერ შედგენილი გენეალოგიური ფრაგმენტიდან ერთ-ერთი ფიგურანტის პროფკავშირის ბილეთის, სამხედრო ბილეთის დანართის და ნამსახურობის სიის გადმოგზავნა, რომელთა გამოყენება გენეალოგიის შესადგენად ვერაფრით მოვახერხე.**

თუ არ მექნებოდა პირდაპირი (და არა ირიბი) მტკიცებულებები, ვერაფრით გავიზიარებდი ვარაუდს იმის თაობაზე, რომ გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილი (ი.ბიჭიკაშვილის მონაცემებით გრიგოლ მალანას წინაპარი დედის, ნანა მგალობლიშვილის ხაზით), არის ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის შვილი. შესაბამისად, ვერ დავადასტურებდი ფაქტს, რომ გრიგოლ გრიგოლის ძე მალანია არის ელისაბედ გურიის ერისთავის და, მის ზემოთ, გიორგი XII-ს შთამომავალი ქალის ხაზით.

აქედან გამომდინარე, ისევ ჩემი ადვოკატის ხელმოწერით, ელ.ფოსტით გაგზავნილი მეორე წერილით შევატყობინე ი.ბიჭიკაშვილს, რომ მის მიერ ჩემთვის გასაცნობად გადმოგზავნილ მასალებში, მათი სიუხვის მიუხედავად, არ მოიძებნა ელისაბედ გურიის ერისთავისაგან გრიგოლ მალანას წარმომავლობის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება, რის გამოც მოვთხოვე მას იმ 2 აუცილებელი საბუთის ასლების გადმოგზავნა, რომლის გარეშეც გრიგოლ მალანას სახელზე გაცემულ დოკუმენტს ვერ ჩავთვლიდი სარწმუნოდ. შევახსენე ეს 2 დოკუმენტი. იმედი მქონდა, რომ ამჯერად მაინც არ გადმოგზავნიდა ისეთ სიუხვეს მასალებისა, რომლებიც საერთოდ არ ეხება განსახილველ თემას. ბოლო წერილით კი ვატყობინებდი, რომ საჭირო დოკუმენტების მიუღებლობის შემთხვევაში გიორგი XII-საგან გრიგოლ მალანას წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთი №5, 20.01.2015 წ., გამოცხადებული იქნებოდა ჩემი მხრიდან იურიდიული ძალის არმქონედ და ამის შესახებ ინფორმაციას გავავრცელებდი მედიის და პუბლიკაციების მეშვეობით.

ბოლო წერილის გაგზავნის შემდეგ ბ-ნი ბიჭიკაშვილისგან არანაირი პასუხი აღარ ყოფილა, რაც აღქმულ იქნა ჩემს მიერ, როგორც ფაქტი, რომ მას ან არ გააჩნდა სადაო საკითხის გადასაჭრელად საჭირო მასალები ან არ სურდა მათი გადმოცემა ჩემთვის. საჭ-

ირო იყო თავად მემოქმედა, რისთვისაც, პირველ რიგში, შევუდექი ჩემს მიერ 32 წლის მანძილზე მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავებას იმ იმედით, რომ წავანყებოდი რაიმე ხელჩასაჭიდს ელისაბედ გურიის ერისთავის ქორწინების შესახებ. ამ მიზნით მოვახდინე ყველა თავადი მამაკაცის იმ მეუღლეების მონაცემების რევიზია, რომელთა გვარი არ იყო ჩემთვის ცნობილი, მაგრამ მათი შვილების დაბადების ჩანაწერებიდან ვიცოდი, რომ ამ შვილების დედა იყო ვინმე ელისაბედ გიორგის ასული. ამოსავალ წერტილად ვიღებდი იმ ფაქტს, რომ ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი, თავად-აზნაურთა აღწერის მასალების და, შესაბამისად ჩემს ხელთ არსებული მონაცემების, მიხედვით დაბადებულია 1819 წელს ან 1820 წლის დასაწყისში. აქედან გამომდინარე, შვილების დაბადება უნდა იწყებოდეს დაახლოებით 30-ანი წლების ბოლოს, 40-იანი წლების დასაწყისში. ვვარაუდობდი, რომ ამ ელისაბედის მეუღლე, დიდი ალბათობით, უნდა ყოფილიყო გურიის თავადებიდან, ამიტომ საწყის ეტაპზე დავათვალიერე სწორედ გურიის მონაცემები, შემდგომ კი მთელი დანარჩენი საქართველოსი. ასზე მეტი რეგულარული შესწავლის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე ელისაბედ გიორგის ასული, მაგრამ მხოლოდ ერთი აკმაყოფილებდა გენეალოგიური პარამეტრებით წაყენებულ პირობებს. ეს იყო გურიის სოფელ გურიანთის საარქივო მონაცემები, რომელთა თანახმად თავად ანტონ კაცოას (კაცოს) ძე ნაკაშიძის (1804-1869) რვავე შვილის დედად იხსენიება ელისაბედ გიორგის ასული. მათი პირველი შვილის, გრიგოლის (გიგოს) დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია. ვიცი მხოლოდ, რომ იგი, შვილების ჩამონათვალში უფროსია. მეორე შვილი, კაცო და დანარჩენები ჩნდებიან 1840 წელს და შემდგომ, ანუ იმ დროიდან, როდესაც გურიაში, უკვე, ხდება მეტრიკული აღრიცხვიანობა, რის გამოც დაბადება-გარდაცვალების წლები ზუსტდება. კერძოდ, ანტონ ნაკაშიძის და ელისაბედ გიორგის ასულის მეორე ვაჟი, კაცო, იბადება 1840 წლის 15 თებერვალს, ასე რომ, პირველის დაბადების წელი უნდა იყოს 1838-1839. ამ დროისათვის ელისაბედ გიორგის ასული ერისთავი, ჩემი მონაცემებით არის 19-20 წლის, ხოლო ი.ბიჭიკაშვილისეული გენეალოგიის თანახმად – 17-18 წლის. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს გაცილებით ახლოა XIX საუკუნის რეალობასთან, ვიდრე ი.ბიჭიკაშვილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, თუ ელისაბედ გურიის ერისთავი იქნებოდა მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილის მეუღლე, მაშინ პირველი შვილის გაჩენის მომენტში იგი გამოდიოდა, ჩემი მონაცემით, 33 წლის.

კაცოს დაბადების შემდეგ, ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, ანტონ ნაკაშიძეს ელისაბედ გიორგის ასულთან შეეძინა კიდევ 6 შვილი, მათგან ბოლო – დავითი – 1854 წელს (ანუ მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილის პირველი შვილის, ივლიანეს, დაბადებიდან, ი.ბიჭიკაშვილისეული გენეალოგიური ფრაგმენტის თანახმად, ორი წლის შემდეგ). ამ დროისათვის ელისაბედ გურიის ერისთავი არის, ჩემი მონაცემებით 35 წლის, რაც სრულიად ბუნე-

ბრივი ასაკია ბოლო შვილზე მშობიარობისთვის (ვგულისხმობ XIX საუკუნეს). და ეს მაშინ, როდესაც, თუ ელისაბედ გურიის ერისთავი, ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის მოწოდებული „მოკლე ისტორიული ცნობის“ თანახმად, იქნებოდა მეუღლე მერაბ მაგლობლიშვილის, მაშინ მას ბოლო შვილი, გიორგი გაუჩნდებოდა 43 წლის ასაკში. თუ ვარაუდებზე ავაგებდი დასკვნას (რასაც არასდროს ვაკეთებ, თუმცა ვარაუდების არსებობის უფლებას არ უგულებელვყოფ), მაშინ ხომ უბრალოდ უფრო შესაძლებლად კი არა, არამედ გაცილებით მეტად შესაძლებლად უნდა დამეშვა, რომ ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი მეუღლეა არა მერაბ მაგლობლიშვილის, არამედ ანტონ ნაკაშიძის?

მთელი ჩემი არქივის დამუშავებამ ვერც ერთი სხვა გვარიდან ვერ გამოავლინა სხვა ელისაბედ გიორგის ასული, რომელიც იყო რომელიმე თავადის მეუღლე და, შვილების დაბადების წლებიდან გამომდინარე, შესაძლოა ყოფილიყო თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასული. როგორც ლოგიკით, ისე ინტუიციით **თითქმის დარწმუნებული ვიყავი, უკვე, რომ ელისაბედ გურიის ერისთავი იყო მეუღლე არა აზნაურ მერაბ დავითის ძე მაგლობლიშვილის, არამედ ანტონ კაცოს ძე ნაკაშიძის და რომ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის მოწოდებული ისტორიული ნარკვევი და გენეალოგიური ფრაგმენტი არ ასახავს რეალობას.**

ამას ყველაფერს სჭირდებოდა საარქივო მონაცემებით გამყარება. არ მსურდა თავადაც ვარაუდებზე დაყრდნობით გამეკეთებინა დასკვნა. ქუთაისის ცენტრალურ არქივამდე (**ქცა**), ლერი ლორთქიფანიძესთან ერთად დავინყე საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივის (**სცა**) ფონდების შესწავლა, ვინაიდან საჭირო იყო ერკეთის და გურიანთის მეტრიკული ჩანაწერების დამუშავება, რათა მიგვეკვლია მერაბ მაგლობლიშვილის და ანტონ ნაკაშიძის შესახებ რაიმე აუცილებელი საბუთისთვის, რომელიც დამეხმარებოდა დამემტიცებინა, რომ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი ისტორიული ნარკვევი და გენეალოგია არ შეესაბამება სინამდვილეს. ერთი ნამდვილად ვიცოდი – ვერსად ვნახავდი ანტონ ნაკაშიძის ქორწინების ჩანაწერს, ვინაიდან, პირველი შვილის დაბადების წლიდან გამომდინარე, ასეთი ქორწინება შედგა 1840 წლამდე, როდესაც გურიაში ჯერ კიდევ არ ხდებოდა საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერების წარმოება. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ მერაბ მაგლობლიშვილის პირველი ვაჟი იბადება სოფ. ერკეთში 1852 წელს (ი. ბიჭიკაშვილის მონაცემით), მერაბის ქორწინება, რა თქმა უნდა, შედგა 1840 წლის შემდეგ და თუ იგი დაქორწინდა თანასოფლელებზე, მაშინ მისი საქორწინო ჩანაწერისთვისაც უნდა მიმეკვლია იმავე ერკეთის საეკლესიო წიგნებში.

კვლევა დავიწყეთ სოფ. გურიანთის საეკლესიო ჩანაწერებით, რათა ანტონ ნაკაშიძის რომელიმე შვილის დაბადების ჩანაწერის ქსეროასლი გამომეჩვენებინა. საკმაოდ მალე ნახა ლერი ლორთქიფანიძემ პირველივე – ანტონ ნაკაშიძის და ელისაბედ გიორგის ასულის ვაჟის, კაცოს დაბადების მოწმობა (იხ. დანართი II-4, გვ.56). ეს არის ჩანაწერი გურიანთის

საეკლესიო წიგნიდან: ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 390 (წიგნში ფურცლები, ამ ეტაპისთვის, დანომრილი არ აღმოჩნდა, რის გამოც ფურცლის ნომერი არ მაქვს მითითებული). ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ კაცო ანტონის ძე ნაკაშიძის (დაბ.15.02.1840) დედად მოხსენიებულია არა უბრალოდ ელისაბედ გიორგის ასული, არამედ, უფრო დაზუსტებით – „ელისაბედ, კნიაზ პრაპორშჩიკის გიორგის ასული“.

იმის გათვალისწინებით, რომ გიორგი გურიის ერისთავი გარდაცვალების დროისთვის (1863) იყო კაპიტანი, 1840 წლისთვის, ანუ კაცოს დაბადების დროისათვის შესაძლოა ყოფილიყო პრაპორშჩიკი. ამავე ჩანაწერიდან ჩანს, რომ კაცოს ნათლობა შედგა 25.02.1840 წ. და ნათლია არის იმავე სოფელს (გურიანთას, ი.ჩ.) მცხოვრები „კნიაზ“ ქაიხოსრო ერისთავის ასული ნინა. ნინა ქაიხოსროს ასული გურიის ერისთავი კი, რომელიც, ჩემი გამოკვლევების თანახმად, გათხოვილია ანტონის ძმა იოსებ ნაკაშიძეზე იმავე სოფელ გურიანთიდან, ამავე დროს არის ელისაბედ გიორგის ასულ გურიის ერისთავის ახლო ნათესავი. **ამ ჩანაწერებმა კიდევ უფრო გაამყარა ჩემი რწმენა, რომ ანტონ ნაკაშიძის შვილების დედად მოხსენიებული ელისაბედი არის არა უბრალოდ გიორგის, არამედ კონკრეტულად გიორგი გურიის ერისთავის ასული.**

ვიცოდი რა, რომ ვერსად ვნახავდი ანტონ ნაკაშიძის ქორწინების ჩანაწერს, ამ ეტაპზე შევწყვიტეთ გურიანთის საეკლესიო ჩანაწერების დამუშავება და მთლიანად გადავერთეთ მერაბ მაგლობლიშვილის გარშემო მეტრიკულ ჩანაწერებზე, ანუ სოფელ ერკეთზე, სადაც ასევე გურიის ერისთავები ფიგურირებენ. ამ ბოლო გვარზე ვერ წავაწყდი ვერაფერ ახალს, რაც ბუნებრივია, ვინაიდან ის შესწავლილი მქონდა ჯერ კიდევ დაახლოებით 25 წლის წინ.

მაგლობლიშვილების შესახებ პირველივე დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩემთვის, იყო ივლიანე მერაბის ძე მაგლობლიშვილის დაბადების ჩანაწერი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1006, ფურცელი 2-ს მე-2 მხარე, (იხ. დანართი II-5, გვ.57). **გამართლდა ჩემი ვარაუდი, რომ ივლიანეს დედა არ არის ის, ვისი სახელიც დააფიქსირა ი.ბიჭიკაშვილმა მის მიერ შედგენილ „მოკლე ისტორიულ ცნობაში“ და გენეალოგიურ ფრაგმენტში. კერძოდ, ის არ არის ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი. ამ ჩანაწერიდან შევიტყვე, რომ მერაბ მაგლობლიშვილს ეს ვაჟი, ივლიანე შეეძინა სოფ. ერკეთში 19.04.1853 წ., მოინათლა 21.04.1853 წ. და დედამისი არის არა ელისაბედ გიორგის ასული, არამედ აღათი გიორგის ასული, რომლის გვარიც არ ვიცით.** აქ, უკვე, დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ი.ბიჭიკაშვილის თეორია იმის შესახებ, თითქოსდა მერაბ მაგლობლიშვილის ცოლი არის ელისაბედ გიორგის ასული და თანაც ერისთავი იმიტომ, რომ მერაბის უფროს ვაჟს ჰქვია ივლიანე (სხვათა შორის გურიაში და, ზოგადად დასავლეთ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული სახელი), ანუ ი.ბიჭიკაშვილის ისტორიული ნარკვევის თანახმად, მაინცდამაინც ელისაბედ გიორგის ასული ერისთავის ძმის სახელი.

ივლიანე მგალობლიშვილის დაბადების ამ ჩანაწერის პოვნის შემდეგ გაქრა ი.ბიჭიკაშვილის ვერსია, რომ ელისაბედ გურიის ერისთავმა, თითქოსდა მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ცოლმა, შვილზე ძმის, ივლიანეს სახელის დარქმევით ერთგვარი „სამხილი“ დაგვიტოვა. სად არის ამ ჩანაწერში ელისაბედი და თანაც გურიის ერისთავი? რის საფუძველზე ჩათვალა ი.ბიჭიკაშვილმა ივლიანე მერაბის ძე მგალობლიშვილის დედად, გვარად უცნობი ალათი გიორგის ასულის ნაცვლად ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი, მათ ხომ საერთო აქვთ მხოლოდ მამის სახელი? მაგრამ რამდენის მამას ჰქვია საქართველოში გიორგი?

ამრიგად, ძალზედ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ივლიანე მერაბის ძე მგალობლიშვილის დაბადების ეს ჩანაწერი, სადაც გარკვევით ფიგურირებს ივლიანეს დედა **„ალათი გიორგის ასული“** და არა მერაბ მგალობლიშვილის მეორე შვილის, გიორგის დედის სახელი **„ელისაბედ სიმონის ასული“**. მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ორი შვილის, ივლიანე და გიორგის დაბადების ჩანაწერები, სადაც მათ დედად მოხსენიებულია სხვადასხვა პიროვნება, აჩვენებს, რომ ან **(I)** მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს ჰყავდა ორი ცოლი: **1)** ივლიანეს დედა – ალათი გიორგის ასული და **2)** გიორგის დედა – ელისაბედ სიმონის ასული, ანდა **(II)** არსებობს ორი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი, რომელთაგან ერთს, 1853 წელს, შეეძინა შვილი, სახელად ივლიანე – ალათი გიორგის ასულისგან, ხოლო მეორეს, იმავე სოფელ ერკეთში, 1862 წელს უჩნდება შვილი, სახელად გიორგი ელისაბედ სიმონის ასულისგან. ი.ბიჭიკაშვილმა სოფ ერკეთის საეკლესიო ჩანაწერებში მოიძია ივლიანეს გარდაცვალების მოწმობა და გადმომიგზავნა, თუმცა ის არაფერში მჭირდებოდა, ვინაიდან იქ დედა არ ფიგურირებს, მაგრამ მის მიერ გადმოგზავნილ მასალებში არ აღმოჩნდა ის, რაც აუცილებელი იყო, კერძოდ – იმავე სოფელ ერკეთში დაბადებული ივლიანეს დაბადების ჩანაწერი, (დანართი II-5, გვ.57), სადაც მოხსენიებულია დედა – ალათი გიორგის ასული.

ამის შემდეგ შევისწავლე გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დაბადების სააქტო ჩანაწერი ანუ ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1556, 135-ე ფურცლის მე-2 მხარე (დანართი II-3, გვ.55). საკუთარი თვალთ დავრწმუნდი, რომ მერაბ მგალობლიშვილის ამ შვილის, გიორგის დედა ნამდვილად არის **ელისაბედ სიმონის ასული**. აქ ელისაბედის მამის სახელის პირველადი ჩანაწერი „გიორგი“ არის ჩასწორებული იმავე ხელით და მელნით, რაც უდაოდ ამტკიცებს, რომ **ერთი და იგივე, ან ორი სხვადასხვა მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ორ ვაჟს, ივლიანეს და გიორგის, ყავთ სხვადასხვა დედები, რაც მთლიანად აბათილებს ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ ისტორიას იმის შესახებ, რომ, რადგანაც მერაბის შვილებს ჰქვიათ ივლიანე და გიორგი, ე.ი. მათი დედა უნდა იყოს აუცილებლად ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი, ვინაიდან მას ჰყავდა ძმა ივლიანე და მამა გიორგი, რომელთა სახელებიც**

დაურქმევია, თურმე, შვილებისთვის. რა უნდა მექნა ამის შემდეგ, თუკი ივლიანეს დედა არის „ალათი გიორგის ასული“, ხოლო გიორგისა – „ელისაბედ სიმონის ასული“? რანაირად ჩამეთვალა ამ ორი ვაჟის ორი, სხვადასხვა სახელის და მამის სახელის მქონე, დედა ერთ ქალად, კერძოდ ელისაბედ გიორგის ასულ გურიის ერისთავად? ელისაბედ გიორგის ასულ გურიის ერისთავს ხომ ამ ორ ქალბატონთან აკავშირებს მხოლოდ ის, რომ ივლიანეს დედის, ალათი გიორგის ასულის, მსგავსად მის მამასაც ჰქვია გიორგი, ხოლო გიორგის დედის, ელისაბედ სიმონის ასულის მსგავსად მასაც ჰქვია სახელად ელისაბედი. მაშ რის საფუძველზე მომანოდა ი.ბიჭიკაშვილმა ინფორმაცია, რომ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე არის ელისაბედ გიორგის ასული ერისთავი? რის საფუძველზე ჩათვალა მერაბ მგალობლიშვილის შვილის, გიორგის დედა ელისაბედ გურიის ერისთავად და გაუკეთა ამ გიორგის დაბადების მეტრიკულ ჩანაწერს მინაწერი, თითქოსდა მისი დედა არის „ელისაბედი, თავად (კნ.[კნიაზ]) გიორგი [გურიის ერისთავის] ასული“?

ასე შეიქმნა დოკუმენტურად დაუსაბუთებელი, ვერსიაზე დაფუძნებული ისტორია აზნაურ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილისა და თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასულ ელისაბედის ქორწინების შესახებ, რომლის შედეგადაც, თითქოსდა, დაიბადა გიორგი, გრიგოლ მალანias დედის, ნანა მგალობლიშვილის წინაპარი (ესეც ი.ბიჭიკაშვილის მონაცემია, არა ჩემი) და ვინაიდან ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი, ჩემივე მონაცემების თანახმად, ნამდვილად არის, ქალის ხაზით გიორგი XII-ს შთამომავალი, ხოლო გრიგოლ გრიგოლის ძე მალანია, ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიის თანახმად არის გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის შთამომავალი, ისიც ავტომატურად იქცა მეფე გიორგი XII-ს შთამომავლად.

აქ, უკვე, შეიძლებოდა დამესრულებინა თბილისის არქივის შესწავლა. ხელთ მქონდა მტკიცებულება, რომ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის არც ერთი მეუღლე (ან არც ერთი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე) არ ყოფილა არა თუ ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი, არამედ საერთოდ სხვა გვარის მატარებელი უბრალოდ ელისაბედ გიორგის ასულიც კი. ეს სრულიად საკმარისი იყო, რათა დამესაბუთებინა, რომ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გასაცნობად გამოგზავნილი და ჩემი მხრიდან დასადასტურებელი ისტორიული ნარკვევი და გენეალოგიური ფრაგმენტი არ ასახავს რეალობას და გამომეცხადებინა გრიგოლ მალანias სახელზე გაცემული დოკუმენტი იურიდიული ძალის არმქონედ. მაგრამ გადავწყვიტე უფრო გამემყარებინა ფაქტი, რომ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის შვილებს, ივლიანეს და გიორგის

სხვადასხვა დედა ჰყავდათ ან რომ, ერთსა და იმავე სოფელ ერკეთში იყო ორი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი, რომელთა ერთ-ერთ შვილსაც ერთნაირი სახელი ჰქონდათ – ივლიანე, მაგრამ არც ერთი მერაბის ცოლი არ იყო ელისაბედ გიორგის ასული. ერთი მერაბის ცოლი იყო ალათი გიორგის ასული, ხოლო მეორისა – ელისაბედ სიმონის ასული. ამავე დროს დამესაბუთებინა ჩემი ვარაუდი, რომ ივლიანესა და გიორგის შორის, თუ ისინი ერთი და იგივე დედის და მამის შვილები არიან, მერაბ მგალობლიშვილს ჰყავდა სხვა შვილებიც, ან თუნდაც ერთი შვილი, რომლის დედაც ასევე არ იქნებოდა ელისაბედ გიორგის ასული. შედეგი მალე გამოჩნდა. იმავე ერკეთის საეკლესიო ჩანაწერებში, 1855 წლის ნიგნში (ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1118 ფურცელი 28, რომელიც არ არის ჩაკერებული. იგი მოთავსებულია 27-ე ფურცლის შემდეგ) ისევ ლერი ლორთქიფანიძემ მოიპოვა ჩანაწერი, რომლის თანახმად მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს 15.04.1855 წ., შეეძინა და 28.04.1855 წ.-ს მოინათლა ვაჟი – კონსტანტინე, იგივე პავლე, რომლის დედადაც, ყოველგვარი ჩასწორების გარეშე, იხსენიება „სჯულიერი“ ცოლი მერაბისა – ელისაბედ სიმონის ასული (იხ. დანართი II-6, გვ.58). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გრიგოლ მალანიას წინაპრის, გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის მეტრიკულ ჩანაწერში მისი დედის მამის სახელი ნამდვილად არის სიმონი და არა გიორგი, რომელიც, გვ.55-ზე ილუსტრირებულ მეტრიკულ ჩანაწერში „სინოდალური კანტორის“ მოხელეს შეშლია, შეუმჩნევია და გააუხსნორებია სახელად-სიმონი.

ამრიგად, გამართლდა ჩემი ეჭვი, რომ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს არ ჰყავდა ერთი ცოლისგან ორი შვილი, დაბადების 10-წლიანი შუალედით. ვხედავთ, რომ ივლიანესა (დაბ.1853 წ.) და გიორგის (დაბ.1862 წ.) შორის მერაბს ნამდვილად ჰყავს მინიმუმ ერთი შვილი (დაბ.1855 წ.). ამავე დროს პირველის დედა არის ალათი გიორგის ასული, ხოლო შემდგომი შვილებისა – ელისაბედ სიმონის ასული. თუმცა შესაძლებელია, რომ ივლიანეს დედა, ალათი გიორგის ასული იყოს სხვა მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე. ნებისმიერ შემთხვევაში, **არც ერთ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს არ ჰყავს ცოლად ელისაბედ გიორგის ასული, მით უმეტეს – ერისთავი.**

არ გამოვრიცხავ, რომ კონსტანტინე-პავლესა და გიორგის შორის მერაბ მგალობლიშვილის ოჯახში დაიბადნენ სხვა შვილებიც, მაგრამ მათი ძიების დრო აღარ მქონდა. აღარც საჭიროება იყო ამის, მე ხომ მგალობლიშვილების გენეალოგიას არ ვადგენდი. აქ უკვე თბილისის არქივის ფონდების დამუშავების თვალსაზრისით ჩემი მისია ამოწურულად ჩავთვალე. **უკვე დამტკიცდა, რომ არანაირი ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს ცოლად არ ჰყოლია, შესაბამისად მისი ვერც ერთი შვილი ვერ იქნებოდა ელისაბედისა და, აქედან გამომდინარე, გიორგი XII-ს შთამომავალი, ანუ გრიგოლ მალანია არ არის, ყოველ შემთხვევაში ამ გზით, მეფე გიორგი XII-ს**

შთამომავალი ქალის ხაზით.

მინდა აღვნიშნო, რომ სოფ. ერკეთის საეკლესიო წიგნების შესწავლამ ვერ გამოავლინა ვერც ერთი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ქორწინების ჩანაწერი, რამაც გააჩინა ეჭვი, რომ მისი (ან მათი) მეუღლე არ უნდა იყოს ამ სოფლიდან თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ჩანაწერი არ არსებობს სოფ. ერკეთის რომელიმე ისეთ საეკლესიო წიგნში, რომელმაც ვერ მოაღწია ჩვენამდე.

მერაბ მგალობლიშვილის შვილების, ივლიანე და გიორგის იმ დაბადების ჩანაწერების შესწავლის შემდეგ, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მათ სხვადასხვა დედები ჰყავთ, სრული საფუძველი მქონდა გამეუქმებინა გრიგოლ მალანას სახელზე გაცემული დოკუმენტი, მაგრამ გადავწყვიტე დროებით თავი შემიკავებინა. მინდოდა ცნობის გაუქმება მომხდარიყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოვიძიებდი ელისაბედ გურიის ერისთავის მეუღლის ვინაობის დამამტკიცებელ საბუთს. შინაგანად მჯეროდა, რომ სწორი იყო ჩემი ვარაუდი და **ის უნდა ყოფილიყო ანტონ კაციას ძე ნაკაშიძე**, რისი დადასტურებაც შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ქუთაისის ცენტრალური არქივის **(ქცა)** ფონდების დამატებითი შესწავლის შემდეგ. დამატებითი იმიტომ, რომ მათი უმეტესი ნაწილი შესწავლილი მქონდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-ანი წლების მე-2 და 90-ანი წლების პირველ ნახევარში.

წინასწარ აღვნიშნავ, რომ ქუთაისის არქივში ჩემს მიერ ძიებისათვის შეკვეთილი საქმეებიდან მხოლოდ ორში წავაწყდი ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებული იყო ელისაბედ გურიის ერისთავთან. შეკვეთილი მქონდა მგალობლიშვილების გვარის შესახებ ყველა პირადი საქმე, რომელიც კი აღრიცხულია. არც ერთში ხსენებაც არ იყო მერაბ მგალობლიშვილის ოჯახის. ერთადერთი საქმე, რომელმაც მომანოდა მის შესახებ ინფორმაცია, არის არა პირადი საქმე, არამედ ის საეკლესიო წიგნი, რომელიც შეიცავს მონაცემებს, ასევე, გიორგი გურიის ერისთავის ოჯახზეც. ამაზე დაწვრილებით შევჩერდები (ფონდი 21, აღწერა 1, საქმე №1802): **„იმერეთის ეპარქიის გურიის ნაწილის აღსარების მთქმელთა სია“, 1839 წ.**, (დანართი II-7, გვ.59).

ამ წიგნის 71-ე ფურცელზე არის ჩანაწერი, სადაც სოფ. ერკეთის აღსარების მთქმელთა ჩამონათვალში გიორგი გურიის ერისთავი, ჩამოთვლის რა თავისი ოჯახის წევრთა სახელებს, ახსენებს თავად-აზნაურთა აღწერის მასალების შესწავლის შედეგად ჩემთვის უკვე ცნობილი შვილებიდან ყველას, გარდა 2 ქალიშვილის – წინასა და ელისაბედისა (დანართი II-8/ა და II-8/ბ, გვ.60), რაც იმის მანიშნებელია, რომ ამ დროისთვის, ანუ 1839 წელს, ეს 2 ქალბატონი გასულია გიორგი ერისთავის ოჯახიდან – გათხოვილია. ადრინდელი მონაცემის თანახმად ვიცოდი მხოლოდ, რომ 1846 წლისთვის იყო ელისაბედი გათხოვილი. ამრიგად, ელისაბედის ქორწინების თარიღმა, ამ ჩანაწერის წყალობით გადაიწია მინიმუმ 7 წლით უკან, 1839 წლისაკენ, რამაც განამტკიცა ჩემი ეჭვი, რომ ანტონ ნაკაშიძის

შვილების, მათ შორის პირველი შვილის, გიგოს (დაბ. 1838, ან 1839 წელს) დედა უნდა ყოფილიყო ელისაბედ გურიის ერისთავი.

ამავე აღსარების წიგნში, იმავე სოფელ ერკეთში, 74-ე ფურცელზე, აღმოჩნდა ჩანაწერი, სადაც ტაი დავითის ძე მგალობლიშვილი აღსარების მთქმელთა სიაში ახსენებს ცოლს, მერე 3 ძმას: გიორგი, ალექსანდრე, მერაბი და ბოლოს დედას – მზეხა მამუჩის ასული (დანართი II-9 გვ.61). აქ ტაის მამა არ იხსენიება. ოჯახის უფროსი არის, უკვე, ტაი და იგი დაქორწინებულია. ეს მიგვანიშნებს, რომ 1839 წლისთვის, ანუ აღსარების მთქმელთა ამ სიის შედგენის დროისთვის, ტაის და მერაბის მამა, დავითი, გარდაცვლილია, მზეხა მამუჩის ასული კი ცოცხალია (ისე როგორც ი. ბიჭიკაშვილის მიერ რამდენიმე წლის წინ ჩემთვის პირველად მონოდებულ გენეალოგიურ ფრაგმენტში) და ფიგურირებს, როგორც ტაის, გიორგის, ალექსანდრეს და მერაბის დედა.

საინტერესო ამ ჩანაწერში აღმოჩნდა ის, რომ მერაბის ასაკად 1839 წლისათვის მითითებულია 16 წელი და ის არის უცოლო. ეს იმ დროს, როდესაც ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი, იმავე წიგნის 71-ე ფურცლის ჩანაწერის თანახმად (დანართი II-8/ბ, გვ.60) ამავე წელს უკვე გათხოვილია, რის გამოც აღარ იხსენიება მამის, გიორგი გურიის ერისთავის ოჯახის წევრთა ჩამონათვალში. თუ ამ დროისათვის მერაბ მგალობლიშვილი, რომელიც ფიგურირებს ტაის ოჯახის წევრთა ჩამონათვალში და მხოლოდ 16 წლისაა, იქნებოდა დაქორწინებული, მაშინ ცოლის სახელი, თვით მერაბთან ერთად, ისევე იქნებოდა მოხსენიებული მისი უფროსი ძმის, ტაის მიერ ოჯახის წევრთა შორის, როგორც თავად ტაის მეუღლისა – ტუფა ბერის ასული (დანართი II-9, გვ.61).

აქ გამოჩნდა კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ცოლი არ არის ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი. ელისაბედი საერთოდ არ იხსენიება ამ წელს (1839) სოფ. ერკეთის აღსარების მთქმელთა რომელიმე ოჯახის წევრთა ჩამონათვალში, რაც გვაფიქრებინებს, რომ გათხოვილია და წასული ერკეთიდან მაშინ, როდესაც 16 წლის მერაბ მგალობლიშვილი ცხოვრობს ამ სოფელში დედასთან და უფროს ძმებთან ერთად ცოლის გარეშე, რაც ვაჟის ამ ასაკისთვის ბუნებრივია.

მერაბ მგალობლიშვილის ასაკის დადგენის შემდეგ მგონი მივხვდი, რატომ სცადა ი.ბიჭიკაშვილმა, რამდენიმე წლის წინ, მოეწოდებინა ჩემთვის ინფორმაცია, რომ, თითქოსდა, ელისაბედის დაბადების წელი არის არა 1819, არამედ 1821 (გვ.26). ის ხომ თავადაც, მის მიერ შედგენილ გენეალოგიურ ფრაგმენტებში ელისაბედის დაბადების წლად ასახელებს 1821-ს. ჩემი აზრით, ის შეეცადა ელისაბედის ასაკის თუნდაც იმდენით შემცირებას (მერაბის ასაკთან მიახლოებას), რომ ძალიან არ შემპარვოდა ეჭვი მერაბ მგალობლიშვილთან მის ქორწინებაში.

აქ გული მხოლოდ ერთ რამეზე მწყდება – რატომ ჩამთვალა იმდენად გულუ-

ბრყვილოდ, რომ ყოველივე ამას ვერ აღმოვაჩენდი. ალბათ იმიტომ, რომ წლების განმავლობაში ვენდობოდი და, მრავალი ადამიანის მხრიდან გაფრთხილების მიუხედავად, ბევრი რამ მივუტყევე, რაც მან, როგორც ჩანს, სისუსტედ და მიამიტობად ჩამითვალა!

ახლა დავუბრუნდები ქუთაისის არქივის საქმეების შესწავლას.

უკვე საკმარისზე მეტი მტკიცებულება მქონდა ხელთ, რათა დოკუმენტებით დამედასტურებინა, რომ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ჩემთვის გამოგზავნილი ისტორიული ნარკვევი და გენეალოგიური ფრაგმენტი (რომელთა გაცნობის შემდეგ უნდა მელიარეზინა გრიგოლ მაღანას სახელზე გაცემულ დოკუმენტში ასახული ფაქტი), არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, შესაბამისად, ვერც გრიგოლ მაღანას სახელზე გაცემულ საბუთზე (№5, 20.01.2015 წ.) გაუგებარი გზით გაჩენილ ჩემს ხელმოწერას დავტოვებდი ძალაში, მაგრამ მაინც მივიყვანე საქმე ბოლომდე და გეგმის მიხედვით დასამუშავებელი საარქივო წიგნებიდან ბოლო ნაწილიც შევისწავლე. სწორედ ამ ბოლო ნაწილში აღმოჩნდა ის საქმე, რომელმაც მთავარი საკითხიც გადაწყვიტა, კერძოდ ის, თუ ვინ არის ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის მეუღლე. ეს არის ფონდი №1, აღწერა №1-ის საქმე №18, **«О роде гурийских тавадовъ Эристовыхъ Александра, Севастия и Семёна Николаевых», 1847 წ. დანართი II-10/ა გვ.62).** ამ წიგნის მე-3 ფურცელზე გიორგი გურიის ერისთავი, თავისი ოჯახის წევრების ჩამონათვალში, მოიხსენიებს თავის უკვე 3 ქალიშვილს – ნინაზას, ელიზავეტას და სოფიას გათხოვილად (დანართი II-10/ბ, გვ.63). ამის ამოწერა არ მჭირდებოდა, ვინაიდან ჩემი ადრინდელი მონაცემებით ისინი ჯერ კიდევ 1846 წლის აღწერაში არიან მოხსენიებული, როგორც გათხოვილი. მე-9 ფურცელზე კი გამოჩნდა ის ჩანაწერი, რაც უკვე ახალი და ფრიად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის. აქ პოდპორუჩიკი გიორგი დავითის ძე ერისთავი თავიდან ჩამოთვლის ოჯახის წევრებს და უკვე ახსენებს სამივე გათხოვილი ქალიშვილის მეუღლეების გვარს, მათ შორის ელისაბედისა – **ნ ა კ ა შ ი ძ ე.** (იხ. დანართი II-11, გვ.64).

ამრიგად, ვიპოვე ის, რაც დაადასტურებდა ჩემს სიმართლეს და გამოააშკარავებდა ი.ბიჭიკაშვილის მხრიდან სიცრუეში ჩემი დადანაშაულების უსამართლობას. გამოჩნდა ელისაბედ გიორგის ას. ერისთავის მეუღლის გვარი – ნაკაშიძე. ამ ფაქტმა უკვე დაუსვა წერტილი ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხს, ვინაიდან მისი მეშვეობით გამართლდა ჩემი გათვლა-ვარაუდი იმის თაობაზე, რომ ანტონ ნაკაშიძის შვილების დედად სოფ. გურიანთის მეტრიკულ ჩანაწერებში მოხსენიებული ელისაბედი, „კნიაზ“, პრაპორშჩიკ გიორგის ასული უნდა ყოფილიყო გურიის ერისთავი. ვინაიდან ყველა დანარჩენი ამ თაობის მამაკაცი ნაკაშიძის მეუღლე ან არ იყო ელისაბედ გიორგის ასული ანუ იყო სულ სხვა სახელისა და მამის სახელის მატარებელი, ან მისი სახელი, მამის სახელი

და გვარი ცნობილი იყო და ის არ იყო ელისაბედ გურიის ერისთავი, **უკვე ეჭვი აღარ რჩებოდა, რომ ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავის მეუღლე არის მისი მამის მიერ მოხსენიებული არა უბრალოდ ნაკაშიძე, არამედ კონკრეტულად ანტონ კაციას ძე ნაკაშიძე გურიანთიდან. ყველა დანარჩენი ნაკაშიძე, უკვე, „დაბინავებული“ მყავდა, მეუღლეების ვინაობის თვალსაზრისით.**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩემი კვლევისათვის საჭირო ფონდების უდიდესი ნაწილი შესწავლილი მქონდა ქუთაისის არქივში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში. სწორედ ამ პერიოდში, თავად-აზნაურთა 1846 წლის აღწერის მასალების შესწავლის საფუძველზე გავარკვიე, რომ ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის დაბადების წელი უნდა იყოს 1819 და ასევე ის, რომ 1846 წელს იგი იყო გათხოვილი, ოღონდ არ ვიცოდი – ვისზე. **დასაანანია, რომ მაშინ გამომჩნა სწორედ ის ნაწილი, რომელშიც დაფიქსირებულია მისი მეუღლის გვარი – ნაკაშიძე და მხოლოდ ახლა დადგინდა ის, რასაც ასეთი მნიშვნელობა მიეცა იმ დროიდან თითქმის 30 წლის შემდეგ.**

ქუთაისის არქივში კვლევის დრო შეზღუდული მქონდა. გამორიცხული იყო ამდენი საქმის ერთბაშად შეკვეთა და დამუშავება დახმარების გარეშე. რომ არა ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორის, ბატონ მერაბ კეზევაძის და ამავე არქივის თანამშრომლის, ქ-ნ ინგა ელიავას ყურადღება და მათგან განუული უანგარო რჩევა-დახმარება, მიზნის მიღწევა გამიჭირდებოდა, რის გამოც ხაზგასმით მსურს გამოვხატო მადლიერება მათი მისამართით. იშვიათად შემხვედრია მსგავსი გულისხმიერების და პროფესიონალიზმის ასეთი შეთავსება.

საჭირო იყო მოპოვებული ყველა მასალისთვის, ჩანაწერისთვის თავის მოყრა და მათ შესახებ პუბლიკაციის მომზადება, ასევე სხვა შრომების გამოცემაზე მუშაობის გაგრძელება. ამას შევუდექი და პარალელურად ისევ ვთხოვე ლერი ლორთქიფანიძეს, რომ არ შეენწყვიტა **ცსა**-ში გურიის საეკლესიო ჩანაწერების შესწავლა. თუ კიდევ რაიმე მოიძებნებოდა ელისაბედ გურიის ერისთავის ან მერაბ მაგალობლიშვილის ქორწინების თაობაზე, არ იქნებოდა ურიგო მათი ჩართვა აღნიშნულ პუბლიკაციაში. მან ჩემი თხოვნა ამჯერადაც აკურატულად შეასრულა და გარკვეული დროის შემდეგ მოიპოვა კიდევ ერთი დოკუმენტი (ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1628, ფურცელი 240-ის მეორე გვერდი), სადაც ვკითხულობთ, რომ სოფ. გურიანთაში 1855 წლის 25 აგვისტოს დაიბადა და 30 აგვისტოს მოინათლა ამავე სოფელში მცხოვრები აზნაურის, გიორგი იესეს ძე მაგალობლიშვილის ასული ელენა, ნათლია მისი კი არის **ამავე სოფელს (გურიანთას, ი.ჩ.) მცხოვრები მეუღლე „კნიაზ“ ანტონ ნაკაშიძისა ელისაბედი, გიორგი ერისთავის ასული.** (იხ. დანართი II-

12, გვ.65). მეტი რაღა უნდა გვეძებნა. თუ ქუთაისის არქივიდან შევიტყვე, რომ ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავის მეუღლე იყო გვარად ნაკაშიძე, რომელიც ისედაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო სხვა, თუ არა ანტონი, სოფელ გურიანთის მკვიდრი, ახლა მივიღე ლერი ლორთქიფანიძის მიერ მოძიებული კიდევ ერთი მტკიცებულება, რომ ელისაბედის მეუღლე ნამდვილად არის არა უბრალოდ ნაკაშიძე, არამედ ანტონ ნაკაშიძე გურიანთიდან. ასეთი კი ერთადერთია – ანტონ კაციას ძე ნაკაშიძე.

ანტონ კაციას ძე ნაკაშიძისა და ელისაბედ გურიის ერისთავის შთამომავლები, ნაკაშიძეების სახით, რამდენიმეა და მათ ვინაობას, სრული გენეალოგიური ნუსხების სახით, დავაფიქსირებ წიგნის „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ ახალ, დაზუსტებულ გამოცემაში, რომელზედაც ახლა ვმუშაობ. აქ კი მხოლოდ იმას აღვნიშნავ, რომ ამ შთამომავლებს შორისაა რეჟისორი ცოტნე ნაკაშიძე. შესაბამისად შთამომავალია ბ-ნ ცოტნეს შვილი, მსახიობი გიორგი ნაკაშიძე და გიორგის ნაკაშიძისა და მსახიობ ეკა ანდრონიკაშვილის შვილი – ლევან (ლუკა) ნაკაშიძე.

აი ასეთი გაუგებარი გზით აღმოჩნდა, ი.ბიჭიკაშვილის მიერ დანერგილი ისტორიისა და მისივე გენეალოგიური ფრაგმენტის თანახმად თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასული ელისაბედი ნაკაშიძეების ნაცვლად მალანების დიდი ბებია.

რა არის ეს, უნებლიე შეცდომა? დასკვნის გაკეთებისგან თავს შევიკავებ, მკითხველისათვის მიმინდვია.

ყოველივე ზემოთთქმულმა მომცა რეალური საფუძველი, რათა დამეშვა ორი შესაძლებლობიდან ერთ-ერთი: ან გრიგოლ მალანიას სახელზე გაცემულ დოკუმენტზე არ არის ჩემი ხელმოწერა, ან თუ ეს ხელმოწერა ნამდვილად მე მეკუთვნის, ე.ი. მოპოვებულია ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, რის გამოც დოკუმენტი (ცნობა და თანდართული გენეალოგიური ფრაგმენტი: №5, 20.01.2015 წ.), რომელიც განთავსებულია კახა ქორიძისა და იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ წიგნში „ბაგრატიონები – სამეფო ტახტის მემკვიდრე“ (წიგნის 251-ე და 252-ე გვ., დანართები II-1, და II-2, მოც. პუბლიკაციის 53-ე და 54-ე გვ.) და შეეხება გრიგოლ გრიგოლის ძე მალანიას წარმომავლობას გიორგი XII-საგან, გამოვაცხადე იურიდიული ძალის არმქონედ. ამის თაობაზე განცხადება გავავრცელე ჯერ ფეისბუქით (28.11.2016) და შემდეგ, უკვე, ჩემს მიერ ხელმოწერილი და „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ ბლანკზე ბეჭდით დამოწმებული, ოფიციალური განცხადების სახით, №8

(195), 20.12.2016 წ., (იხ. დანართი II-13, გვ.66) – მედიით (გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 29.12.2016), ახლა კი იმავე განცხადებას ვავრცელებ პუბლიკაციის სახით ანუ ვმოქმედებ ისე, როგორც ვატყობინებდი ი. ბიჭიკაშვილს, ჩემი ადვოკატის მიერ მისი მისამართით გაგზავნილი ბოლო წერილით, თუ არ მექნებოდა მის მიერ ჩემთვის მოწოდებული ისტორიის და გენეალოგიური ფრაგმენტის დამადასტურებელი დოკუმენტები.

იმედს ვიტოვებ, რომ მკითხველი გაერკვევა სიმართლეში.

P.S. პუბლიკაცია უკვე მზად იყო დასასტამბად, როდესაც სრულიად სხვა თემაზე მუშაობის პროცესში მოვიპოვეთ მოცემულ თემასთან დაკავშირებული კიდევ ერთი დოკუმენტი. კერძოდ, იმერეთის ეპარქიის საეკლესიო წიგნების შესწავლამ გამოავლინა შემდეგი: ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდი №489, აღწერა №6, საქმე №736, რომლის ფურცელი №179-ის მეორე მხერგზე (ფაილი №355) ვკითხულობთ (იხ. დანართი II-14 გვ.67), რომ **1848 წლის 26 აპრილს ვანში, 26 წლის ასაკში ჯვარს იწერს „გურიის უეზდის სოფელსა ჩოხატაურს მცხოვრები საბატონო აზნაური მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი“**. **საცოლე მისი არის 16 წლის ელისაბედი, „სოფელსა ვანს მცხოვრების საბატონო აზნაურის სვიმონ ლორთქიფანიძის ასული“**.

მოცემული ჩანაწერის თანახმად 1848 წელს მერაბ მგალობლიშვილი ასახელებს თავის ასაკად 26 წელს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასაკად ხშირად მიახლოებითი ციფრი სახელდება, ის შესაძლოა იყოს არასრული 26, ან არასრული 27 წლისაც. აქედან გამომდინარე, მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის დაბადების წელი, ამ ჩანაწერით, გამოდის 1821 – 1823 წლებს შორის. დანართი II-9-ით ილუსტრირებულია საეკლესიო ჩანაწერი (გვ.61), სადაც მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს მისივე ძმა, ტაი მოიხსენიებს 16 წლის ასაკით. ეს ჩანაწერი გაკეთებულია 1839 წლის საეკლესიო წიგნში (დანართი II-7, გვ.59). აქედან გამომდინარე, იგივე მოსაზრებით, რომ ასაკი აქაც შესაძლოა იყოს მიახლოებითი, ამ მერაბის დაბადების წელი გამოდის 1822-1824 წლებს შორის. ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილი გენეალოგიური ფრაგმენტების თანახმად მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი დაბადებულია 1821 წელს. ვანის გარდა დანარჩენ ჩანაწერებში მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი მოხსენიებულია იმ სოფ. ერკეთის მკვიდრად, რომელიც ჩოხატაურის „უჩასტკის“ სოფლების რიცხვს მიეკუთვნებოდა. ვანის ჩანაწერის ფიგურანტი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი კი (იხ. დანართი II-14 გვ.67) იხსენიება ჩოხატაურელად. დაბადების წლების შესაძლო არაზუსტი მოხსენიების გათვალისწინებით ასაკიც, მიახლოებით ერთნაირია. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საუბარია ერთსა და იმავე მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილზე.

თუ დავუმატებთ ამას იმ ფაქტსაც, რომ დანართი II-6 (გვ.58) და დანართი II-3-ის

(გვ.55) თანახმად სოფ ერკეთის მკვიდრ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილს შეეძინა შვილები, კონსტანტინე-პავლე და გიორგი ელისაბედ სიმონის ასულისგან, შესაძლოა, უკვე დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ დანართი II-3-ში (გვ.55) და დანართი II-6-ში (გვ.58) მოხსენიებული მერაბ მგალობლიშვილის შვილების დედა, გვარად უცნობი ელისაბედ სიმონის ასული არის დანართი II-14-ში (გვ.67) მოხსენიებული ელისაბედ სვიმონის ასული ლორთქიფანიძე, რომელიც, ამ ჩანაწერის თანახმად, 1848 წლის 26 აპრილს, 16 წლის ასაკში, ვანში, ჯვარს იწერს 26 წლის ჩოხატაურელ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილზე. ასეთ შემთხვევაში, თუკი ეს ელისაბედ სვიმონის ასული ლორთქიფანიძე იმ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლეა, რომელსაც გვარად უცნობი ელისაბედ სიმონის ასულისგან უჩნდება, სავარაუდოდ ბოლო ვაჟი-გიორგი 1862 წელს (დანართი II-3, გვ. 55), მაშინ ამ ვაჟის დაბადების მომენტისთვის იგი გამოდის, მიახლოებით, 30 წლის. ალბათ დამეთანხმებით, რომ ეს გცილებით ახლოა XIX საუკუნის რეალობასთან, ვიდრე ის, რომ 1862 წელს დაბადებული გიორგი მერაბის ძე მგალობლიშვილის დედა ყოფილიყო ამ დროისათვის მიახლოებით 43 წლის ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი.

თუ ნათქვამს დავუმატებთ იმასაც, რომ ერკეთის იმ საეკლესიო წიგნებში, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ვერანაირი ჩანაწერი მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ქორწინების თაობაზე ვერ მოვიძიეთ, დიდია ალბათობა, რომ ლაპარაკია ერთსა და იმავე მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილზე. აქედან გამომდინარე, აზნაურ მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის მეუღლე, რომელიც ნამდვილად არ არის დაახლოებით 1819 წელს დაბადებული ელისაბედ გიორგის ასული გურიის ერისთავი და ამას ამტკიცებს დანართები II-11 (გვ.64) და II-12 (გვ.65), დიდი ალბათობით შესაძლოა იყოს აზნაურ სვიმონ ლორთქიფანიძის ასული ელისაბედი ვანიდან, რომელიც დაიბადა დაახლოებით 1832 წელს.

ბოლო საეკლესიო ჩანაწერის თანახმად ეს მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილი ქორწინდება 1848 წელს ელისაბედ სვიმონის ასულზე (ლორთქიფანიძე). პირველი ჩანაწერი, რომელიც მოვიპოვეთ ამ (ან სხვა) მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილისა და ელისაბედ სიმონის ასულის შვილების დაბადების შესახებ, ილუსტრირებულია დანართი II-6-ით (გვ.58), საიდანაც ვიგებთ, რომ მას ვაჟი, კონსტანტინე-პავლე შეეძინა ელისაბედ სიმონის ასულისგან 1855 წელს. ქორწინების თარიღსა (1848 წ.) და ამ ვაჟის დაბადების წელს შორის სხვაობა 7 წელია, ისე როგორც მერაბის და ელისაბედ სიმონის ასულის ამ ვაჟსა და 1862 წელს დაბადებულ მეორე ვაჟს, გიორგის შორის (იხ. დანართი II-3, გვ.55). 7-7 წლიანი სხვაობა ქორწინებიდან (ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით) პირველი შვილის, ასევე პირველი და მეორე შვილის დაბადების წლებს შორის მაფიქრებინებს, რომ დანარჩენი შვილები, რომლებიც, წესით, უნდა არსებობდნენ, მაგრამ ვერ ვნახეთ ერკეთის საეკლესიო ჩანაწერებში, შესაძლოა დაიბადნენ და დარეგისტრირდნენ დედუღეთში, რაც ხშირად

ხდებოდა. ეს კიდევ უფრო მიმყარებს ვარაუდს, რომ მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილის შვილების, კონსტანტინე-პავლესა და გიორგის დედა, გვარად უცნობი ელისაბედ სიმონის ასული უნდა იყოს არა ერკეთიდან, არამედ სხვა სოფლიდან, შესაძლოა საერთოდ სხვა რეგიონიდან. შესაბამისად, დიდი ალბათობით ის შესაძლოა იყოს სწორედ დანართი II-14-ში (გვ.67) მოხსენიებული მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილის კანონიერი მეუღლე ელისაბედ სვიმონის ასული ლორთქიფანიძე სოფ. ვანიდად.

მერაბ მაგალობლიშვილის ქორწინების ჩანაწერი, ვფიქრობ, კიდევ ერთ ფაქტს ახდის ფარდას. კერძოდ, ამ ჩანაწერის თანახმად (დანართი II-14, გვ.67) მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილი ქორწინდება ელისაბედ სვიმონის ასულ ლორთქიფანიძეზე 1848 წელს. დანართი II-5-ის (გვ.57) თანახმად ივლიანე მერაბის ძე მაგალობლიშვილი იბადება 1853 წელს და ივლიანეს დედა არის „სჯულიერი“ ცოლი მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილისა ალათი გიორგის ასული. ამავე დროს მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილს 1855 წელს შეეძინა ვაჟი, კონსტანტინე-პავლე ასევე „სჯულიერი“ ცოლის, ელისაბედ სიმონის ასულისგან (იხ. დანართი II-6, გვ.58). თუ ეს ელისაბედ სიმონის ასული იგივეა, რაც დანართი II-14-ის თანახმად (გვ.67) მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილზე 1848 წელს დაქორწინებული ელისაბედ სვიმონის ასული ლორთქიფანიძე, მაშინ გამოდის შემდეგი: დანართი II-5-ში (გვ.57) მოხსენიებული, **1853 წელს დაბადებული ივლიანეს მამა, მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილი და დანართი II-6-ში (გვ.58) მოხსენიებული, 1855 წელს დაბადებული კონსტანტინე-პავლეს, ასევე დანართი II-3-ში (გვ.55) მოხსენიებული, 1862 წელს დაბადებული გიორგის მამა – მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილი – ორი სხვადასხვა პიროვნებაა, ვინაიდან ქრისტიანული წესით ერთსა და იმავე მერაბ მაგალობლიშვილს, ერთდროულად ვერ ეყოლებოდა ორი კანონიერი („სჯულიერი“) ცოლი, თუმცა არ არის გამორიცხული ჩანაწერის შეცდომაც. ნებისმიერ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ამდენი მერაბ დავითის ძე მაგალობლიშვილიდან არც ერთს არ ჰყავს ცოლად ელისაბედ გიორგის ასული, მით უმეტეს გურიის ერისთავი.**

აქ, უკვე, ვასრულებ გრიგოლ მაღალანას სახელზე გაცემულ საბუთთან დაკავშირებულ უცნაურ ისტორიას. **არაერთი თვე დავხარჯე იმ დოკუმენტების მოსაპოვებლად, რომლებიც ცხადყოფდა, რომ ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავისაგან გრიგოლ მაღალანას წარმომავლობის ამსახველ, ი.ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ, ისტორიულ ნარკვევს და გენეალოგიურ ფრაგმენტს არანაირი მეცნიერულად დასაბუთებული მტკიცებულება არ გააჩნია.** დიდი დრო დაიხარჯა ამაზე, მაგრამ არ ვნანობ. გარდა იმისა, რომ დოკუმენტებით დავასაბუთე: არ ვცდებოდი (არ ვცრუობდი, ი.ბიჭიკაშვილმა ხომ, ღია წერილით, სიცრუეშიც დამადანაშაულა), როდესაც ტელევიზიით განცხადებას ვაკეთებდი, რომ ეჭვი შემქონდა გრიგოლ მაღალანას სახელზე გაცემულ

საბუთზე ჩემი ხელმოწერის რეალობაში, კვლევის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა: **გამომჟღავნდა ელისაბედ გურიის ერისთავის, შესაბამისად, ქალის ხაზით გიორგი XII-ს ახალი შთამომავლები ნაკაშიძეების სახით: ის ადამიანები, რომლებიც ვერ მოხვდნენ ჩემი მონოგრაფიის „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ პირველ, დაჩქარებულ გამოცემაში, მაგრამ სწორედ ამ ისტორიის და მისი „შემოქმედის“, იოსებ ბიჭიკაშვილის ნყალობით დაფიქსირებულ იქნებინა მეორე, დაზუსტებულ გამოცემაში. ამით კი, შინაარსობრივად, მნიშვნელოვნად შეივსება აღნიშნული სამეცნიერო ნაშრომი.**

დანართი II-1

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО
Грузия
0160, Тбилиси, ул. Шартავа 14а, кв. 11



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY
Georgia
14a, Shartava str. 0160, Tbilisi

საქართველო, 0160, შარტავას ქ. 14ა, ბინა 11, ☎: (+995 32) 374 919 E-mail: chikovani@mail.ru

№ 5

20.01. 2015 ბ.

ც ნ ო ბ ა

ექლევა ბ-ნ გრიგოლ მაღანიას მასზე, რომ ის, ისტორიულ-გენეალოგიური გამოკვლევის თანახმად, ნამდვილად არის მეფე გიორგი XII-ის შთამომავალი ქალის საზით, რასაც ვადასტურებ. ცნობას (ცალკე ფურცელზე), თან ერთვის გენეალოგიური ფრაგმენტი.

საზოგადოების თავმჯდომარე

მ.



მ. ივ. ჩიქვანი

(დოკუმენტი, რომელიც განთავსდა წიგნის „ბაგრატიონები-სამეფო ტახტის მემკვიდრე“ 251-ე გვერდზე ჩემი მხრიდან მასზე ხელმოწერის უარყოფის მიუხედავად. ი.ჩ.)

ღანართი II-2

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО

Грузия
0160, Тбилиси, ул. Шартავა 14а, кв. 11



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY


Georgia
14a, Shartava str. 0160, Tbilisi

საქართველო, 0160, შარტავას ქ. 14ა, ბინა 11. ☎: (+995 32) 374 919 E-mail: chikovani@mail.ru

№ 5

20.01. 2015წ.

გენეალოგიური ფრაგმენტი





საზოგადოების თავმჯდომარე



იური ჩიქოვანი

(დოკუმენტი, რომელიც განთავსდა წიგნის „ბაგრატიონები-სამეფო ტახტის მემკვიდრე“ 252-ე გვერდზე ჩემი მხრიდან მასზე ხელმოწერის უარყოფის მიუხედავად. ი.ჩ.)




დანართი II-3



სათვალაუბრად დადებულია.		თვე		სახელება	წადება, სახელი, შამის სახელი	წადება, სახელი, შამის სახელი
მამია სქისა.	დედია სქისა.	დაბადება.	ნათესაობა.	დადებულია.	და გვარის შუამდგომლობა და რამისა.	და გვარის შამიქელთა.
1,	"	1,	20,	გიორგი	აშუაშვილი უფროსი შამიქელის ამაღიანი ბიძგის ილიას შუამდგომლობით ილიას შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის	აშუაშვილი უფროსი შამიქელის ამაღიანი ბიძგის ილიას შუამდგომლობით ილიას შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის
5,	"	7,	15,	გიორგი	აშუაშვილი უფროსი შამიქელის 4549 1729 742	აშუაშვილი უფროსი შამიქელის ამაღიანი ბიძგის ილიას შუამდგომლობით ილიას შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის შამიქელის


(ცსა, მერაბ დავითის ძე მგალობლიშვილის ვაჟის, გიორგის დაბადების საეკლესიო ჩანანერი. ფ.489, აღნ. 6, საქმე 1556, ფურც.135-ის მე-2 მხარე. ჩემს მიერ გადამოწმებული და სკანირებული. ჩანანერით დავრწმუნდი, რომ გიორგი მგალობლიშვილის დედა ნამდვილად არ არის ელისაბედ გიორგის ასული, მით უმეტეს – გურიის ერისთავი. ვხედავთ, რომ გიორგის დედის, ელისაბედის შამის სახელი, რომელიც თავიდან დაფიქსირებული იყო, როგორც „გიორგი“, გადაშლილია „სინოდალური კანტორის“ მოხელის მიერვე და შეცვლილია „სიმონით“. ი.ჩ.)

დანართი II-4



(ცხა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 390, კაცო ანტონის ძე ნაკაშიძის დაბადების ჩანაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ კაცოს დედა არის „სჯულიერი“ მეუღლე ანტონისა, ელისაბედ, „ენიზ“ „პრაპორჩიკის“ გიორგის ასული. ი.ჩ.)

დანართი II-5



9

მეტრიკის წიგნი

მაგბული სპეტუელა იმერეთის უწმინდესს მამართებლის
 სინადის კანტორითგან *გუჩის უცხარ ხანაძის*
უხმეჯის ხელის ქაიყთა შავთა ანკვირ მის
 ეკლესიასა შანა, ჩასწერულად დაბადებულთა, ქაბწანებით
 შეუდელილთა და გარდაცვალებულთასა.ქ



ჩუბუ წლასთავს

მეტრიკის წიგნი ჩუბუ წლისა

სათვალაფი დაბადებუ- ლთა.	თთველა ლღე.				სახელე- ბი დაბა- დებულ- თა.	წოდება, სახელი, მამას სახელი და გვა- რი მშობელთა და რომლისა სარწმუნო- ებისა არიან.	წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მიქმელთა.
	მამთა სქესისა.	ციფათა სქესისა.	დაბადება.	წაბრის- დღესა.			
	მ	მ	მ	მ	იქარსე	საყუხ თათა მამა ვხმეჯის ხელის გუჩის უცხარ ხანაძის ქაიყთა შავთა ანკვირ მის შავთა ანკვირ მის დაბადებულთა	საყუხ თათა მამა ვხმეჯის ხელის უცხარ ხანაძის ქაიყთა შავთა ანკვირ მის დაბადებულთა
	მ	მ	მ	მ	იქარსე	საყუხ თათა მამა ვხმეჯის ხელის გუჩის უცხარ ხანაძის ქაიყთა შავთა ანკვირ მის შავთა ანკვირ მის დაბადებულთა	საყუხ თათა მამა ვხმეჯის ხელის უცხარ ხანაძის ქაიყთა შავთა ანკვირ მის დაბადებულთა

(ცნა, ივლიანე მერაბის ძე მაგლობლიძის დაბადების ჩანაწერი, სოფ.ერკეთი, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1006, საიდანაც ვიგებთ, რომ დედა ივლიანესი არის არა ელისაბედ გიორგის ასული და არა ერისთავი, არამედ გვარად უცნობი ალათი გიორგის ასული. ი.ჩ)


დანართი II-6



სათვალაურო დაბადებულია.		თარიღი და დღე.		სახელები	წოდება, სახელი, მამის სახელი	წოდება, სახელი, მამის სახელი
მამათა სახელია.	დედათა სახელია.	დაბადება.	წაიღობება.	დაბადებულია.	და გვარს მშობელია, და მამის სახელია.	და გვარს მამის სახელია.
8.		15. 28.	აქტივი	საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები
				საქონი	საქონი, უჩინოები და უჩინოები	საქონი, უჩინოები და უჩინოები

(ცხა, ფონდი 489, აღწერა 6, საქმე 1118 ფურცელი 28, მერაბ მგალობლიშვილის კიდევ ერთი ვაჟის, კონსტანტინე-პავლეს დაბადების ჩანაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ ვაჟის დედა, ისე როგორც გიორგისა, არის „სჯულიერი ცოლი“ მერაბისა-ელისაბედ სიმონის და არა გიორგის ასული. როგორც ვხედავთ არც აქ არის ხსენება ელისაბედ გიორგის ასულის და, მით უმეტეს გურიის ერისთავისა. ი.ჩ.)

დანართი II-7



(ქცა, ფონდი 21, აღწერა 1, საქმე 1802, „იმერეთის ეპარქიის გურიის ნაწილის აღსარების მოქმელთა სია“)

დანართი II-8/ა

აქედან შევხვდით სანთელსა
 ექსტრემალურ სტრუქტურას
 ჯორჯი ბენდის


დანართი II-8/ბ

აქედან შევხვდით სანთელსა
 ექსტრემალურ სტრუქტურას
 ჯორჯი ბენდის

სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი
სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი

სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი
სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი	სანთელი

(ქცა, სოფ ერკეთი, ფ.21, აღნ.1, საქ.1802, ფურც.71, საიდანაც ვიგებთ, რომ 1839 წელს გიორგი დავითის ძე გურიის ერისთავი შვილების ჩამონათვალში აღარ ახსენებს წინას და ელისაბედს, რაც მიმანიშნებელია, რომ ამ დროისათვის ისინი გასული არიან გიორგი ერისთავის ოჯახიდან, არიან გათხოვილი, მაშინ როდესაც ამავე წელს მერაბ დავითის ძე მგალობლობილი, დანართი II-9-ს თანახმად, ჯერ კიდევ უცოლოა. ი.ჩ.)



(Д33, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 18. «О роде гурийскихъ табадовъ Эристовыхъ Александра, Севастія и Семёна Николаевыхъ»)

3.

Списокъ
Имянъ знатныхъ въ посольскомъ спискѣ
Иркутской Забайкальской въ родѣ Князей
Оршановыхъ.

Имя	Званіе, имя, отчество и фамилія.	Вѣкъ
1.	Поручикъ Леонидъ Давидовъ Оршановъ — Имена его Елена —	59. 45.
2.	Подпоручикъ Георгій Давидовъ Оршановъ — Имена его Марія Евменовна и др:	58. 55.
	Иванъ —	24.
	Давидъ —	20.
	Александръ —	18.
	Феодора —	19.
	Тимо —	16.
	Дочери:	
	Нинага Жамур —	28.
	Елизавета —	27.
	Софія (и.с.) —	29.
	Марта —	13.
	Анна —	8.
3.	Подпоручикъ Сумиорій Варшановъ Оршановъ — Имена его Софія — Сынъ и др Кайзеръ Игорь Керена — Братья Сумиорія: Ивановичъ Варшановъ Варшановъ Оршановъ —	42. 37. 10. 19. 33.


(ქცა, ფ. №1, აღნ. №1, საქმე №18, ფურცელი 3. პოდპორუჩიკი გიორგი დავითის ძე ერისთავი შვილები ჩამონათვალში მოიხსენიებს გათხოვილად სამ ქალიშვილს: ნინაზას, ელიზავეტას და სოფიას. ი.ჩ.)

9.

Ористовъ по Ахетскому
 участку заключаются
 следующие лица: 1. По
 рублики Ломинъ Давидъ
 52, сына его Елена 45 летъ,
 По камеральному описа
 нию 1831 года Ломинъ Ори
 стовъ пропущенъ по слу
 чаю нахождения его въ
 то время какъ Т.г. князь
 объявилъ въ Россіи, Не
 дозволяя митинга за
 нима посылку посылать
 собственныя крестьяне
 28, Азисуровъ 2, и Амасур
 скихъ крестьянъ 30 Димовъ
 2, Подпарикъ Теорій Де
 видовъ сына Ористовъ
 58, сына его Марія
 55, сына его: Меликъ
 24, Давидъ 20, Александръ
 18, Арома 19 и Туро 16,
 Дочери: Хансая посылку
 Абамидова 28, Елизавета
 посылку Макашиде 27,
 Софія посылку Мака
 шиде сына 22, Марта
 13, и Анна 8 летъ

(ქცა, ფ. №1, აღწ. №1, საქმე №18, ფურცელი 9. პოდპორუჩიკი გიორგი დავითის ძე ერისთავი შვილების ჩამონათვალში მოიხსენიებს გათხოვილი 3 ქალიშვილის მეუღლეების გვარს, მათ შორის ელისაბედისა – ნაკა-შიძე. ი.ჩ.)

დანართი II-12



53
მეტრიკის წიგნი

მიცემული საქართველო იმერეთის უწმინდეს მართებლის
სინოდის ვანტოტივან. უწმინდესი ეკლესიის მსახურის სინოდის
ფიცილის. ვანტოტივის. მსახურის. ვანტოტივის. სინოდის. ე.ი. სინოდის.
ეკლესიისა შინა, ჩანაწერულად დაბადებულთა, ქორწინებთა
შეყვანილთა და გარდაცვალებულთა,
ჩ. მ. წამბაძე

მეტრიკის წიგნისა ჩუქრისა

სათვალაუფი დაბადებულთა.		ოთქე და დღე.		სახელები	წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი შობებულთა და რომლისა საწმუნებისა არიან.	წოდება, სახელი, მამის სახელი და გვართ მიქმეულთა.
მამათა სქესისა.	მამათა სქესისა.	დაბადება.	ნათლისღება.			
		აქვ	ქვ			

8	25	150	წინა.	<p>აბო-ფრეს ვახუშტის, ჰანაძე აბო-ფრეს იმერეთის გო-ფრეს, უწმინდესი ეკლესიის მსახურის სინოდის ფიცილის. ვანტოტივის. მსახურის. ვანტოტივის. სინოდის. ეკლესიისა შინა, ჩანაწერულად დაბადებულთა, ქორწინებთა შეყვანილთა და გარდაცვალებულთა, ჩ. მ. წამბაძე</p>
---	----	-----	-------	--

(ცსა, ფ.489, აღნ.6, საქმე 1628. გურიანთა. ჩანაწერი, საიდანაც ჩანს, რომ ელენა მგალობლიშვილის ნათ-
ლია არის მეუღლე „კნიაზ“ ანტონ ნაკაშიძისა ელისაბედ, გიორგი ერისთავის ასული. ი.ჩ.)

დანართი II-13

ქართული გენეალოგიური საზოგადოება

ГРУЗИНСКОЕ
ГЕНЕАЛОГИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО



GEORGIAN
GENEALOGICAL SOCIETY

Tel: (+995 32) 237-49-19 Mob: (+995) 577-44-53-34

E-mail: iurichikovani@gmail.com

№ 8 (195)

20 აპრილი 2016 წ

„ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარის, იური ჩიქოვანის გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ა.წ. აპრილში გამოვიდა წიგნი „ბაგრატიონები-სამეფო ტახტის მემკვიდრე“, შემდგენლები კახა ქორიძე და იოსებ ბიჭიკაშვილი. წიგნის 251-ე და 252-ე გვ.-ზე განთავსებულია ორფურცლიანი, ერთი ფაქტის დამადასტურებელი, დოკუმენტი №5, 20.01.2015 წ.

ერთ ფურცელზე დატანილია ცნობა, რომლის თანახმად, თითქოსდა, გრიგოლ მალანია ნამდვილად არის გიორგი XII-ს შთამომავალი ქალის ხაზით. მეორე ფურცელზე კი მოცემულია ამ ფაქტის დამადასტურებელი გენეალოგიური ფრაგმენტი. ორივეგან ფაქტი დამოწმებულია ჩემი ხელმოწერით და საზოგადოების ბეჭდით.

ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში, როდესაც ჩემს ხელთ აღმოჩნდა ამ დოკუმენტის ასლები და შევიტყვე, რომ მზადდებოდა მათი პუბლიკაცია, საჯაროდ უარყავი მათზე ჩემი ხელმოწერა (TV- „ობიექტივი“, 01.10.2015წ.). ამის მიზეზი იყო ის, რომ გენეალოგიურ ფრაგმენტში ჩამოთვლილი 9 თაობიდან ჩემს მიერ შესწავლილი და დადასტურებული იყო მხოლოდ პირველი ოთხის წარმომავლობა - გიორგი XII-დან ელისაბედ გურიის ერისთავის ჩათვლით. ამის შემდეგი 5 თაობის გვარები კი არასდროს შემისწავლია, რის გამოც ვერაფერი მეცოდინებოდა მეფე გიორგი XII-სთან მათი ნათესაური კავშირის შესახებ. ხელმოწერის ასეთი საჯარო უარყოფა იყო ერთგვარი გაფრთხილება, რათა წიგნის ავტორებს თავი შეეკავებინათ დოკუმენტის პუბლიკაციისგან, ყოველ შემთხვევაში ჩემთან სიტუაციის გარკვევამდე მაინც. მაგრამ ასე არ მოხდა.

წიგნის გამოსვლიდან მალე ი.ბიჭიკაშვილმა, თავის ფისბუქ-გვერდზე, (15.05.2015), სიცრულე უწოდა ჩემი მხრიდან დოკუმენტზე ხელმოწერის ფაქტის უარყოფას. მისი განცხადების თანახმად, მან თავად გამოიკვლია გიორგი XII-სგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობა, საქართველოს ისტორიულ არქივში მოიძია ფაქტის დამადასტურებელი ყველა მასალა, წარმომიდგინა და მათი გაცნობის შემდეგ, თითქოსდა, დაერწმუნდი რა მათ საფუძვლიანობაში, მისი, კანცელერის და ჩემი მეუღლის თანდასწრებით მოვაწერე ხელი და დავამოწმე ორივე ფურცელი საზოგადოების ბეჭდით.

მიუხედავად იმისა, რომ ვერც მე და ვერც მეუღლემ ასეთი რამ ვერ გავისხენეთ, მაინც დაფუძვე, რომ შესაძლოა ადგილი ქონოდა რაღაც გაუგებრობას, რის გამოც, ჩემი ადვოკატის, ლევან ჩხეიძის, მიერ ხელმოწერილი ოფიციალური წერილებით მივმართე ი.ბიჭიკაშვილს თხოვნით, გადმოეგზავნა, მისი სიტყვებით, მის მიერვე მოძიებული მასალების ასლები, გავეცნობოდი მათ და თუ ისინი დაადასტურებდნენ გიორგი XII-სგან მალანიას წარმომავლობას ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავის ხაზით, ვალიარებდი ამ ფაქტს, ძალაში დაეტოვებდი ხელმოწერას და ინფორმაციას გავავრცელებდი მედია-საშუალებებით.

ი.ბიჭიკაშვილმა გადმოგზავნა გარკვეული მასალები, რომელთაგან ვერცერთი პასუხობს ჩემს მიერ დასმულ შეკითხვებს, ზოგ მათგანს კი საერთოდ არ აქვს მათთან და, ზოგადად, გენეალოგიასთან არანაირი კავშირი. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ დაერწმუნდი, რომ მას არანაირი მტკიცებულება არ გააჩნდა.

ამის შემდეგ თავად მივაშურე თბილისის და ქუთაისის არქივებს, სადაც მოვიპოვე დოკუმენტები, რომლებიც სრულად აქარწყლებს ელისაბედ გიორგის ას. გურიის ერისთავისგან და, შესაბამისად, გიორგი XII-სგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობის ვერსიას. უფრო მეტიც, დადგინდა ელისაბედის ნამდვილი შთამომავლების ვინაობა, ნაკაშიძეების და არა მალანიების სახით. ამაზე აღარ შევჩერდები, ვინაიდან აღნიშნულის შესახებ ჩემს ვრცელ პუბლიკაციას საზოგადოება მალე გაეცნობა.

ყოველივე ზემოთქმული მამლევს საფუძველს ვივარაუდო, რომ გრიგოლ მალანიას სახელზე გაცემულ დოკუმენტზე ან არ არის ჩემი ხელმოწერა, ან თუ იგი მე მეკუთვნის, მამასადამე მოპოვებულია არაკეთილხინდისიერი გზით, რის გამოც აღნიშნულ დოკუმენტს, №5, 20.01.2015 წ., რომელიც განთავსებულია წიგნში - „ბაგრატიონები-სამეფო ტახტის მემკვიდრე“, გვ.251-252, ვაცხადებ იურიდიული ძალის არმქონედ.

საზოგადოების თავმჯდომარე

ი. ჩიქოვანი



იური ჩიქოვანი

(ჩემს მიერ ხელმოწერილი და დამოწმებული ოფიციალური განცხადება, რომლითაც გიორგი XII-სგან გრიგოლ მალანიას წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, №5, 20.01.2015 წ., გამოვაცხადე იურიდიული ძალის არმქონედ. ი.ჩ.)

დანართი II-14



15

20.

შეგიტყდა ჩემი.

შეგიტყდა ჩემი იმისთვის უწყობისა და მისთვის.
 სიამოვნებას ვაქცევ. იმისთვის კარგად ავიღებ ჩემ უმეტეს
 ცხადს და თანაც ყველას შიგნით ვაქცევ. ავტორის
 მისი მისთვის კარგად იქნება მისთვის.
 მისთვის კარგად იქნება მისთვის. სიამოვნებას.

შეგიტყდა ჩემი		სიამოვნებას	ავტორის	მისთვის	კარგად	ავტორის
ავტორის	მისთვის	სიამოვნებას	ავტორის	მისთვის	კარგად	ავტორის
ავტორის	მისთვის	სიამოვნებას	ავტორის	მისთვის	კარგად	ავტორის

(ცსა, ფ. №489, აღნ. №6, საქმე №736, ფურც.179-ის მე-2 მხარე. ჩანაწერი, რომლის თანახმად „გურიის უეზდის სოფელსა ჩოხატაურს მცხოვრები საბატონო აზნაური მერაბ დავითის ძე მგალობლობილი“ 26 წლის ასაკში ჯვარს იწერს „სოფელსა ვანს მცხოვრების საბატონო აზნაურის სვიმონ ლორთქიფანიძის ასულ“, 16 წლის ელისაბედზე. ი.ჩ.)

ნ ა ნ ი ლ ი III

როგორ და რა მიზნით „ჩამომართვა“ იოსებ ბიჭიკაშვილმა ბაგრატიონების გენეალოგიურ ტაბულაზე საავტორო უფლება

მოცემული პუბლიკაციის შესავალ ნაწილში აღვნიშნავდი, რომ ი.ბიჭიკაშვილის მიერ ფეისბუქის პირად გვერდზე 2016 წლის 15 მაისს ჩემი მისამართით გამოქვეყნებულ ღია წერილზე ჩემი მხრიდან პასუხის შეყოვნების ერთ-ერთი მიზეზი არის ბაგრატიონთა გენეალოგიის ავტორთა ჩამონათვალში ჩემი ვინაობის მოხსენიების დამადასტურებელი დოკუმენტი. ამის შესახებ ღია წერილი იქნა გამოქვეყნებული ჩემი ფეისბუქის პირად გვერდზე 2016 წლის 7 დეკემბერს. ამჟამინდელი პუბლიკაცია, გარკვეული ჩასწორებებით და დამატებებით, იმეორებს მას.

თავის ფეისბუქ-წერილში ი.ბიჭიკაშვილს ორჯერ მოაქვს ბაგრატიონების გენეალოგიური ტაბულის საავტორო უფლებით დაცულ პირთა ჩამონათვალი, სადაც არ ახსენებს ჩემს გვარს. მოვიძიე საავტორო უფლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი, რომელიც სააშკარაოზე გამოიტანდა სიმართლეს. დოკუმენტის მოძიებას გარკვეული დრო დასჭირდა, ახლა კი ის ხელთ მაქვს (იხ. დანართი III-1, გვ.78).

ღია წერილის 1-ლ გვ.-ზე ი.ბიჭიკაშვილი ბრძანებს – **ციტატა III/1:** (ყველა ციტატის სტილი და მისი ავტორის მართლწერა შენარჩუნებულია. ი.ჩ.). „1992 წლიდან მე, ჩემს კოლეგებთან, ისტორიკოს დავით ნინიძესთან და ფილოლოგ ანა მხეიძესთან ერთად ვამზადებდი წიგნის „ბაგრატიონები“-ს ისტორიულ და გენეალოგიურ მასალებს. 1993 წელს ჩვენ (ი.ბიჭიკაშვილმა, დ.ნინიძემ და ა.მხეიძემ, თურმე ჩემი მონაწილეობის გარეშე ი.ჩ.) **საავტორო უფლებები ავიღეთ ამ წიგნზე (საავტორო უფლების დამამტკიცებელი საბუთი №1-03/3ა, 26.02.1993წ).**“ (ციტატის დასასრული).

მამ ასე, 1992 წლიდან ი.ბიჭიკაშვილი მუშაობს ბაგრატიონების ისტორია-გენეალოგიაზე დ.ნინიძესთან და ა.მხეიძესთან ერთად. მე, იური ჩიქოვანი ამ დროს „არ ვარსებობ“ და ამ ადამიანებს “წარმოდგენაც არ აქვთ” იმაზე, თუ ვინ არის ეს ჩიქოვანი. აქვე ვაცხადებ: წიგნის ისტორიულ ნაწილზე ნამდვილად არ მაქვს პრეტენზია. ი.ბიჭიკაშვილს, ჩემს გაცნობამდე და შემდეგაც, მართლაც ბევრი აქვს გაკეთებული ბაგრატიონთა გვარის ისტორიის შესწავლის მხრივ და სწორედ ეს იყო მიზეზი, რის გამოც გადავწყვიტე, რომ იგი იმუშავებდა ჩემს მიერ დაარსებულ „ქართულ გენეალოგიურ საზოგადოებაში“, როგორც, რიგ შემთხვევებში, ჩემს მიერ უკვე შედგენილი გენეალოგიური ნუსხების ძველი ისტორიული თარიღების დასაზუსტებლად საჭირო საბუთების მკვლევარი. მის ამ წვლილს არც არასდროს უარვყოფდი და არც ახლა უარვყოფ, მისგან განსხვავებით. იგი ხომ არც კი

ახსენებს ჩემს როლს ბაგრატიონთა სამეფო გვარის გენეალოგიური ტაბულის შედგენაში იმ დროისათვის, როდესაც აღებულია ეს საავტორო უფლება. მისი განცხადებიდან და შემდგომი ტექსტიდან გამომდინარე ის, თურმე, ამ დროს, ჯერ კიდევ “არ მიცნობს“, რასაც თავადაც ადასტურებს, როდესაც თავისი ღია წერილის იმავე გვერდზე ბრძანებს:

ციტატა III/2: “1993 წლის ნოემბრის თვეში (ანუ მისი სიტყვებით, მის მიერ „ჩემგან დამოუკიდებლად“ საავტორო უფლების აღებიდან 9 თვის შემდეგ – ი.ჩ.) მე გავიცანი იური ჩიქოვანი, რომელიც იკვლევდა ქართულ ისტორიულ გვარებს (მიაქციეთ ყურადღება – „იკვლევდა ქართულ გვარებს“, ოღონდ არ ახსენებს, რომ მათ შორის – ბაგრატიონებსაც – ი.ჩ.) და ამ პერიოდიდან დავიწყე მასთან მეცნიერული თანამშრომლობა“ (ციტატის დასასრული).

არც აქ ახსენებს, რომ თანამშრომლობა (გენეალოგიის თვალსაზრისით და არა ისტორიულ ნარკვევებში, რომელზეც, ხაზგასმით აღვნიშნავ, იგი მუშაობდა ჩემგან სრულიად დამოუკიდებლად და რომელშიც, აზრდაც კი არ მომივა, ოდესმე შევეცილო), შეეხებოდა მხოლოდ ბაგრატიონთა საგვარეულოს და არა დანარჩენ 110 გვარს, რომელთა გენეალოგიის შესწავლაზე სრულიად დამოუკიდებლად ვმუშაობდი მის გაცნობამდე და გაცნობის შემდეგაც. ამ 110 გვარზე (იგულისხმება გვარების რიცხვი ზოგი გვარის განშტოებების ჩათვლით) საავტორო უფლება (№1-03/7, 28 ივლისი, 1995წ.), ჩემი ხელნაწერების წარდგენის შემდეგ, აღებული მაქვს ჯერ კიდევ 1995 წელს (იხ. დანართი III-2, გვ.79). ამ საავტორო უფლებას თან ახლავს ყველა 110 გვარის ჩამონათვალი (იხ. დანართი III-3/ა, გვ.80 და III-3/ბ, გვ.81).

სავტორო უფლება რომც არ იყოს, ის ფაქტი, რომ ი.ბიჭიკაშვილს არანაირი წვლილი არ მიუძღვის ჩემს მიერ 110 გვარის გენეალოგიის შედგენაში, დასტურდება იმ პირადი საქმეებითაც, რომლებიც მოიცავს 1984-2008 წლების მონაკვეთს და ინახება როგორც თბილისის, ისე ქუთაისის არქივებში. მხოლოდ თბილისის არქივში დაცული პირადი საქმე შედგება 4 დამოუკიდებელი ტომისგან და ჯამში შეადგენს 915 ფურცელს (არა გვერდს). ამ პირადი საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ იმ დროისათვის ხელმისაწვდომი თითქმის ყველა ფონდი იქნა ჩემს მიერ დამუშავებული, რათა ამ გვარების გენეალოგია შემედგინა. ი.ბიჭიკაშვილის როლი ამოიწურებოდა, როგორც აღვნიშნე, მხოლოდ ისტორიული ნარკვევით. იმ შემთხვევებში კი, როდესაც იგი ადგენდა ცალკეულ გენეალოგიურ ფრაგმენტებს, ყველა გამოცემაში ვაფიქსირებდი მის გვარს.

ახლა დახედეთ დოკუმენტს, რომელიც განთავსებული მაქვს 78-ე გვერდზე დანართი III-1-ის სახით (აქ წარმოგიდგენთ დოკუმენტის მხოლოდ ქართულენოვან ვარიანტს. ზუსტად იგივე ხელთ მაქვს რუსულ ენაზეც). დახედეთ მის მონაცემებს. **№1-03/3ა, 26.02.93**, ანუ ზუსტად იგივე მონაცემებია, რაც მოაქვს ბ-ნ ბიჭიკაშვილს ზემოთ მოტანილ ციტატა

III/1-ში (გვ.68), მაგრამ ეს დოკუმენტი, დანართის სახით, მან, „რატომღაც“, არ გააცნო მკითხველს. როგორც ხედავთ, ამ დოკუმენტში შავით თეთრზე წერია: „...**ბაგრატიონთა სამეფო გვარის გენეალოგიური ტაბულა...რომლის ავტორები თანაბარწილად არიან: იოსებ ბიჭიკაშვილი, დავით ნინიძე, ანა ფეიქრიშვილი (შემდგომში მხეიძე, ი.ჩ.), იური ჩიქოვანი, რეგისტრირებულია საავტორო უფლებათა და ...საბჭოს მიერ. ი.ბიჭიკაშვილის, დ.ნინიძის, ა.ფეიქრიშვილის, ი.ჩიქოვანის საავტორო უფლებები დაცულია კანონით**“.

ვფიქრობ, ი.ბიჭიკაშვილმა საავტორო უფლების დამადასტურებელი ეს დოკუმენტი (დანართი III-1, გვ.78) არ დაურთო ჩემი მისამართით გამოქვეყნებულ, ბრალდებებით სავსე ღია წერილს იმიტომ, რომ მისი გამოქვეყნების შემთხვევაში ყველა დაინახავდა, თუ როგორ არის უგულვებელყოფილი ჩემი როლი ბაგრატიონების გენეალოგიის შედგენაში. ამ დოკუმენტის გამოქვეყნება ხომ გამოააშკარავებდა სიმართლისგან ასე შორს მდგომ მის ნათქვამს, თითქოსდა გამიცნო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩემგან დამოუკიდებლად შეადგინა ეს გენეალოგია.

ახლა საავტორო უფლების შესახებ უფრო დეტალურად. მაშ ასე, I-1 დანართით (გვ.78) წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად დაცული ვარ კანონით, მაგრამ არა ი.ბიჭიკაშვილით, რომელმაც ასე უაპელაციოდ „ამომშალა“ ავტორთა ჩამონათვალიდან. რატომ მოხდა ასე? „შემთხვევით დაავიწყდა“ ჩემი ხსენება? ვფიქრობ – არა და ამას ადასტურებს ის, რომ იმავეს აკეთებს იგი ღია წერილის მე-5 გვერდზეც. კერძოდ, იგი ბრძანებს – **ციტატა III/3: „ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ჯერ კიდევ 1993 წლის 26 თებერვალს, სამართლებრივი ფირმის „მ.გ.მ.-ავტორის მიერ (ანუ სწორედ ის ფირმა, რომელიც მითითებულია 78-ე გვ.-ზე განთავსებული დანართი III-1-ის მონაცემებში და რომელმაც მომანიჭა თანაბარწილი თანაავტორობის უფლება – ი.ჩ.) ჩემი და ჩემი თანაავტორების (ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ა.მხეიძე) სახელზე გაცემულია საავტორო უფლების დამამტკიცებელი საბუთი №1-03/3ა ნაშრომზე „ბაგრატიონთა სამეფო გვარის გენეალოგიური ტაბულა“ (ციტატის დასასრული).**

ამ ციტატიდან ჩანს: მიუხედავად იმისა, რომ გასაგებად ბრძანებს – ლაპარაკია არა მთლიანად წიგნზე „ბაგრატიონები“, თბ., 1995წ. (რომლის თანაავტორიც ნამდვილად არ ვარ და არც არასდროს გამჩენია ამის პრეტენზია), არამედ კონკრეტულად **ამ წიგნის გენეალოგიურ ნაწილზე – „ბაგრატიონთა სამეფო გვარის გენეალოგიური ტაბულა“ – ისევ არსად მახსენებს.** რომ არა ჩემს მიერ მოძიებული ეს საბუთი, (დანართი III-1, გვ.78), ის ასე თამამად, რბილად რომ ვთქვათ – სინდისის ქენჯნის გარეშე, დამიკარგავდა ბაგრატიონების გენეალოგიის შედგენაში განეულ შრომას ანუ დაუმტკიცებდა ყველას, რომ პიონერია ამ საქმეში, თუ, რა თქმა უნდა, სიმართლეში გარკვევის მსურველი, მიუკერძოებელი პირი, არ მოთხოვდა გამოქვეყნებინა მის ხელთ არსებული ეს დოკუმენტი, საიდანაც

ყველა დაინახავდა, რომ საავტორო მონუმბაში (სადაც ავტორები ჩამოთვლილია ანბანური თანმიმდევრობით) ფიგურირებს ჩემი გვარიც, როგორც თანაბარი წილით თანაავტორის. სამწუხაროდ ასეთი მიუკერძოებელი არავინ აღმოჩნდა ჩემს მიერ გენეალოგიური კვლევის თვალსაზრისით შესწავლილი გვარების მატარებელი ადამიანების იმ (საბედნიეროდ მცირე) ნაწილში, რომელიც მოექცა მისი გავლენის ქვეშ და რომელმაც შესანიშნავად იცოდა, როგორ და რა ძალისხმევით ვმუშაობდი მათ გენეალოგიაზე 1984 წლიდან მოყოლებული (რასაც ახლა ძალიან ვნანობ), და არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის და ნაწილობრივ ლონდონის (ე.წ. „პერესტროიკის“ მერე, როდესაც მომეცა საზღვარგარეთ მოგზაურობის უფლება, რაც მანამდე ჩამორთმეული მქონდა): არქივებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და ინსტიტუტებში. ყოველივე ამას კი ვაკეთებდი მხოლოდ ერთუზიანობით, საკუთარი ოჯახის ფინანსებით, ისე რომ არასდროს, არავისთვის მიმიმართავს დახმარებისთვის.

ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც დაკავშირებულია ამ ფაქტთან და, კერძოდ საავტორო უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან. როგორც ჩანს ციტატა III/2-დან (გვ.69), ბ-ნ ბიჭიკაშვილს გაუცვნივარ 1993 წლის ნოემბერში. მაშ საიდან აღმოვჩნდით თანაავტორები 1993 წლის ნოემბრამდე 9 თვით ადრე? რისთვის დასჭირდა იმის თქმა, რომ გამიცნო, თითქოსდა, მის მიერ საავტორო უფლების დამადასტურებელი საბუთის აღებიდან 9 თვის შემდეგ? რისთვის დასჭირდა იმის ილუსტრირება, ვითომდა ჩემგან დამოუკიდებლად შეადგინა ბაგრატიონების გენეალოგიური ტაბულა? რომც არ მომეძიებია ამის გამაბათილებელი საავტორო მონუმბა, არქივებში დაცული ჩემი პირადი საქმეებიდან ხომ მაინც გამომჟღავნდებოდა, რომ ამ თემაზე ვმუშაობდი 1985 წლიდან? რას ემსახურებოდა ასეთი საქციელი?

სამწუხაროდ, როგორც ჩანს ი.ბიჭიკაშვილმა მოახერხა ბაგრატიონების ერთი ნაწილის დარწმუნება იმაში, რომ პიონერია ამ საქმეში და ეს მიუხედავად იმისა, რომ მათ შესანიშნავად იცოდნენ: ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ვმუშაობდი მათი გვარის შესწავლაზე, მათი ოჯახების ინფორმაციაც ამ დროიდან მქონდა მოპოვებული და „ბაგრატიონთა სახლის“ დაარსების ერთ-ერთი ინიციატორიც გახლდით.

იმის თქმის საფუძველს, რომ ი.ბიჭიკაშვილმა, ჩემი აზრით, მოახერხა ბაგრატიონთა ამ ნაწილის განწყობა ჩემს საწინააღმდეგოდ, მაძლევს შემდეგი: ბაგრატიონების ამ ნაწილიდან ორისთვის ჩემგან გაგზავნილი პირადი წერილი უპასუხოდ დარჩა. ამ წერილში დოკუმენტებით, მონმეების გვარ-სახელების დასახელებით და ლოგიკურ ანალიზზე დაყრდნობით მქონდა დასაბუთებული, თუ რამ მაიძულა გადამედგა ის ნაბიჯი, რაც მრავალი წლის თმენის შემდეგ გადავდგი. რატომ „გავწირე“ ი.ბიჭიკაშვილი, როდესაც ჩემს მიერ გამოცემულ წიგნში „გიორგი XII და მისი შთამომავლობა“ დავადანაშაულე იგი ჩემს მიმართ არა-

კეთილსინდისიერ ქმედებაში. რატომ გავხდი იძულებული, გამეკეთებინა მკაცრი განცხადებები ტელეეთერით, მათ შორის ისიც, რომ უარს ვამბობდი „ბაგრატიონთა სახლის“ მთავარი გენეალოგის მოვალეობის შესრულებაზე. რით იყო გამოწვეული ამ ქმედებების აუცილებლობა, რომ არ იყო ეს ნაჩქარევი, მხოლოდ ემოციურ ნიადაგზე გადადგმული ნაბიჯი. რომ ტელეეთერით განცხადების გაკეთებამდე არ შევატყობინე უშუალოდ მათ ამის შესახებ, ვინაიდან მქონდა ამის სერიოზული მიზეზი. წერილი იყო პირადი იმიტომ, რომ არ მსურდა შიდა სამზარეულოს გარეთ გამოტანა, მითუმეტეს, რომ საქმე ეხებოდა იმ „ბაგრატიონთა სახლს“, რომლის მიმართ, იმ დროისთვის, მხოლოდ დადებითი გრძნობები გამაჩნდა და რომლის დაარსებაში წვლილი მქონდა შეტანილი. იმედი მქონდა, რომ ამ წერილს ისინი სხვა ბაგრატიონებსაც გადასცემდნენ, რათა არა მხოლოდ ი.ბიჭიკაშვილისგან, არამედ ჩემგანაც გაეგოთ მანამდე, ისევე ი.ბიჭიკაშვილის იტერესებიდან გამომდინარე, ჩემი მხრიდან დამალული მრავალი ფაქტი და დასკვნები ისე გაეკეთებინათ. მოხდა ისე, რომ ამის საპასუხოდ მივიღე სრული გულგრილობა. არც ერთ მათგანს, ამ ჩემი პირადი წერილის გაგზავნის მერე, სურვილიც კი არ გამოუთქვამს მათი თანდასწრებით ი.ბიჭიკაშვილთან ჩემი შეხვედრის, რაც მსურდა, ვინაიდან ვიყავი მართალი. აქედან გავაკეთე ლოგიკური დასკვნა, რომ მათ, როგორც ჩანს, ბოლომდე სჯეროდათ ი.ბიჭიკაშვილის და ჩემგან დასახელებული არგუმენტები, მოწმეები, დოკუმენტები უბრალოდ არ აინტერესებდათ. სწორედ ასეთი გულგრილობის და იგნორირების შედეგია, რომ ახლა ყველაფრის, ცხადია დოკუმენტურად დადასტურებულის გამოქვეყნებას, ხანგრძლივი დროის შემდეგ, იძულებით ვაკეთებ. ჩემმა მოწინააღმდეგეებმა, სხვა გზა, უბრალოდ აღარ დამიტოვეს.

ახლა იმის შესახებ, თუ როდის და რა ვითარებაში მოხდა ი.ბიჭიკაშვილის და ჩემი გაცნობა. ეს იყო არა 1993 წლის ნოემბერში, არამედ გაცილებით ადრე, როდესაც ანა ფეიქრიშვილი-მხეიძემ, იცოდა რა, რომ ვმუშაობდი ქართული ფეოდალური გვარების, მათ შორის ბაგრატიონების გენეალოგიის შესწავლაზე, მთხოვა შეხვედროდი მის 2 კოლეგას, იოსებ ბიჭიკაშვილს და დავით ნინიძეს, რომლებიც შეისწავლიდნენ ბაგრატიონების ისტორია-გენეალოგიას. დავთანხმდი და შევხვდი სამივეს. გავეცანი მათ, ისინი კი ჩემს შრომებს. ორივე მხარე დავრჩით კმაყოფილი. მხოლოდ ამ შეხვედრის შემდგომ, შევაჯერეთ რა ჩვენ-ჩვენი მონაცემები, შევადგინეთ ბაგრატიონთა სამეფო გვარის გაერთიანებული ტაბულა, წარვადგინეთ და ასე ავიღეთ თანაავტორობის დამადასტურებელი, დანართი III-1-ით ილუსტრირებული საავტორო (გვ.78), რომლიდანაც, თავის ფეისბუქ-წერილით ასე „წარმატებით“ ამომშალა ი.ბიჭიკაშვილმა.

არ გამოვრიცხავ, რომ ამ სამ ადამიანთან ჩემი გაცნობის შესახებ ზემოთ მონათხრობს ი.ბიჭიკაშვილმა უწოდოს სიცრუე ისე, როგორც ჩემი მხრიდან მის შესახებ ნათქვამ ბევრ სხვა სიმართლეს, მაგრამ აქ ბუნებრივად ისმის შეკითხვა: სად წაუვა იგი იმ ფაქტს,

რომ არ აწვდის მკითხველს სწორ ინფორმაციას, როდესაც წერს, რომ „გამიცნო ჩვენი თანაავტორობის დაკანონებიდან 9 თვის შემდეგ“. მაშ როგორღა აღმოჩნდით თანაავტორები (და ამას ადასტურებს დანართი III-1, გვ.78) გაცნობამდე 9 თვით ადრე?

რა მიზანი ჰქონდა ი.ბიჭიკაშვილის მიერ მკითხველისათვის ჩვენი გაცნობის არასწორი თარიღის მიწოდებას, თუ არა ის, რომ დაეკნინებინა (უფრო სწორად, ნულზე დაეყვანა) ჩემი როლი ბაგრატიონთა გენეალოგიის კვლევაში და გამხდარიყო ერთპიროვნული ლიდერი? მოახერხებდა კიდევ ამას, რომ არა ეს საავტორო მონაწილეობა, რომელიც უკვე მერამდენე აღმოჩნდა იმ მრავალ დოკუმენტთა შორის, რომლებიც „ამეტყველდნენ“ და თანდათან, მეთოდურად გამოააშკარავეს ჩემი ავტორიტეტის, რეპუტაციის შემლახავი ღია წერილის იმ გამონათქვამების უსამართლობა, რომელთა შესახებაც საუბარი მაქვს სამი ნაწილისაგან შემდგარ ამ პუბლიკაციაში.

რომ ი.ბიჭიკაშვილს სურს ჩემი სახელის ნაშლა ბაგრატიონთა გენეალოგიის თანაავტორობიდან, ჩემი როლის უარყოფა, იქიდანაც ჩანს, რომ იმავე ფეისბუქ-წერილის მე-2 გვერდზე, თავისი დამსახურებების საილუსტრაციოდ, სხვა მრავალ დამსახურებათა შორის, ასახელებს 2003 წელს გამოცემულ წიგნს „ბაგრატიონები – სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“ (იხ.დანართი III-4/ა ამ პუბლიკაციის 82-ე გვერდზე) და ჩამოთვლის თითქმის ყველას, ვისაც კი თუნდაც მცირედი შეხება ჰქონია მის პუბლიკაციასთან, მაგრამ არც კი ახსენებს ჩემს სახელს და ეს მაშინ, როდესაც ამ წიგნის გენეალოგიური ნაწილის თანაავტორი, მასთან და დავით ნინიძესთან ერთად, მეც ვარ. ეს ფაქტი დადასტურებულია წიგნის სატიტულო გვერდზე, საავტორო ნიშნის თანხლებით (იხ.დანართი III-4/ბ, გვ.83). როგორ ფიქრობთ – შემთხვევით გამორჩა ჩემი გვარი?

რომ ი.ბიჭიკაშვილს არ სურს ჩემი სახელის ხსენება ბაგრატიონთა გენეალოგიის ავტორთა ჩამონათვალში, ჩანს 2016 წელს მისი ავტორობით გამოცემულ წიგნშიც „ბაგრატიონები – საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“, რომელიც მთლიანად ეძღვნება ამ გვარის ყველა შტოს გენეალოგიას და რომელზეც, უფრო დაწვრილებით, ქვემოთ შევჩერდები. ამ წიგნის ბიბლიოგრაფიაში იგი ყველგან, სადაც კი ახსენებს მისი, დ.ნინიძის და ა.მხეიძის ავტორობით გამოცემული წიგნებიდან „ბაგრატიონები“ (დანართები III-5/ა, 5/ბ, 6-ა და 6-ბ გვ.84 და 85), ამა თუ იმ გენეალოგიურ ტაბულას, ასახელებს მხოლოდ წიგნის და არა თვით ამ ტაბულების ავტორებს ანუ ასახელებს საკუთარ თავს, დ.ნინიძეს, ა.მხეიძეს და ისევ კატეგორიულად არ მომიხსენიებს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სამ პიროვნებასთან ერთად მე ვარ გენეალოგიური ტაბულების (ხაზგასმით ვამბობ-გენეალოგიური ტაბულების და არა თავად წიგნების) თანაბარი წილით ავტორი და ეს დადასტურებულია როგორც საავტორო მონაწილეობით (დანართი III-1, გვ.78), ისე თავად ამ სამი ავტორის მიერ გამოცემული და პუბლი-

კაციის, „ბაგრატიონები – საქართველოს სამეფო დინასტიის და მისი განშტოებების გენეალოგია“, ბიბლიოგრაფიაში მოხსენიებულ წიგნებში ჩანანერით. კერძოდ, 1995 წელს გამოცემული „ბაგრატიონები“-ს 26-ე გვერდზე (დანართი III-5/ა და III-5/ბ, გვ.84) და 2000 წელს გამოცემული „ბაგრატიონები“-ს 33-ე გვერდზე (დანართი III-6/ა და III-6/ბ, გვ.85). ასევე, ამავე წიგნის მე-2 ნაწილის ბიბლიოგრაფიაში იშველიებს მოსკოვში 1996 წელს გამოცემულ წიგნს „ДВОРЯНСКИЕ РОДЫ РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ“ (III ტომი), მაგრამ არც კი ახსენებს იმ ფაქტს, რომ ამ წიგნის გენეალოგიური ტაბულების ავტორი ბაგრატიონების ყველა შტოში, ბაგრატიონ-მუხრანელების გარდა, მასთან ერთად გახლავართ მე, აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტზე, რომ ბაგრატიონ-მუხრანელების ხაზით ყველა ტაბულის ავტორი, ბ-ნი ბიჭიკაშვილის და საერთოდ ვინმეს გარეშე, სწორედ მე ვარ (დანართი III-7, გვ.86).

ის ფაქტი, რომ ბაგრატიონების გენეალოგია (რა თქმა უნდა იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც შეადგინეს ი.ბიჭიკაშვილმა, დ.ნინიძემ და ა.მხეიძემ ჩემგან დამოუკიდებლად, ჩემს გაცნობამდე), ისე როგორც დანარჩენი, ჩემს მიერ დეპონირებული, განშტოებებიანად 110 გვარისა (დანართი III-2, გვ.79, 3/ა, გვ.80 და 3/ბ, გვ.81), შედგენილია ჩემს მიერ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, დასტურდება იმ ხელნაწერებით, რომელთა დედნებიც, ბოლო დროს განვითარებული მოვლენების შემდეგ, გადაეცა საცავებს. ამ ხელნაწერების სიძველეს კი, საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერი ექსპერტიზა იოლად დაადგენს. ჩემს მიერ ამ გვარების გენეალოგიის შედგენა დასტურდება, ასევე, თბილისის და ქუთაისის არქივებში დაცული მრავალტომიანი პირადი საქმეების იმ ფონდების ჩამონათვალითაც, რომელიც დავამუშავე 1984 – 2008 წლების განმავლობაში. საცავებში დაცული, ჩემს მიერ ჩატარებული შრომის დამადასტურებელი ამ ხელნაწერების დედნების და პირადი საქმეების იმედი ნამდვილად მაქვს ადამიანთა იმ ნაწილისაგან განსხვავებით, რომელმაც დაივიწყა, როგორ დავდიოდი ოჯახიდან ოჯახში, სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, გასული საუკუნის 80-იანების შუა წლებიდან მოყოლებული, რათა ჩემს მიერ მოპოვებული საარქივო ჩანაწერები და ისტორიული მონაცემები შემეღწეო მათი ოჯახების მონაცემებით. ამ ადამიანებმა ხომ შეკითხვაც კი არ დასვეს – რატომ გაქრა ჩემი გვარი ბაგრატიონების გენეალოგიის ავტორთა ჩამონათვალიდან, ან რამ მაიძულა ჩემივე მხრიდან აქტიური მონაწილეობით დაარსებული „ბაგრატიონთა სახლის“ მთავარი გენეალოგის მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა და მისი დემონსტრაციულად დატოვება. ამ ნაბიჯის გადადგმა ხომ რთული უნდა ყოფილიყო ჩემთვის. რამ გამამწარა ისე, რომ ეს გავაკეთე. რატომ იმ ადამიანებს, რომლებიც კარგად მიცნობდნენ, არ გაუჩნდათ შეკითხვა, რამ მიმიყვანა აქამდე. რატომ არ დაუშვეს, რომ უნდა მქონოდა ამისათვის სერიოზული მიზეზი?

ახლა იმის შესახებ, რაც ი.ბიჭიკაშვილისეული ფეისბუქ – ღია წერილის უშუალო თემა არ არის, მაგრამ ასევე შეეხება ბაგრატიონების, კერძოდ მისი ერთ-ერთი განშტოების – ბაგრატიონ-მუხრანელების გენეალოგიის ავტორობის საკითხს.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ჯერ კიდევ 1996 წელს მოსკოვში გამოვიდა წიგნი სახელწოდებით „**ДВОРЯНСКИЕ РОДЫ РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ**“ (მე-3 ტომი), რომელშიც განთავსდა ბაგრატიონების გენეალოგია, ისტორიულ ნარკვევებთან ერთად. როგორც უკვე მოგახსენეთ, ამ ტომში, მუხრანელ ბაგრატიონთა გარდა, ბაგრატიონების ყველა განშტოების გენეალოგიის თანაავტორები ვართ ი.ბიჭიკაშვილი და მე. ბაგრატიონ-მუხრანელების გენეალოგიური ტაბულების ავტორი კი მხოლოდ მე ვარ და ეს მითითებულიც არის წიგნის 53-ე გვერდზე (იხ.დანართი III-7, გვ.86).

ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ ახალი ფაქტები მოვიძიე. მათ შორის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა ცნობები, რომელთაც მთლიანად შეცვალეს ბაგრატიონ-მუხრანელების უფროს-უმცროს შტოთა თანმიმდევრობა. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, მაშინვე ვამცნე ი. ბიჭიკაშვილს, ვინაიდან იმ პერიოდში ბაგრატიონების (და არა სხვა გვარების) გენეალოგიაზე ჯერ კიდევ ერთად, შეთანხმებულად ვმუშაობდით და ერთმანეთს ვაცნობდით ჩვენს მოსაზრებებს. ბ-ნმა იოსებმა ჩემი მოსაზრება გაიზიარა. იგივეს შესახებ შევატყობინე ქ-ნ ია და ირინა ლეონიდეს ასულ ბაგრატიონ-მუხრანელებს, რომლებიც იმდენად დაინტერესდნენ, რომ ქ-ნი ირინა ჩამობრძანდა მოსკოვიდან და მთხოვა შემედგინა ამ ახალი სახით გენეალოგია, ის კი ფინანსურად უზრუნველყოფდა წიგნის პუბლიკაციას. რა თქმა უნდა, დავთანხმდი. თავადვე შევთავაზე ქ-ნ ირინას, რომ ყოფილიყო ისტორიული ნაწილიც, რომლის ავტორადაც, ისე როგორც სხვა გამოცემებში, მოვიაზრებდი ი.ბიჭიკაშვილს. 2014 წლის გაზაფხულიდან დავიწყეთ ერთად მუშაობა: მან ისტორიულ, მე კი-გენეალოგიურ ნაწილზე. ჩემი ხელნაწერების მიხედვით, ჩემი გენეალოგიური ნაწილის ელექტრონული ვერსია, შეთანხმების თანახმად, შეადგინა ი.ბიჭიკაშვილმა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მის კომპიუტერში აღმოჩნდა მთელი ჩემი ნაშრომი – განახლებული გენეალოგიური ტაბულები და კომენტარები იმ სახით, რომელიც ჯერ კიდევ არსად მქონდა გამოქვეყნებული. აქვე მსურს დავამატო, რომ ბაგრატიონ-მუხრანელები არ იყო ერთადერთი გვარი, რომლის გენეალოგიის ჩემგან მიწოდებული სრული ვერსიაც ი.ბიჭიკაშვილს გააჩნდა. ჩვენს შორის იყო შეთანხმება, რომ ჩემი ხელნაწერების მიხედვით მას უნდა შეედგინა (რა თქმა უნდა, არა უანგაროდ) ზოგიერთი სხვა გვარის ნუსხების და კომენტარების ელექტრონული ვერსიაც, ვინაიდან უკვე ათვისებული ჰქონდა ამისათვის საჭირო პროგრამები. ისტორიული ნაწილის გარდა, სწორედ ამაში გამოიხატებოდა ჩვენი თანამშრომლობა, რომელზედაც იგი ასე აპელირებს თავის ღია წერილში. სამწუხაროდ, ვენდობოდი და ვაძლევდი (ხშირად დიდი ხნით) ამ მიზნით ხელნაწერებს. ეს კი ახლა სანანებლად მექცა.

დავუბრუნდები ბაგრატიონ-მუხრანელების შესახებ გამოსაცემი წიგნის ისტორიას. ქ-ნი ირინას ერთ-ერთი სტუმრობისას გეგმები შეიცვალა. ობიექტური მიზეზების გამო (რომელზედაც ქ-ნი ირინა, საჭიროების შემთხვევაში, თავად ისაუბრებს) მან უარი თქვა ი. ბიჭიკაშვილის მიერ შედგენილ ისტორიულ ნაწილზე და მთხოვა, რომ მხოლოდ ჩემს მიერ შედგენილი გენეალოგიური ნაწილი (კონსტანტინე II-დან მოყოლებული დღემდე) გამოგვეცა. ეს ხდება, უკვე, 2015 წლის ზაფხულში. ამ დღიდან სულ მალე მოხდა ის, რის გამოც საბოლოოდ გავწყვიტე ი.ბიჭიკაშვილთან ურთიერთობა. ჩემი მონოგრაფიისაგან, „გიორგი XII და მისი შთამომავლები“, მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოვიჩინე სიფრთხილე და წიგნის გენეალოგიური, ჩემი ნაწილის საბოლოო, ელექტრონული ვერსია, რომელიც სრული ასლია ჩემივე ხელნაწერის, ისტორიული ნაწილის, ანუ ი.ბიჭიკაშვილის წილი ნაშრომის გარეშე წარვადგინე „საქპატენტში“ და მოვახდინე მისი დეპონირება. (იხ. დეპონირების დამადასტურებელი დოკუმენტი, დანართი III-8 87-ე გვერდზე). თვით გენეალოგიური ტაბულები და კომენტარები, რომლებიც შესაბამისობაშია საცავზე გადაცემული ჩემი ხელნაწერის დედანთან, რა თქმა უნდა სრული სახით, დაცულია „საქპატენტის“ ელექტრონულ ბაზაში, ეს კი მაძლევს საშუალებას თავად განვკარგო საკუთარი შრომის ბედი ისე, როგორც საჭიროდ ჩავთვლი და ისე, როგორც საქმე მოითხოვს, ვინმესგან ნებართვის გარეშე.

მადლობას ვუხდის ყველას, ვისაც ეყო ნერვები, ბოლომდე ჩაეკითხა ბაგრატიონების გენეალოგიის ავტორობასთან დაკავშირებული და წინა 2 ნაწილში გადმოცემული ისტორიები. ნამდვილად არ მსურდა ნაგავი გარეთ გამომეტანა. იყო არაერთი მცდელობა როგორც ჩემი, ისე სხვების, მათ შორის ერთ-ერთი ბაგრატიონის მხრიდან – შიგნითვე, ბაგრატიონების მონაწილეობით მომხდარიყო ყველა საკითხის განხილვა, მაგრამ ყველა მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. არც ერთი შეხვედრა არ შედგა, როგორც აღვნიშნე – არა ჩემი მიზეზით.

ამით ბაგრატიონების გენეალოგიის შედგენასთან დაკავშირებულ პოლემიკას ვასრულებ. ჩემს მიერ მიცემულ პირობას არ დავარღვევ: ბაგრატიონ-მუხრანელების შესახებ უკვე დეპონირებულ ნაშრომს, ი.ბიჭიკაშვილის ისტორიული ნაწილის გარეშე, გამოვცემ და ბაგრატიონების გვართან ჩემი მეცნიერული დამოკიდებულებაც ამით დასრულდება, ისე როგორც დავასრულე ბაბადიშებთან ურთიერთობა, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ საკმაო შრომა მქონდა განეული მათი გენეალოგიის შედგენაზე, თავადვე ვთქვი უარი მათ შესახებ გამოცემული წიგნის თანაავტორობაზე, იმდენად მიუღებელი იყო, უკვე, ჩემთვის ი.ბიჭიკაშვილის გვერდით საკუთარი სახელის მოხსენიება. მათ კი არ გასჩენიათ სურვილი გაეგოთ, თუ რატომ გაქრა ჩემი გვარი წიგნის ავტორთა ჩამონათვალისგან, რამ მაიძულა უარი მეთქვა საკუთარ შრომაზე. დასანანია, რომ

წარსულში ამ გვარების (და არა მხოლოდ მათი) გენეალოგიის შესწავლაზე მრავალი წლის განმავლობაში დაკარგულ დროს და ენერგიას ველარანაირად დავიბრუნებ. მადლობას არც ველოდი და არც მსურდა. ამისათვის არ ვმუშაობდი. ვმუშაობდი იმიტომ, რომ მეგონა – სასარგებლო საქმეს ვაკეთებდი. მიყვარდა ეს საქმე და სრულიად უანგაროდ ვემსახურებოდი. არავისგან არაფერს ვითხოვდი, მაგრამ იმასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მიერ ათეული წლების განმავლობაში გაწეულ შრომას ზოგიერთი ასე ადვილად მოისვრიდა ნაგავში და ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო სიმართლის გაგების სურვილსაც კი არ გამოიჩენდა, ისე წავიდოდა ჩემს წინააღმდეგ.

Правовая фирма



"М.Г.М.-АВТОР"

LIMITED CORPORATION "M.G.M.-AVTOR" - LEGAL ACTIVITY, COPYRIGHT


380007 ქ.თბილისი, თავისუფლების მოედ., 4, კორპ. 5. სააქციო-კომერციული ბანკი "ივერტბანკი" ს/ა №100467811, კოდი 522942
380007 Республика Грузия, г.Тбилиси, пл.Свободы, 4, к.5: Р/счет №100467811 в акционерно-коммерческом банке "Ивертбанк" код 522942
Tavisupleba Sq.4,b.5,380007 Tbilisi,Republic of Georgia
ტელ.тел. phone: 99-89-95, 99-63-29; ფაქს. fax (8832)381 783

26.02.93. № 1-03/3ა

აქვენი სამართლებრივი ფირმა "მ.გ.მ.-ავტორი" ადასტურებს, რომ
ბელნანდერის "ბატრაფონის საბავშვო ტვარის გენეალოგიური ცაბუღა" ქარაუღ
და რუსუღ ჭნებბე, რომიღს ავტორებბი ღანბარბიღაღ არღან: ღოსტბ ბბჭკაბე-
ვიღი, ბავღი ბბბბბ, ანა ღვღერბიშვიღი, ღურბ ზბეოვიანბ, - რვღსტრბრბბბ-
ღბა სბავტორბ უღღებბაღა ბა ზბვღღებუღბაღბ სბკუღრბბბ სბვექსვღრბ-სბკონ-
სტრბბბბბ სბბჭბს ბბბბ. ღ.ბბჭკაბევიღბს, ბ.ბბბბბბს, ა.ღვღერბიშვიღბს,
ღ.ზბეოვიანბს სბავტორბ უღღებბბ ბბბბბბ კბნბბბ.

აღბბბბბბ ბენეალოგიური ცაბუღბს ბბბბბს ბელნანდერბს "ბატრაფონბბ" ("ბატრაფონბბ ტვარბს ბსტორბბ") ბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბს ბებბბბბბბბბ, ანუ ბბბბ ბბბბბბბბბბს ბებბბბბბბბბ ბებბბბბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ (კბღბბბბბბ, კბკბბბბბბ ბა სბბბ), სბავტორბ უღღებბს ბებბბბბბ ბბბბბბბ ბბბბბბბ კონბბბბბბს ბებბბბბბბბბ (ბბბბ 111), ბბს ბბბბბბბბბბბ სბავტორბ უღღებბს ბბბბბს ბბბბბბ.

სბავტორბ უღღებბბბს ბებბბბბ, ანუ ბბბბბბბბ ბენეალოგიური ცაბუღბს ბებბბბბბბბ ბბბბბბ ბბბბბბბბბბბბ ბბბბბ ბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ სბბბბბბბბბბბბ სბავტორბ უღღებბს ბბბბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბბ, ბბბბბ ვრბბბბბბბ სბბბბბბბბბბბ სბავტორბ სბბბბბბბბბბბ.

სამართლებრივი ფირმა "მ.გ.მ.-ავტორის" ბენეალოგიური ბბბბბბბბ
 ბ.ბბბბბბბბბბ

(სბავტორბ უღღებბს ბბბბბბბბბბბბ სბბბბბ, სბბბბ ბბბბბბბბ ბბბბბბბბბბბბ ანბბბბბ ბბბბბბბ-ბბბბბბბ. ბბბბბბბბბბ ბბბბბბბბბ, რომ ვარ „ბბბბბბბბბბბ სბბბბბ ბვარბს ბენეალოგიური ტაბუღბს“ ბბბბბბბ ბბბბბ ბბბბბ, რბსბბ უბბბბბბბბბბბ ბბბბ ბბბ ბბბბბბბ ბ.ბბბბბბბბბბბ.)

დანართი III-2

"მ. გ. მ. - ავტორი"
სამართლებრივი ფირმა



"M.G.M. - AVTOR" Ltd
Legal Activity, Copyright


No. 1-03/7

"28 ივლისი 1995 წ.

ამიწ სამართლებრივი ფირმა "მ. გ. მ. - ავტორი" აცხადებს, რომ "ქართული გვარების გენეალოგიური ტაბულები" ხელნაწერი, რომლის ავტორია იური კონსტანტინეს ძე ჩიქოვანი, რეგისტრირებულია საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების საექსპერტო-საკონსულტაციო სამსახურში (დანართი შექმნის მიხედვით ქართულ და რუსულ ენებზე, სურ 110 გვარი).

მ. ჩიქოვანის საავტორო უფლებები დაცულია კანონით საავტორო უფლებების სამართლებრივი დაცვის ახორციელებს ფირმა "მ. გ. მ. - ავტორი". "ქართული გვარების გენეალოგიური ტაბულები" ხელნაწერის გამოცემისას მას-მიმკუთვნიება საავტორო უფლების დაცვის ნიშანი © (საფუძველი - საავტორო უფლებათა შესახებ შენგვის მსოფლიო კონვენცია, მანი 111).

აღნიშნული ხელნაწერის ნებისმიერი სახით გამოყენება მისი ავტორის თანხმობის გარეშე ისჯება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით და ვქვემდებარება საერთაშორისო საავტორო სამართლის ნორმებსა და ორმხრივ ხელშეკრულებებს.

სამართლებრივი ფირმა "მ. გ. მ. - ავტორის"
გენერალური დირექტორი  მ. მ. მ. - ავტორი

საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი, 380007
თავისუფლების მოედანი No.4 კორპ.5
ტელ.: (8832) 998 995; 933 982; ფაქსი: (8832) 998 995
Tavisupleba Sq. No.4, b 5, 380007
Tbilisi, Republic of Georgia
Tel.: (8832) 998 995; 933 982; Fax: (8832) 998 995

(სავტორო უფლების დამადასტურებელი საბუთი, რომელიც, ხელნაწერების წარდგენის შემდეგ, გაცემულია ჩემს სახელზე, როგორც 110 გვარის გენეალოგიის ავტორზე. გვარების ჩამონათვალი იხ. მე-80 და 81-ე გვ.-ზე. ი.ჩ.)

დანართი III-3/ა

გვარების ნუსხა

- | | |
|------------------------------------|---------------------------|
| 1. აბაბეღვი | 32. დგუბუაძე |
| 2. აბაშიძე/იმერეთის/ | 33. დიასამიძე |
| 3. აბაშიძე/კახეთის/ | 34. ემუხვარი |
| 4. აბაშიძე/ქართლის/ | 35. ერისთავი/არაგვის/ |
| 5. აგიაშვილი | 36. ერისთავი/გურიის/ |
| 6. ავალიშვილი/კახეთის/ | 37. ერისთავი/იმერეთის/ |
| 7. ავალიშვილი/ქართლის/ | 38. ერისთავი/რაჭის/ |
| 8. ამიგუნე | 39. ერისთავი/ქსნის/ |
| 9. ამილახვარი | 40. ვაჩნაძე |
| 10. ამირეჯიბი | 41. ვახვახიშვილი |
| 11. ანდრონიკაშვილი | 42. ვეზირიშვილი |
| 12. ანჩაბაძე | 43. თავდგირიძე |
| 13. არღუთიშვილი-მხარგრძელი | 44. თარხან-მოურავი |
| 14. ასათიანი | 45. თუმანიშვილი |
| 15. აფაქიძე | 46. თურქისგანიშვილი |
| 16. ახვლედიანი | 47. თაქთაქიშვილი |
| 17. ბაბაძე | 48. იაშვილი |
| 18. ბარათაშვილი | 49. ინალი-იპა/ინალიშვილი/ |
| 19. ბებუთაშვილი | 50. იოანიძე |
| 20. ბეგთაბეგიშვილი | 51. ლორთქიფანიძე |
| 21. გაბაშვილი/იმერეთის/ | 52. მარშანია |
| 22. გარდაფხაძე | 53. მაქსიმენიშვილი |
| 23. გეგევაზიშვილი | 54. მალაღაშვილი |
| 24. გელაშვილი | 55. მაყაშვილი |
| 25. გუგუნაძე | 56. მაჩაბელი |
| 26. გურამიშვილი | 57. მაჭუჭაძე |
| 27. გურგენიძე/კახეთის/ | 58. მედიკ-ბეგაროვი |
| 28. გურიელი | 59. მედიქიშვილი |
| 29. დარეშვილი | 60. მიქაძე |
| 30. დარეიანი/1. დინასტია/ | 61. მიქელაძე |
| 31. დარეიანი/ჩუქოვანების დინასტია/ | 62. მხეიძე/იმერეთის/ |

ახალი დელანთან სსორიწ
 201-5.
 31.05.16

(ჩემს სახელზე დეპონირებული, განმტოვებუიანად 110 გვარის ჩამონათვალი, I გვერდი. ი.ჩ.)

დანართი III-3/ბ

- 2 -

- | | |
|--|--|
| <p>63. ნხეიძე/სამეგრელო/
 64. ნაკაშიძე.
 65. ნიჟარაძე
 66. მრბელიანი
 67. რაჭიშვილი
 68. როშიჭაშვილი
 69. რუსიშვილი/ყორჩიბაში/
 70. საგინაშვილი
 71. სპაბაძე-კამსარაკანი
 72. სიპამონიძე/სიპამონ-ერისთავი/
 73. სოლოშვილი
 74. სუმბათაშვილი
 75. ტუსიშვილი
 76. ფაველიშვილი
 77. ფალავანიშვილი
 78. ფარავა
 79. ქობულაშვილი
 80. ქოჩაკიძე
 81. ყარალაშვილი
 82. ყიფიანი/რაჭის/
 83. შალიკაშვილი
 84. შელია
 85. შერვაშიძე
 86. შერვაშიძე/ქარაღის/
 87. ჩაბაღურავა. /სოფიშვილი/
 88. ჩერქეზიშვილი
 89. ჩიქოვანი
 90. ჩიჩუა
 91. ჩიჯავაძე
 92. ჩოლოყაშვილი
 93. ჩქოჭუა
 94. ჩხეიძე/იმერეთის, რაჭის/
 95. ციციშვილი
 96. ძიაკშ-იპა/მეფისაშვილი/
 97. წულუკიძე</p> | <p>98. წერეთელი
 99. ჭავჭავაძე
 100. ხერხეულიძე
 101. ხიფიჩიშვილი
 102. ხიმშიაშვილი
 103. ხოჯამინასოვი
 104. ჯავახიშვილი
 105. ჯაიანი
 106. ჯანრიერი
 107. ჯაფარიძე/იმერეთის/
 108. ჯაფარიძე/კახეთის/
 109. ჯაყელი
 110. ჯორჯაძე</p> |
|--|--|

ახლი დამაინთას სსორობა
 201 წ.ს.
 ნაღმინაშვილი
 31.05.16



(ჩემს სახელზე დეპონირებული, განმტოვებთანად 110 გვარის ჩამონათვალი, II გვერდი. ი.ჩ.)

დანართი III-4/ა

მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
“ბაბრატოვანთა სახლი”



ბუნებისმეტყველების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა

თბილისი
2003

(2003 წელს გამოცემული წიგნი, რომლის თანდართულ გენეალოგიურ ტაბულებზე ჩემი თანაავტორობა დაფიქსირებულია ამ პუბლიკაციის 83-ე გვ.-ზე განთავსებულ, დანართი III-4/ბ-თი ილუსტრირებულ მის სატიტულო გვერდზე. ი.ჩ.)

დანართი III-4/ბ

უაკ (UDC) 947.922
ლ 852

სარედაქციო კოლეგია: როინ მეტრეველი - თავმჯდომარე (მთავარი რედაქტორი), რაფეელ ჩიქოვანი - თავმჯდომარის მოადგილე, რამაზ შენგელია - სწავლული მდივანი.

წევრები: გიორგი ბაგრატიონი, ბენედიქტე ბალავაძე, იოსებ ბიჭიკაშვილი, ივანე გორგიძე, დავით გორგიძე, დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, თამაზ ვაშაკმაძე, რაულ ჩაგუნავა, ანზორ ხელაშვილი, რამაზ ნეცყურიანი, რამაზ ხუროძე

Editorial Board: Roin Metreveli - Chairman (Editor-in-Chief), Rafael Chikovani - Vice-chairman, Ramaz Shengelia - Scientific secretary. Members: Giorgi Bagrationi, Benedikte Balavadze, Ioseb Bichikashvili, Ivane Gorgidze, David Gorgidze, Arch-priest Giorgi Zviadadze, Tamaz Vashakmadze, Raul Chagunava, Anzor Khelashvili, Ramaz Khetsuriani, Ramaz Khurodze.

წინამდებარე კოლექტიური ნაშრომი მიძღვნილია ბაგრატიონთა დინასტიის ღირსეულ წარმომადგენელთა უჩვეულოდ ფართო დიაპაზონის მქონე შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი.

კრებულში შესულია ცნობილ ქართველ მეცნიერთა შრომები ბაგრატიონთა საგვარეულოს შესახებ; წარმოჩენილია მათი ისტორია და როლი საზოგადოებრივ, კულტურულ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ის დიდი ღვაწლი, რომელიც ამ საგვარეულოს წარმომადგენლებს მიუძღვით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში; ნაჩვენებია ის ამაგი, რომელიც ბაგრატიონებმა დასდეს საქართველოს, ქართველ ხალხს.

წიგნი ბაგრატიონთა მრავალმხრივი შემოქმედების ასეთი ფართო სპექტრით ერთ კომპლექსურ კრებულში წარმოდგენის პირველი ცდაა. კრებული მოკრძალებული გამოხატავს ბაგრატიონების მიმართ იმ მაღლიერებისა, რომლითაც აღსაყესა საქართველო და მისი ხალხი.

The present collection of works has been dedicated to an unusually wide range creative work of the worthy representatives of the Bagrationi Dynasty.

The collection of works includes the articles by the known Georgian scientists about the Bagrationi Dynasty. There is represented the history of the Dynasty, its role in social, cultural or political life, that great contribution which had been made by the representatives of this Dynasty to development of science and technique; Their care for Georgia and Georgian people is shown. The book is the first attempt to represent a wide range of the Bagrationis creative work in one complex collection.

This collection of works is a modest manifestation of that gratefulness of Georgia and its people to the Bagrationis.

მხატვარ-დიზაინერი გიორგი ავსაჯანიშვილი

© “ბაგრატიონთა სახლი”, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოება, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. 2003.

© ფოტოები და დიზაინი, ი.ბიჭიკაშვილი. 2003.

© გენეალოგიური ტაბულები. ი.ბიჭიკაშვილი, დ.ნინიძე, ი.ჩიქოვანი. ბაგრატიონთა 2003.

ISBN-99928-0-623-0

(2003 წელს გამოცემული წიგნის, „ბაგრატიონები – სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა“ სატიტულო გვერდი, რომლითაც დასტურდება ბაგრატიონთა გენეალოგიურ ტაბულებზე ჩემი თანაავტორობა, რის ხსენებასაც თავს არიდებს ი.ბიჭიკაშვილი თავის ღია წერილში . ი.ჩ.)

დანართი III-5/ა



დანართი III-5/ბ

გიორგი XII ვაჟის ბაგრაგ ბაგონიშვილის შთამომავალმა, ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრაგიონ-გრუზინსკიმ, რომელსაც ზემოთ შევეხეთ; აქვე, უნდა მოვიხსენიოთ ბაგრაგ ბაგონიშვილის უმცროსი ძმის, ილია ბაგონიშვილის შთამომავალი – პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკი, რომელიც თავის ვაჟთან, ევგენისთან და ორ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს მოსკოვში.

მუხრანელთა შგოს წარმომადგენელია გიორგი ირაკლის ძე ბაგრაგიონ-მუხრანსკი, რომელიც დაუნათესავდა ევროპის სამეფო თუ არისტოკრატიულ ოჯახებს. მიუხედავად იმისა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პრესტიჟისა და აღიარების თვალსაზრისით, ბუნებრივია, უპირველესია ლეგიტიმურობისა და სამეფო გახგის მემკვიდრეობის წესის დაცვა: ბაგრაგიონ-მუხრანსკები ბაგრაგიონთა სამეფო სახლის გვერდითი შგოს – მუხრანბაგონთა უმცროსი განაყოფის ჩამომავალნი არიან. ისინი იყვნენ თავადები და ემსახურებოდნენ ერეკლე II სამეფო კარს. ამ გვერდითი შგოს წარმომადგენლებს სამეფო გახგის არსებობის ხანაში გამეფება არც უფიქრიათ. ერეკლე II-ის პირდაპირი შგოს რეალობის პირობებში გამორიცხულია მუხრანბაგონთა სამეფო გახგის მემკვიდრედ გამოცხადების შესაძლებლობა, რადგან ძალაში რჩება ერეკლე II შთამომავალთა უფროსობა ბაგრაგიონთა გვარში.

ბაგრაგიონთა საგვარეულო განშტოების სხვა წარმომადგენლები – თავადების ბაგრაგიონ-დავითიშვილების შთამომავლები – დღესაც თბილისში ცხოვრობენ.

გთავაზობთ ბაგრაგიონთა გენეალოგიური ტაბულების ფრაგმენტებს, რომლებიც შეადგინეს: იური ჩიქოვანმა, სოსო ბიჭიკაშვილმა, დავით ნინიძემ და ანა მხეიძემ.

(1995 წ. გამოცემული წიგნი „ბაგრატიონები“, სადაც 26-ე გვ.-ზე მოხსენიებულია ჩემი გვარი, როგორც გენეალოგიური ტაბულების ფრაგმენტების თანაავტორის, რასაც ი. ბიჭიკაშვილი არ ახსენებს არსად. ი.ჩ.)

დანართი III-6/ა



დანართი III-6/ბ

ბაბრატოვანი

33

იყო მოწესრიგებული, რადგან ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ტიტული, როგორც ბაგრატიონთა სახლის მეთაურისა, შეიძლება სადაოდ მიიწიოს ერეკლე II პირდაპირმა შტომ, კერძოდ, გიორგი XII-ის ვაჟის ბაგრატ ბატონიშვილის შთამომავალმა, ნუგზარ პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკიმ, რომელსაც ზემოთ შევეხეთ; აქვე უნდა მოვიხსენიოთ ბაგრატ ბატონიშვილის უმცროსი ძმის, ილია ბატონიშვილის შთამომავალი - პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი, რომელიც თავის ვაჟთან ევგენისთან და ორ ქალიშვილთან ერთად ცხოვრობს მოსკოვში.

მუხრანელთა შტოს წარმომადგენელია გიორგი ირაკლის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელიც დაუნათესავდა ევროპის სამეფო თუ არისტოკრატიულ ოჯახებს. მიუხედავად იმისა, რომ ამას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო პრესტიჟისა და აღიარების თვალსაზრისით, ბუნებრივია, უპირველესია ლეგიტიმურობისა და სამეფო ტახტის მემკვიდრეობის წესის დაცვა: ბაგრატიონ-მუხრანსკები ბაგრატიონთა სამეფო სახლის გვერდითი შტოს - მუხრანბატონთა უმცროსი განაყოფის ჩამომავალი არიან. ისინი იყვნენ თავადები და ემსახურებოდნენ ერეკლე II-ის სამეფო კარს ამ გვერდითი შტოს წარმომადგენლებს სამეფო ტახტის არსებობის ხანაში გამეფება არც უფიქრიათ. ერეკლე II-ის პირდაპირი შტოს რეალობის პირობებში გამორიცხულია მუხრანბატონთა სამეფო ტახტის მემკვიდრედ გამოცხადების შესაძლებლობა, რადგან ძალაში რჩება ერეკლე II-ის შთამომავალთა უფროსობა ბაგრატიონთა გვარში.

ბაგრატიონთა საგვარეულო განშტოების სხვა წარმომადგენლები - თავადების ბაგრატიონ-დავითიშვილების და ბაგრატიონ-ბაბადიშვილების შთამომავლები - დღესაც საქართველოში ცხოვრობენ.

გთავაზობთ ბაგრატიონთა გენეალოგიური ტაბულების ფრაგმენტებს, რომლებიც შეადგინეს: „ქართული გენეალოგიური საზოგადოების“ თავმჯდომარემ, ცნობილმა გენეალოგმა იური ჩიქოვანმა, სოსო ბიჭიკაშვილმა, დავით ნინიძემ და ანა შხეიძემ.

(2000 წ. გამოცემული წიგნი „ბაგრატოვანი“, სადაც 33-ე გვ.-ზე მოხსენიებული ვარ, როგორც გენეალოგიური ტაბულების ფრაგმენტების თანაავტორი, რასაც ი.ბიჭიკაშვილი ასევე არ ახსენებს არსად. ი.ჩ.)

ნიკ (в 1914 г.) [218, p. 118]. Военный комендант Курского вокзала в Москве. С 1916 г. в отставке. Последний мужской представитель этого рода.

31/28. Дмитрий Петрович (13.06.1863 – 21.10.1919), князь, генерал-майор. В 1882 г. окончил кавалерийское училище, служил во Владимирском уланском полку, с 1909 г. состоял помощником начальника офицерской кавалерийской школы. В 1906 г. основал и

издавал до 1914 г. журнал "Вестник русской конницы" [218, 118]. Автор статей по военным проблемам, перевел на русский язык весьма ценную для кавалерийских офицеров книгу Д. Филлиса "Основы езды и выездки", выдержавшую ряд переизданий. К началу I мировой войны – командир 1-й бригады Кавказской туземной конной дивизии. С 1916 г. в чине генерал-лейтенанта назначен командиром этой дивизии, награжден Гергиев-

ским оружием. В 1917 г. дивизия была развернута в корпус, который принимал участие в выступлении генерала Л.Г.Корнилова. С сентября 1917 г. Дмитрий Петрович в запасе. В декабре 1918 г. вступил в Красную армию. В 1919 г. – начальник Высшей кавалерийской школы РККА, председатель Особой комиссии по снабжению Красной армии конским составом. Умер в Петрограде [Материалы И.С.Тихонова].

КНЯЗЬЯ СЕМЕНОВЫ (БАГРАТИОН)

РОДОНАЧАЛЬНИКОМ* этой семьи был внебрачный сын грузинского царевича Симеона (Симона) Леоновича (Левановича) (младшего брата царя Вахтанга VI) – Николай (№ 47 в табл. 6). Определением Вы-

*Статья написана С. В. Думиним с использованием материалов П.Х. Гребельского и кн. Ю. К. Чиковани.

сокого Сената 24 февраля 1741 г. было повелено поручику Сибирского полка Николаю Багратиону именоваться по объявленному своему отцу князем Николаем Семеновым [58. С.72]. Он был женат первым браком на Степаниде Матвеевне Ржевской (ноябрь 1705 – 10.02.1762), вторым браком – на Н. Алимовой и имел сына Федора (очевидно, умер

бездетным) [34]. Несмотря на сенатское решение, сын царевича Симона, по-видимому, продолжал употреблять и родовую династическую фамилию. В 1776 г. в Москве среди прочих дворов, принадлежавших выходцам из Грузии, упоминается и двор "отставного капитана князя Николая Семенова сына Багратиона" [163а. С. 54].

ВЛАДЕТЕЛИ И КНЯЗЬЯ БАГРАТИОН-МУХРАНСКИЕ И ИХ ЦАРСКИЕ ВЫСОЧЕСТВА КНЯЗЬЯ БАГРАТИОН-МУХРАНСКИЕ-ГРУЗИНСКИЕ

БАГРАТИОН-МУХРАНСКИЕ* – владетельный княжеский род, отрасль Грузинского Царского Дома. Его родоначальником был грузинский царевич Баграт, сын царя Грузии Константина II, младший брат царя Давида (родоначальника первого Царского Дома Грузии). От брата царевич Баграт получил в удел Мухрани, его военной власти были подчинены также ущелья Арагви и Ксани (Арагвское и Ксанское эриставства), т. е. ополчение (садршо) Верхней Картли. Он и его потомки носили титул владетелей

*Статья написана С.В.Думиним с использованием материалов кн. Ю.К.Чиковани. Таблицы составлены кн. Ю.К.Чиковани.

Мухранских и княжили в Мухрани до 1801 г., т.е. до момента присоединения Грузии к России. Глава рода – правитель княжества именовался Мухранбатони, все его младшие родственники – мухранбатонишвили (буквально: дети Мухранбатони). В качестве ближайших родственников царствующей ветви карталинских Багратидов владетели Мухранские сохраняли положение принцев крови и нередко призывались для управления страной в случае отсутствия государя. При царе Симоне I (находившемся в плену у персов) правителем Картли некоторое время был сын царевича Баграта – Мухранбатони Вахтанг (№ 3/1). Его сын Кайхосро

(№15/3), сподвижник Георгия Саакадзе, после разгрома войск иранского шаха в 1623 г. был поставлен правителем Грузии [46. С. 57]. Ростом, последний царь из первого Царского Дома Грузии, не имея детей, усыновил и нарек своим наследником ближайшего родственника Мухранбатони Вахтанга, правнука царевича Баграта. В 1658 г. Вахтанг V (Шахнаваз), старший в роде Багратидов, вступил на престол Картли, положив начало второму (Мухранскому) Царскому Дому Грузии (см. выше). Его брат Константин (№25/14) наследовал Мухранский удел; существовали и другие (младшие) ветви этого рода. После того как законные наследники



საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი
ს ა ქ ვ ა ტ ე ნ ტ ი

დაპირისპირების დამადასტურებელი მოწმობა

6368

განმცხადებელი:

იური ჩიქოვანი 01024029921

ნაწარმოები:

მუხრანბატონების გენეოლოგიის კვლევა

ნაწარმოების კატეგორია:

სამეცნიერო ნაშრომი

დეპონირებულია:

02.10.2015

ნიკოლოზ გოგილიძე

თავმჯდომარე

19.10.2015

(მუხრანელი ბაგრატიონების შესახებ ჩემი ხელნაწერის მიხედვით შედგენილი, გენეოლოგიური კვლევის ამსახველი ნუსხების და კომენტარების ელექტრონული ვერსიის ჩაბარების შემდეგ „საქპატენტის“ მიერ ჩემს სახელზე გაცემული დეპონირების დამადასტურებელი მოწმობა. თვით ნუსხები და კომენტარები, სრული სახით, დაცულია „საქპატენტის“ ელექტრონულ ბაზაში. ი.ჩ.)

ბოლოთქმა

2016 წლის 15 მაისს ი.ბიჭიკაშვილის მიერ ფეისბუქის პირად გვერდზე ჩემი მისამართით გამოქვეყნებულ ღია წერილში გამოთქმულ არც ერთ ბრალდებას ამ წერილის ავტორმა არ დაურთო დოკუმენტურად გამყარებული არანაირი მტკიცებულება. არ შემეძლო იგივე მეთოდით მეპასუხა. ყველა ამ ბრალდებიდან და, რბილად რომ ვთქვა, სიმართლისაგან ძალზედ შორს მდგომი ინფორმაციიდან ამოვარჩიე მხოლოდ ის სამი, რომლითაც წერილის ავტორი შეეხო ჩემთვის ყველაზე მთავარს – ღირსებას და რეპუტაციას. პასუხი უნდა გამეცა არა იგივე პრინციპით, არამედ მხოლოდ დოკუმენტების მოხმობით და აუცილებლობის შემთხვევაში – ანალიზით. მრავალი თვე მოვანდომე მტკიცებულებების მოპოვებას იმ დოკუმენტური მასალის სახით, რომელიც სააშკარაოზე გამოიტანდა სიმართლეს და მხოლოდ მას შემდეგ გადავწყვიტე მეპასუხა, რაც ისინი აღმოჩნდა ჩემს განკარგულებაში. **სწორედ ამიტომ შეირჩა პუბლიკაციის სახელწოდებაც ასეთი – „დოკუმენტები ცხადყოფენ“.**

ზემოაღნიშნული ღია წერილის დანარჩენი გამონათქვამების განხილვას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი მათგანის გასაბათილებლად მაქვს საბუთები და მყავს ცოცხალი მონმეებიც, დანარჩენის გაბათილება კი ადვილია მარტივი ლოგიკით და ანალიზით, იმდენად ურთიერთგამომრიცხავია ი.ბიჭიკაშვილის მიერ სხვადასხვა ადგილას მოშველიებული ფრაზები და წინადადებები. თავიდან მსურდა მათაც შევხებოდი, მაგრამ მივხვდი, რომ უაზრობაა ეს. ვისაც გაგების უნარი და სურვილი აქვს ის, ვფიქრობ, ისედაც მარტივად ამოიცნობდა მოცემული ღია წერილის ალოგიზმს და ჭეშმარიტ მიზნებს. ვისაც ამის სურვილი არ გააჩნია, მასთან მონმეების მოყვანით და ლოგიკური დასკვნებით მაინც ვერაფერს გავხდები. ეს ხომ უკვე ვსინჯე, როდესაც უშედეგოდ მივმართე ჩემს მონინააღმდეგე მხარეს პირადი და არა ღია წერილით (ამის შესახებ იხ. გვ.71-72). აღარც მაინტერესებს. დაიჯერონ, თუ სურთ. მე კი ისედაც საკმარისზე გაცილებით მეტი დრო დავხარჯე ამ უსამართლობების მთავარი ნაწილის გასანეიტრალებლად, რომ კიდევ რაიმეს შევეხო. განვიხილე მხოლოდ ის, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის, როგორც მკვლევარისთვის. დანარჩენი აღარ მაინტერესებს. დავამატებ მხოლოდ: ჩემგან პასუხგაუცემელი ყველა დანარჩენი – ჩემი ავტორიტეტის, რეპუტაციის შემლახავი ე.წ. ინფორმაციები და ბრალდებები ბ-ნი ბიჭიკაშვილის სინდისზე იყოს.

დასასრულ, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მსურს მადლობა გადავუხადო იოსებ ბიჭიკაშვილს და მის გუნდს ერთი რამის გამო: მათთან დაკავშირებულმა მთელმა ამ ისტორიებმა ერთგვარად გაშიფრა ზოგიერთი ის ადამიანი, რომელიც მეგობრად, კეთილისმსურველად მაჩვენებდა თავს, მაგრამ ასე არ ყოფილა. მართალია გვიან, მაგრამ საბოლოოდ გამოაშკარავდა – ვინ ვინ არის.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
ნაწილი I. როგორ დამადანაშაულა იოსებ ბიჭიკაშვილმა ყალბი ცნობის გაცემაში ანუ ის ბრალდება, რის გამოც შევიტანე სასამართლოში სარჩელი.....	5
I ნაწილის დანართები.....	18
ნაწილი II. რა გზით აღმოჩნდა თავადის, გიორგი გურიის ერისთავის ასული ელისაბედი ნაკაშიძეების ნაცვლად მალანიების დიდი ბებია.....	20
II ნაწილის დანართები.....	53
ნაწილი III. როგორ და რა მიზნით „ჩამომართვა“ იოსებ ბიჭიკაშვილმა ბაგრატიონების გენეალოგიურ ტაბულაზე საავტორო უფლება.....	68
III ნაწილის დანართები.....	78
ბოლოოქმა.....	88



ოთარი ჩიქოვანი

პროფესიით ფილოლოგი, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი, საქართველოს დამსახურებული მწერთნელი ჭადრაკში, წარსულში საქართველოს ერთგზის და თბილისის ოთხგზის ჩემპიონი, ეროვნული და FIDE-ს ოსტატი, საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში. წლების განმავლობაში მუშაობდა ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. გენეალოგიურ კვლევებს აწარმოებს 1984 წლიდან. 1995 წელს დააარსა „ქართული გენეალოგიური საზოგადოება“, რომლის უცვლელი თავმჯდომარეა დღემდე. 1999-2003 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკის გენეალოგიური კვლევის ცენტრს. არის საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს გენეალოგიის და პერალდიკის კომისიის ხელმძღვანელი და ამავე საკრებულოს ვიცე-წინამძღოლი. 2004 წლის სექტემბერში საფრანგეთში, საერთაშორისო გენეალოგიური აკადემიის გენერალური ასამბლეის მიერ ერთხმად იქნა არჩეული ამ აკადემიის ნამდვილ წევრად. არის ცხრა წიგნისა და მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.



„გამომცემლობა გრიფონი“

ISBN 978-9941-449-80-2



9 789941 449802